ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
6
აპრილი
№ 14 (2742)
გამოცემის 58--ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო

## 9 აპრილი 1989











აზა ადამია
ნათია ბაშალეიშვილი
ეკა ბეჟანიშვილი
ნატო გიორგაძე
თამუნა დოლიძე
თინა ენუქიძე
ნინო თოიძე
ზაირა კიკვიძე
მანანა ლოლაძე
თამარ მამულაშვილი-სვანიძე
მანანა მელქაძე
მამუკა ნოზაძე
გია ქარსელაძე
ნანა სამარგულიანი
შალვა ქვახროლიაშვილი
ნოდარ ჯანგირაშვილი
მზია ჯინჯარაძე
ელისო ჭიბაშვილი
თამარ ჭოველიძე
მარინა ჭყონია-სამარგულიანი
















# „აქა ვდგავარ...“

## ვანო ჩხიკვაძე

„ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირეს ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ“

ილია

აზუქებული მტვერი გაბმულა დაღმართზე ჩაკიდებული გზის გასწვრივ. ხიცხით გავარვარებულ ცაში იკარგება მანქანებისა და სალოცავად მოსული ხალხის ხმაური.

ჩემ წინ დაძაბული, მთრთოლვარე ტანით აშკვრია ხვლიკი გახურებულ ფიქალს. თბება ახალგაზრდა დედამიწის პირველი, ღონიერი და ამაყი მკვიდრების მინიატურული ასლი... საბრალოა თავისი უსუსურობითა და უმწეობით, მაგრამ ათასჯერ უფრო საცოდავი იქნება, თუკი მისი მეხსიერება, დროის დინებას არ დაუშლამავს, და პრეისტორიული უღრანადან ჯერ კიდევ ჩაესმის დინოზავრების ძლევამოსილი ბუზუნი...

●

„ღრელის... ხევზედ არს საფარას მონასტერი, შუენიერად დიდშენი, გუმბათიანი, ყოვლადწმიდისა“.

შევყურებ და სიამაყის ნაცვლად, გულს ჯავრი მიღრღნის:

ვინ იყო საფარას „შუენიერად“ მშენებელი და ვინ ვარ მე, ვარ თუ არა უფლებამოსილი თავი მისი ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებლად ჩავთვალო... ვაითუ, ვიბრალებ მის წინაპრობას, ვაითუ, კარგახანია საერთო აღარაფერი გვაქვს, სამუდამოდ ავცდით ერთმანეთს, ისტორიის მძიმე უღელტეხილზე მოწყვეტილი ზვავებივით სხვადასხვა მხარეს ჩავიშალეთ... რა გვაქვს საერთო, — მე — უსახური, უფორმო მახივების მშენებელს და ამ სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვარს, ხელკურთხეულ კირითხუროს თუ ოფლში გაცურებულ ქვისმთლელს... ისინი იმიტომ აშენებდნენ, რომ ათი საუკუნის შემდეგ, ლამის ამოქოლილ მეხსიერების სარკმელში იმედის, გადარჩენის ღვთიურ სინათლეს შემოეხედა, გამხსნებოდა, ვინ იდგა ჩემი სისხლის, არსებობის სათავეებთან... მე ჩემს წილად რას ვუტოვებ ათი საუკუნის შემდეგ მოსულ ქართველს!.. ანდა ორლესულივით რატომ იელვა, ესოდენ მწარე, თავისუფალი ქვეყნის შვილისათვის უკადრისმა პარალელმა, ნუთუ ისევე არ ვგავარ ჩემს წინაპარს, როგორც ეს მიწაზე მცოცავი — დინოზავრს?

განა გასაკვირია, რომ არ ვგავდე?

მოვუსმინოთ ილიას:

„— ეგ ეტლი ვისი მოგონილია? — მკითხა მან (ფრანსიელმა — ვ. ჩ.) და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

— რუსისა, — ვუპასუხე მე.

— მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეგეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

— არა უშავს-რა, მთელი რუსეთი მაგით დადის, და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

— მაგით დადის? იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ!!.“

უყურეთ ფრანსიელსა, თავს როგორ უფრთხილდება?

ჩვენ კი მის ჯიბრზე „თავიც გამოვიმეტეთ“ და ორი საუკუნე „ფოშტის პოვოსკით“ მოვხრიგინებთ.

და არამარტო მოვხრიგინებთ, „პირდაუბანელი და თმადაუვარცხნელი — უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრის „იამშჩიკის“ საამებლად ომახიან სიმღერებსაც დავძახით...

ამ დროს, ჩვენი ფრანსიელი, ალბათ, სიცილით იფხრიწება...

შუა ევროპაში ზის და რა უჭირს.

ჩემნაირ სამეზობლოში ეცხოვრა და ზოგიც მერე ეცინა, ვნახავდი, ვინ უფრო სწრაფად ჩახტებოდა „რუსის პოვოსკაში“...

თანამგზავრი მიამბობს:

— ჩემპიონები რომ გახდნენ, იმ წელიწადს, სპორტის სასახლეში, შოთა იამანიძემ თქვა, ბოლოსდაბოლოს გავახარეთ ჩვენი ერიო... შეხვედრას მე და ციმბირმოვლილი ბიძაჩემი ვესწრებოდით და ამ სიტყვებზე ორივეს ტანში აგვბურძგლა. „ჩვენი ერი“, ისეთი მოულოდნელი, ყურისათვის მიუჩვეველი სიტყვები იყო, რომ ვიხსენებ, ცრემლი მერევა... ეხლა ნახე რა ამბავია? ლამის ლენინსაც უთხრან, წინა ზიხარ და უკან გადაჯექიო! — ჰკვირობს ხელებგაშლილი, — ამ გახსნებაზე უნდა მივიდე ცხონებული შოთას საფლავთან და ჩავძახო, ჩვენი ერი იღვიძებს-მეთქი...

იღვიძებს ტვინის „გამლაყებელი „პოვოსკით“ „გულ-მუცელ გადღვებილი“, შეწუხებული, გაბეზრებული, დაბნეული, მაგრამ მაინც იღვიძებს!

ქართველმა ერმა, მერაბ კოსტავას მთაწმინდაზე დაკრძალვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუდგა ძეგლი. ამ მართლაც წმინდა და მამაც ადამიანში თავისი აუხდენელი სიზმრების, გაუმჟღავნებლად ჩამკვდარ-ჩამარხული ოცნებების ხორცშესხმის შანსი აღმოაჩინა...

მერაბ კოსტავას გარდაცვალება, დაკოპილი ღამის შუბლზე კაშკაშა ელვად გაკრთა და ქართველი კაცის ცნობიერებაში სახურველი „მიწისძვრა“ გამოიწვია.

ელვას ქუხილი მოჰყვება, ქუხილს — მშვიდი, კამკამა წვიმა, რომელიც ჩვენს დაღლილ, მაგრამ ბედნიერ სახეებს სისხლსა და ცრემლს ჩამობანს.

ნუთუ თავისუფლების მცენარე მხოლოდ სისხლმა და ცრემლმა უნდა აზარდოს?

დავილალე!

დუმილით დავილალე.

ცხრა აპრილმა, როგორც ყველას, დიდი დარდის ლოდი დამადო.

როცა სდუმხარ, „ლოდი“ უფრო მძიმდება.

იძულებითი ზურგშექცევა შეჩვეულ საწერ მაგიდასთან, სუფთა ფურცლებთან, დაუმთავრებელ ჩანაწერებთან... ყველაფერთან, რითაც ვცოცხლობ და რისთვისაც ვარსებობ... მოკლედ, „დადუმდნენ მუზები“, ოთხივე მხარეს მძიმე ფარდები დაუშვეს და მანამდე უცხო, უჩვეულო მდგომარეობას შემატოვეს.

მწარეა, როცა ბავშვობაში შენზე დიდი და ღონიერი ბიჭი დედას შეგაგინებს, დაგამცირებს, მიწასთან გაგასწორებს, მაგრამ უმწარესია, ყელის ძარღვებს დაგიხეთქავს შურისძიების მოწადინე უხმო ბღავილი, როცა რომელიღაც „ოკრუგში“ თუ „გუბერნიაში“ გაჰედილ-დაჰედილი ჩექმის ქუსლი გამზრდელ, სალოცავ ძუძუს გასასრესად შედგება.

აჰა, ცხრა აპრილი, აჰა, „ცრუწინასწარმეტყველი“, „ცხოვართა“ სამოსელგაძარცული „მგელ-მტაცებელნი“.

აჰა, „ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“.

ჩამუხლულ კაცს კავკასიური ნაგაზი საკბენად აღარ ეტანება.

ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი გამთენიის ზანს მოგროვილმა ცალ-ცალი ფეხსაცმელისა და ხელჩანთების შემზარავმა გორებმა, ვინ დაერია იმათ პატრონებს, რა ჯიშის „ძაღლებს“ წვრთნიან ამ „პოვოსკაში“, რომ ორასი წლის მანძილზეც ვერ „შეგვეჩვივნენ?“

„ნუთუ, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლი შენთვის მართლა საჭირო იყო? ან რა ვაჟკაცობაა უიარაღო, უმწეო, სუსტი დედაკაცებისა და ბალღების ჟლეტა? ქრისტიანები ამგვარს არას სჩადიან!.. თვით ყაჩაღებიც კი ერიდებიან ამ საქმეს!“ (აკაკი).

მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!..
ჩემი ცოდვა მისცემია
ჩემს ამამთხრელს,
ამამბზარავს.

ეს სტრიქონები ამეკვიატა იმ დღეებში, და კიდევ... პეტრე ბაგრატიონის ბარათი გამახსენდა, 1812 წელს არმიის უკანდახევის შემდეგ მოსკოვის გუბერნატორ როსტოპჩინს რომ გაუგზავნა: „მითხარით, ღვთის გულისათვის, რას იტყვის ჩვენი დედა რუსეთი, ახე რომ ვირცხვენთ თავს“...

პირდაპირ „გულში ჩასაკრავი“ სიტყვებია! განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ბარათის მიღმა „დედა საქართველოს“ წარმოიდგენ, დამოუკიდებლობა წართმეულს, რუსეთის („დედა რუსეთის“) უღელქვეშ მგმინავს, აჯანყებულთა სისხლში ჩამხრჩვალს, უზნეობისა და ორასწლიანი წამების გზას ახლად შემდგარს...

გენერალი ბაგრატიონი კი შეწუხებული კითხულობს, „დედა რუსეთი“ რას იტყვისო.

არ ვიცი, როსტოპჩინს რა „დააბარა“ „დედა რუსეთმა“ პეტრესთვის გადასაცემად, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენც ვიკითხოთ, მაშინ რა თქვა „დედა რუსეთმა“, როცა ბოროდინოს გმირი საფლავიდან ამოაგდეს, გაძარცვეს და მისი ნეშტი ძაღლებს მიუგდეს?

განა ამ ფაქტის შემდეგაც არ შეგვიძლია გავიმეოროთ:

აჰა, „ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“.

არც სისასტიკეს ჰქონია საზღვარი — ცხრა აპრილს ერის მეხსიერებიდან ვერ ამოშლი.

დაუნდობლობით შეძრწუნებულნი ეკლესია-მონასტრებს მივაწყდით.

როგორც იქნა, მძიმე ტრაგედიის ფასად, ღმერთმა თავისკენ მიგვახედა.

გულწრფელად მიკვირდა, მერე დღესვე, „მოვლენების ცხელ კვალზე“, ლექსები რომ მიჰქონდათ რედაქციებში... იქნებ მშურდა, ანდა მწყინდა კიდეც... ვერ გეტყვით... რომ მიკვირდა, ეს კი ცხადია — მიკვირდა, ამ დაცარიელებულ, გაოგნებულ სამყაროში, რითმაზე საფიქრად, როგორ დაიყოლიეს თავისთავი...

იქნებ ეჭვიც მეპარებოდა, ხომ შეიძლება გულთმისნურად იწინასწარმეტყველეს მოსალოდნელი ტრაგედია, თორემ ამ გამოციებულთვალებიან, ფარ-ჩაჩქანიან მკვლელების შემხედვარეს ხელში კალამს რა აალებინებთ-მეთქი...

რა ვქნა, კაცია და გუნება, მიჭირს დავიჯერო, რომ ნამდვილ პირისუფალს შეუძლია გაუციებელ მიცვალებულს ზურგი აქციოს და ლექსის საწერად დაჯდეს... მითუმეტეს ეს არ იყო, „რიგითი, ყოველდღიური“ ტრაგედია, როცა მხოლოდ უფროსების გარკვეული წრე იტანჯება... ეს გახლდათ ჯოხეთის გაკვეთილი, . რომელიც მთელ ქართველ ერს ჩაგვიტარეს...

მე ვიცნობ ბავშვებს, სათამაშო იარაღი რომ შეიძულეს (ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა ასეთი დამთრგუნველი სტრესის ფასად), ვიცი სკოლამდელები, ჯარისკაცების დანახვაზე, ცხრა აპრილიდან კარგა ხნის შემდეგაც რომ კანკალებდნენ, მანქანის ხმაურზე ტირილით რომ იღვიძებდნენ, ტანკები მოდიანო...

ანდა განა ამის შემდეგაც არ გვაქვს უფლება, ვთქვათ:

აჰა, „ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“.

იცით, უფრო რატომ დამწყვიტა გული ბევრმა „ოპერატიულმა“ ლექსმა — ძველი ინერციის, ძველი სულსწრაფობის სუნი მეცა, — დროშის გადაცემა, მეჩაიეთა ფორუმი, კომკავშირელთა ყრილობა... ფორსირებულად რომ აისახებოდა ხოლმე ჩვენი პრესის „საპირველგვერდე პოეზიაში“... მე არ მახსოვს, ამ ლექსების მერე, მეჩაიეებს უფრო ხარისხიანი ჩაი მოეკრიფოთ, ანდა კომკავშირელ-აქტივისტებს მეტი სიყოჩაღითა და მონდომებით ეზრუნოთ მეკაკლეობაზე, მაგრამ თავად ავტორებს რომ „უფასდებოდათ გარჯა“, ჩვენს დაწყევლილ, უძრაობისდროინდელ სინამდვილეში, ამისი მაგალითი კი მრავლად გვახსოვს, (ამ უძრაობას ისე მივაცივდით, ვითომც, ახლა, ჩვენი „პოვოსკა“ გარდაქმნის შუქზე „ნათელი მომავლისაკენ“ მონორელსის სიმსუბუქით მიქროდეს).

მე ჩემი მაწუხებს, თორემ, სხვის „ეზოშიც“ რომ გადავიხედოთ, ვნახავთ, ქამელეონი როგორ სწრაფად იცვლის ფერსა და პოზიციას, ოღონდაც ნდობის „კაპიტალი“ არ დაკარგოს.

მათთვის სულერთია, ვის და რას დაუკრავენ ტაშს, ბატონი კონსტანტინესი არ იყოს, „იგავმიუწვდომელ“ სიყალბეს თუ ყელის ძარღვდაბერილ, ქართული ეროვნული დროშის ქვეშ რუპორმომარჯვებულ ლიდერს... მთავარია, „ამ საქმიდან“ რამე გამოვიდეს, მთავარია სიტუაციის მიხედვით, თავისთავი გუგულის კვერცხივით ვინმეს დროულად შეაჩეჩონ...

„ავღანეთისადმი დახმარების საბჭოთა აქციაში ანგარების ნასახიც არ არის. ჩვენ სხვა არჩევანი არ გვქონდა: ჯარი უნდა გაგვეგზავნა. და მოვლენებმაც დაადასტურეს, რომ სწორედ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება (ხანგრძლივი ტაში)“.

ამ სიტყვების ავტორი „ჩვენი პარტიისა და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ბელადი“ (ა. პ. კირილენკო), ლ. ი. ბრეჟნევი ცოცხალთა შორის აღარ არის, თორემ, შეიძლება, დღესაც ამ „ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებაზე“ ვმდგარიყავით.

ბრეჟნევი თუ არა, სამაგიეროდ ცოცხლები არიან და დღესაც კონცერტებს მართავენ იმდროინდელ მეტაშეთა დამსახურებული „ანსამბლები“ (გაიხსენეთ, თუნდაც, ცხრა აპრილის წინ, აქტივის კრების მეტაშეთა გუნდი, როგორი შესაშური, ერთსულოვნება და ტაშისკვრის მაღალი კულტურა გამოამჟღავნა, როცა „მხსნელი“ რუსი გენერლები დაინახა)...

თანამგზავრი ანეკდოტს მიამბობს:

— პოლიტიკურია, მაგრამ ახლა აღარ იჭერენ...

— რა იცი?

— ორი წელიწადია ვყვები და ჯერ ჩემთვის ბუზი არავის აუფრენია... მისმენ?

— მეტი რა გზა მაქვს.

— საბავშვო ბაღში კომისიამ იდეური მომზადების დონის შესამოწმებლად, ბავშვებს რამდენიმე კითხვა დაუსვა:

— ბავშვებო, ბავშვებო, აბა, დაფიქრდით და გვიპასუხეთ, რომელია ყველაზე კარგი ქვეყანა?

— საბჭოთა კავშირი! — უპასუხეს ერთხმად.

— ბავშვებო, ბავშვებო, სად ამზადებენ ყველაზე ლამაზ სათამაშოებს?

— საბჭოთა კავშირში!

— სად ცხვება ყველაზე გემრიელი ნამცხვარი?

— საბჭოთა კავშირში!

ერთმა ბავშვმა ცრემლები გადმოყარა, და ღრიალი ამოუშვა.

— საბჭოთა კავშირში მინდა...

შემოხვეული ხალხი იცინის, ალალად, უბოროტოდ, გულდიად... მაგრამ, ხომ შეიძლება, ასპიტის თავივით, ისევ აქანავდეს საჩვენებელი თითი და ამ თითის შუბლის ძარღვგაწყვეტილმა პატრონმა მანქანის ძარაზე შეგვყაროს და „ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება“ მიიღოს?.. ალბათ, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, უკვე აღარ შეიძლება ჩვენს მაჯაზე სიცოცხლის პულსთან ერთად მონატრებული თავისუფლების პულსიც არ ფეთქავდეს...

უდაბნოში ნახეტიალები, ყელგამშრალი მგზავრივით ვეღარც ილუზიური, დამაჩლუნგებელი „ნათელი მომავლის“ ოაზისისკენ ვივლით.

გალაკტიონის არ იყოს, „ძველი გზებით სამშობლოს ვეღარ მოვაგნებთ“...

ყრილობის დროს, როცა ცხრა აპრილის ფილმს უჩვენებდნენ, ვიღაცას წამოუძახია, ჩვენებს ურტყამენო („Наших бьют!“)... არაერთხელ მოგვისმენია და ვიცით, მაწანწალა ხროვის დაუნდობელ-მომწოდებელი ეს შეძახილი, რომელიც „უებარი“ საშუალებაა „პოვოსკით“ გამოლაყებული ტვინის აღსაგზნებად.

წამოიძახეს ერთია, მაგრამ გგონიათ ჩვენ შევებრალეთ? არა, ბატონო! როგორც კი ცოფიანივით დუჟმორეულ ჯარის ნაწილებისაგან გადაქელილმა ადამიანებმა, თავის დასაცავად ხელი გამოიღეს, „აგრესიულად მორჩილი“ დარბაზი მაშინვე მუშტად შეიკრა — „Наших бьют!“

---

### ვისაც, სამოთხემ გაგიღოთ კარი

სიონის ზარი, სვანური ზარი,
ქართველთა სევდა არდაფარული,
გადარაზული ხალისის კარი, —
აი, ასეთი გვაქვს გაზაფხული...

მეორე წელი იწყება უკვე
და ვერ შევიშრე თვალზე ცრემლები...

ამ ქვეყნად მე თქვენ ვერ დაგივიწყებთ,
იმ ქვეყნად, ნურც თქვენ დაგავიწყდებით.

აპრილის თვეში — ზარი და ზარი...
რა სევდიანი გაზაფხულია...
ვიცი, სამოთხემ გაგიღოთ კარი,
რომელიც ჩემთვის დახურულია.

ვინ დამამშვიდებს: — რაც იყო, იყო...
ვერც მოვტყუვდები დაპირებებით...
მრავალთა ჩვენთა გზები გაიყო
შლაგბაუმებით, მატარებლებით...

შემოვარდნილა ქალაქში ქარი,
წვიმა — ელვებით და გამეხებით...
თქვენ კი სამოთხემ გაგიღოთ კარი,
ვწუხვარ, ვერასდროს რომ ვერ შეგხვდებით.

ბიძინა მინდაძე

გაიგე, „ერთა ძმობით“ ჯერ კიდევ დაბანგულო, ჩემო ზოგიერთო მოძმევ, „იმისი“ აღარ ყოფილხარ, ხედავ მის შემოსეულ ჯარს, შენი ნებით ყელი რომ არ გადაუგდე, აჰა, გამომჭერიო, ეგეც კი არ გაპატია, საბჭოთა რიგითი ადამიანისათვის მიუწვდომელი დელიკატესებით მუცელამოყორილმა ხალხის „რჩეულმა“ ლამის დარბაზი მიატოვა და შენს მისახრჩობად გამოიქცა.

ისე, რაც შენ ჩვენი „მშვიდი ძილის“ დამცველი „წითელი ლობე“ გიდღეგრძელებია, უარესის ღირსი ხარ...

„ბიჭოს! — გაუხარდება გულუბრყვილოს, — ეგ რა კარგი რამე უთქვამს, რახან მაგისი აღარა ვარ, ამომირეცხავს გულიდან და მომეშვება“.

გულში არასოდეს ვყოლივართ და როგორ ამოგვირეცხავს, მაგრამ ასეც რომ იყოს „პოვოსკიდან“ თავის ნებით მაინც არ ჩამოგვსვამს, რადგან ზღვა, კურორტი, მინერალური წყალი, შავი ქვა და დარიშხანი ჰჭირდება...

დაბანგულო ჩემო მოძმე, ალბათ, იმასაც გაიგებდა, ჰიტლერი და სტალინი მედლის ორი მხარე რომ ყოფილა (სამწუხაროდ, მედალს მესამე მხარე არა აქვს, თორემ პროლეტარიატის ბელადსაც გვერდით მოუყენებდნენ, თუმცა მოვლენები ისე ვითარდება, შეიძლება ამ „მესამემ“ ჰიტლერი და თემურ-ლენგი ხელის ბიჭებადაც არ დაიყენოს და ცალკე „მონეტა მოუჭრან“, სადაც ორივე მხარეს თვითონ იქნება).

როგორც ვიცი, გამარჯვების ზეიმზე სტალინი ფაქტიურად მხოლოდ დიდ რუს ხალხზე, მხოლოდ დიდი რუსი ხალხის ისტორიულ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა.

ეს აზრი ისევ ხელუხლებლად დევს „მასების“ მეხსიერებაში.

ამ ინერციის ბრალია, რომ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ნაწილი, დღემდე, დედამიწის წითლად გადაღებილ ერთ მეექვსედზე, სხვადასხვა კულტურისა და ისტორიის ერებს კი არა, მხოლოდ ვარსკვლავიან ბუდიონოვკაჩამოფხატულ, ანდა ხელყუმბარაშემართულ, „მატროსკა“ ჩამოხეულ, კლდესავით უტეხ უფროს ძმას ხედავს...

მაშინ რა გამოდის? დანარჩენებს ერთა ძმური კავშირით შეკრულ სსრკ-გერმანიის ომში კი არა, რუსეთ-გერმანიის ბრძოლაში მიგვიღია მონაწილეობა, რომელსაც ორი დიქტატორი მართავდა.

ასეთი ლოგიკით, საამაყო არაფერი გვქონია, როგორც ჩვენი სამწუხარო ისტორიის მანძილზე, ამჯერადაც „სხვათა“ ომში ქათა[illegible] წავუკლივართ, სამას ორმოცდაათი ათასი მამაკაცი, ვისაც ერი უნდა გაემრავლებინა, უცხო მიწაზე სხვისი სახელის მოხსენებად ჩაკაფულა.

ამ გაუგონარმა მსხვერპლმა დემოგრაფიულ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

მაინც ვერაფრით მოვიგეთ უფროსი ძმის გული, თან არ გვიშვებს, თან ამ დანჭლრეულ, ღერლეტა „პოვოსკაში“ ყოფნასაც გვამადლის...

ბავშვობაში, თამაშით მოქანცულებს რომ დაგვაღამდებოდა, რომელიმე ჩვენგანი წამოიძახებდა ხოლმე, ჩიტმა თავის ბუდე იცისო და ყველა ჩვენ-ჩვენ სახლში გავრბოდით, ჩვენ ჭერქვეშ, ჩვენ ოჯახურ სიმყუდროვეში...

სამოცდაათი წელიწადია დაგვაწყდა ნერვები და მუხლები არარსებული „იდეალების“ ძიებაში, დაგვაღამდა კი არა, ირგვლივ ისეთი სიძულვილის წკვარამია, თვალთან თითს ვერ მიიტან, მაგრამ ვინც უნდა დაიძახოს, სახლებში წადითო, ჯიუტად დუმს...

ავბედითი ივლისის პირველ დღეებში, ბიჭვინთის მწერალთა სახლის სასადილოში, აუზის მხარეს, ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან, ალექსანდრე ყაზბეგი რომ აღწერს ნაჩალნიკს, ერთი იმისთანა უსიამოვნო გამოხედვის, თხელ, გამოციებულ ტუჩებში გამუდმებით ზიზღიან ირონიაჩამდგარი კაცი იჯდა, „სახმელს (ჩაის) მიირთმევდა. მისი პირისახე რაღაც სულელურს, თავმოყვარე სიამოვნებას გამოხატავდა“, რომ ვიღაც მიუახლოვდა და ჰკითხა, გუშინდელი „მოლოდიოჟ გრუზიი“ თუ წაიკითხეო.

დღევანდელმა „ნაჩალნიკმა“ პედანტური სიფაქიზით მოიმშრალა ტუჩები და თვალებდაწვრილებულმა გამოსცრა: მერედა, რას წერენ ისინი (აქაც ხომ ხედავთ, „ჩვენები“ კი არა — „ისინი“ — ვ. ჩ.), ალბათ ქართველები უკეთესები ვართ აფხაზებზეო, არა?

ვიმეორებ, ეს ხდება სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის წინა დღეებში.

ხედავთ, როგორ გესლს აფრქვევს, როგორ წამლავს ჰაერს, ჰიქა არაყზე სულგაყიდული, არამკითხე შუამავალი? აღარ გვერიდება, შავმიწანიადაგიანი ცენტრიდან — თავისი ეზოდან კი არ გვიყეფს, აგერ ცხვირწინ, ოჯახში გვიზის, ჩვენ ზღვისპირზე ითბობს ნესტითა და სიცივით დაობებულ ძვლებს და თავის მორიელურ ხასიათს მაინც ვერ ღალატობს...

არ გვეყო ერთად „თამაში“, ჩვენ-ჩვენ „ბუდეებს“ აღარ მივხედოთ?

კუდა ხარი, სხვას ბუზს უგერიებდაო. თვითონ თავზე აყრია პრობლემები, სოფლებდაცარიელებული რუსეთი გულდაფუტუროვებულ მორს დამსგავსებია და მე მკარნახობს, სად რა დავთესო, თვითონ ვოლგა „პორტვეინის“ მდინარედ რომ იქცეს, ტანსაცმლიანად გადახტება, მე კი თვალებში უნდა ვუყურო, საარაყე ქვაბის ცეცხლზე შემოდგომის ნებას მომცემს თუ არა...

ეჰ, „დედა რუსეთს“ შეწირულო პეტრევ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამხედრებულო, ამაყად რომ გადმომყურებ, „არგე რამ შენსა მშობელსა?“ კრწანისთან ორი საუკუნით ადრე რომ მოსულიყავ და შენს ძლევამოსილ მახვილსაც ეკაშკაშა, ეგებ... თუმცა, ლელთ ღუნიასი არ იყოს „ტალავარ არა გაქვს ქართველთა: რუსად მორთულხარ“. გულიც სამოსთან, ერთად შეგიცვლია და ჩემს სატკივარს როგორ გაიგებ..

ბატონი ნიკა აგიაშვილის ნაამბობს ვიხსენებ:

ერთი სოციალ-ფედერალისტი ხონში მიბრძანდება. ქუთაისში, მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, ეტლს მიაშურა.

მეეტლეში თავისი პარტიის წევრი ამოიცნო და გაუხარდა, იაფად წამიყვანსო, მაგრამ მეეტლემ იმდენი მოსთხოვა, რომ ნაწყენმა უსაყვედურა, ხომ იცი, ორივე სოციალ-ფედერალისტი ვართ, ნაკლებს რომ დამჭერდე, ვითომ რა მოხდებაო.

მე კი ვიცი, მაგრამ ამ ცხენმა არ იცის, ეს არ არის სოციალ-ფედერალისტი, ამას თივა და ქერი სჭირდებაო, — უპასუხა მეეტლემ.

ჯერ სოციალიზმის, მერე კომუნიზმის მშენებლობას დიდი ენთუზიაზმით შევუდექით, მაგრამ, სურავანდივით შეყრილი „ნათელი მომავლით“ გატაცებულებმა, ვერ გავითვალისწინეთ, რომ დადგებოდა დრო და ნახშირის მტვერში ამოგანგლული, გაოფლილი მეშახტე ჭუჭყის ჩამოსაბანად საპონს მოგვთხოვდა. „ვერ გავითვალისწინეთ“, რადგან ქუთაის-ხონის გზაზე დამდგარი უბირი მეეტლე უფრო მეტ პატივს სცემდა, ანგარიშს უწევდა თავის ჯაგლაგს, ვიდრე ჩვენ — ხალხს.

„ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გახრწნილიყო, უკვე გაიხრწნა“ (მაკიაველი) და მაინც ჩამჩიჩინებენ, ცოტა პრაქტიკულად განხორციელება გაგვიჭირდა თორემ, იდეა კარგიაო.

ნამეტანი ენაწყლიანი, ტკბილად მოუბარი კაცი გვესტუმრებოდა ხოლმე. თუკი ნუნუასაც დაუდგამდი, იმის მოსმენას არაფერი ჯობდა. როგორც კი წავიდოდა, ბებიაჩემი იტყოდა, საქმეც რომ ლაპარაკივით იცოდეს, კაცი არ ემჯობინებოდაო.

ე. ი. კაი-კაი აზრები კი არა, საქმე ყოფილა მთავარი!

რამდენიმე „სინათლის წელიწადით“ დაშორდა ჩვენთან სიტყვა და საქმე. მაინც ცივ ნიავს არ ვაკარებთ, მსოფლიოს თვალში კარგა ხნის წინ სახელგატეხილ იდეას და მორალურად და ეკონომიურად დაბეჩავებულები თანდათან ვკარგავთ ყველა იმ თვისებას, რითაც თავი მოსწონს ცივილიზებულ მსოფლიოს მოქალაქეს.

ამას წინათ ერთ კაცს, რადგან ხელები სავსე ჩანთებით ჰქონდა დაკავებული, ბაზარზე ასხმული ტუალეტის ქაღალდის აცმა, მხარილივ პატრონტაჟივით გადაეკიდა და ფრიად კმაყოფილი მოაბიჯებდა შუა ქალაქში.

განა შეიძლება ისე ულმერთოდ დაწიხლო, გააბითურო „ბუნების მშვენიერი ქმნილება“, რომ თავმოყვარეობის ნატამალი აღარ დაუტოვო?

რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ, როცა გაიხსენებ, როგორი ხელები „ზელდნენ ნათელ მომავალს“...

ერთ-ერთი თანამებრძოლი ასე „დასტირის“ ტრაგიკულად დაღუპულ კამოს (სიმონ ტერ-პეტროსიანს):

— ძმაო კამო, რა დამავიწყებს შენს შთაგონებულ სახეს, ცალ ხელში მაუზერით და მეორეში ხელყუმბარით...

მართალია, ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ ვენდოთ „გულდათუთქულ ჭირისუფალს“ და წარმოვიდგინოთ, თავით ფეხებამდე შეიარაღებული შარაგზის ყაჩაღი რომ გადაუდგება ვინმეს და ეტყვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის გვჭირდება და ნიფხავ-პერანგიანად ექსპროპრიაცია უნდა გიყოო!

წარმოუდგენელია „ექსპროპრირებულმა“ მუქარით თვალებგადმოკარკლულ, ჩახმახზე თითგამოდებულ კამოს სახეზე შთაგონება ამოიკითხოს. სამაგიეროდ „ისინი“, დიდი და პატარა პარტიული თანამებრძოლები ამჩნევენ და აფასებენ, რომლებიც კამოს და მისთანა „შთაგონებულსახიანების“ ნაძარცვ-ნაგლეჯზე რომ ცხოვრობენ და არსებობენ იატაკქვეშ თუ იატაკზემოთ, ლონდონში თუ შვეიცარიაში, პოლონეთში თუ რაზლივში...

რევოლუციას ბეთჰოვენის კი არა, კამოს „შთაგონებული“ სახე სჭირდება!

სხვათაშორის, გორში, „პროფესიონალი რევოლუციონერის“ მუზეუმის გახსნის წინ, ერთ ხანდაზმულ მექუდეს, რომელიც კამოს მეზობლად ცხოვრობდა და როგორც თვითონ ირწმუნებოდა, კარგადაც ახსოვდა, კორესპონდენტმა სთხოვა, ეგებ რაიმე მოიგონოთ, თქვენი სიყრმის მეგობარზე, რევოლუციის რაინდზეო.

იმანაც „გაიხსენა“.

— ძალიან დაუნდობელი იყო, ერთხელ რაღაცაზე გამიბრაზდა, გამომეკიდა, მაგრამ რომ ვერ დამეწია, კაი მოზრდილი ქვა კეფაში მდრუზა და ლამის სისხლისგან დავიცალე... ერთხელ კიდევ...

— ეგ არა, — შეაწყვეტინა კორესპონდენტმა — კარგი რამ თუ გახსოვსო...

მექუდე ჩაფიქრდა, გაუჭირდა ქვასროლია კამოზე „კარგი რამის“ მოგონება.

ვუყურებდი ბერიკაცს და ვფიქრობდი, ის დროა, ღმერთს მადლობა შესწიროს მაუზერითა და ყუმბარებით გაძეძგილ კამოს რომ არ გადაეყარა, თორემ მისი „ქვასროლიაობის“ ამბავი, დიდი ხნის წინ, საფლავში ექნებოდა ჩატანილი-მეთქი.

ბავშვობაში სულ ვწუხდი — ის ერთადერთი მანქანა, თბილისში რომ დაგორავდა, რალა იმ ველოსიპედს დაეჯახა, ჩვენი კეთილდღეობისათვის ჭიპმოჭრილი ადამიანი რომ იჯდა.

როცა მოვიზარდე, გავიგე, რომ ცოტა თვითონაც ყოფილა დამნაშავე:

ჯერ ერთი, რევოლუციის მოსახდენად, საზღვარგარეთ გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ, მისი „შთაგონების“ ამბავი რომ იცოდნენ, ცხადია, არ გაუშვეს.

მერე, მემუარების საკარნახოდ, სტენოგრაფისტები მოითხოვა: ესეც დაუშალეს, მაგრამ შეჯდა კამო... ველოსიპედზე და აღარ ჩამოვიდა...

იცოდნენ მისმა თანამებრძოლებმა ფასდაუდებელი მნიშვნელობა რომ ექნებოდა, [illegible] კამოს მემუარებს.

იცოდნენ და, აკი „სასწრაფოდ“ დაიტირეს: „ძმაო, კამო, რა დამავიწყებს“...

სამგლოვიარო გვირგვინის წარწერა: „დაუვიწყარ კამოს, ლენინისა და კრუპსკაიასაგან“.

ერთი რომ ყოფილიყო, ჩვენც არ დავივიწყებდით, მაგრამ ამდენ, „მატრიოშკებივით“ ერთნაირად „შთაგონებულ სახიანს“ რა ვუყოთ?

მათი იდეური მემკვიდრეები და უნაყოფო გზის გამგრძელებლები გვთავაზობენ, ზოგი ისტორიის სანაგვეში გადავუძახოთ, ზოგიც დავიტოვოთო!

რომ უნდა გადავუძახოთ, გასაგებია, მაგრამ რატომ უნდა დავიტოვოთ, ვერ გამიგია, მათი შავბნელი ზრახვანი ხომ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს, იქნებ ვშიშობთ, ყველა ურნა ერთბაშად რომ გამოვაცალოთ, კრემლის კედელი თავზე არ დაგვექცეს?

ვერ გამოვიდა ერთი ხიდან ბარიც და ჯვარიც.

მათი რადიაციული სული დღემდე გვიწამლავს სიცოცხლეს, ჩვენ ხერხემალზე გადასავლელად აქეზებს ეჭვიანობით შეპყრობილ ავადმყოფ იმპერიას.

გვეყო ძალით შემოჩეჩებულ ვითომ ხატებთან რაც ვილოცეთ.

ჩვენ შორის უცხო ყვავილივით ამოიზარდა, ტანკის მუხლუხებით დაკბილული სისხლიანი ასფალტი ამოხეთქა კაცობრიობისათვის ყველაზე ძვირფასმა და სანუკვარმა სიტყვამ — თავისუფლებამ!

მშვიდობა მის მობრძანებას!

მან უნდა იხსნას, გააცოცხლოს. საფარას აღმშენებლის სული, მხნეობა, შეუპოვრობა, იმედი.

მიცკევიჩს უთქვამს, სამშობლო იმას უყვარს, ვინც დაკარგაო.

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, საამისოდ ემიგრაციაში წასვლა არ დაგვჭირებია, — სამშობლო სამშობლოში დავკარგეთ და აქვე უნდა აღმოვაჩინოთ, გავახაროთ მის ნატკენ გულზე ამოსული უცხო ყვავილი — თავისუფლება!

„მე პოლიტიკოსი არა ვარ და პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულვარ, მაგრამ ჩემი სიტყვები, ბევრი ვინმეს სურვილის მიუხედავად, ცხადყოფენ, თუ ვისთან ვარ მე“ (პაბლო ნერუდა).

„ჰოი, გვედრებ მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!“.

●

ხვლიკი ნაპრალში მიმალულა და მხოლოდ მოუსვენარი კუდის ბოლო უჩანს.

ისევ მოდიან სიცხითა და აღმართით დაღლილი მლოცველები.

მოდიან და არ იციან, რომ თითოეულ ქვაში ჩემი სულია, როგორც კი წავთვლემდი, აქაურობა გახალვიძებლად დამკიოდა, რადგან ვისაც საქართველოს წაქცევა სურდა, ყველა ამ ქვების გამოცლას ლამობდა.

ავედევნები მწკრივს, ტაძრის სიგრილეში პირჯვარს გარდავისახავ და საფარას აღმშენებლის სულის სადიდებლად ერთ ოხოლ სანთელს მეც დავანთებ.

## თითქოს მესმის...

მანანა შელქაძეს

აქ განისვენებ... ცა სულ ნათელს გფენს
მოდიან, დუმან, წუხან, სტირიან;
და გვჯერა, გვჯერა, მამაც ქართველებს:
— ქვეყნისთვის მკვდარი ქვეყნის გმირია.

სევდა დიდია, არ აქვს ნაპირი,
შემძრავი იყო შარშან აპრილი.

შენ შეხაროდი ტიტებს, ენძელებს,
ნაზ სულში შუქი გენთო, გეფინა.
ჩუ, თითქო მესმის — ის რაც შევძელ მე —
ჩემმა სამშობლომ შემაძლებინა!

შენ ველარ დაკრეფ იებს, ენძელებს,
ვით ჩიტბატონას გსურდა გეფრინა.
ჩუ, ისევ მესმის: ის რაც შევძელ მე —
დედა სამშობლომ შემაძლებინა!

1990.

შაქრო სამადაშვილი

# ნეტარ არიან...

„სამშობლოს სიყვარულის და თავისუფლებისათვის ბარბაროსულად დახოცილთა სულის საოხად და სახელთა სადიდებლად, მოწიწებითა და კრძალვით მიგვირთმევია ეს კნინი ჩვენი შრომა.

**„ნეტარნი არიან, ვისაც ძალუძთ, სამშობლოს ხსნისთვის, ანთებული სანთლებით შეეგებონ სიკვდილს“,** ამ სიტყვებით იხსნება პარიზის ქართული ჟურნალი „გუშაგი“, რომლის 144 გვერდიც 1989 წლის სისხლიან 9 აპრილს მიეძღვნა.

(„გუშაგი“ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ბეჭდვითი ორგანოა უცხოეთში, გამოდის პარიზში 1974 წლის იანვრიდან „თავისუფლების ტრიბუნას“ სახელწოდებით, 1984 წლიდან — „გუშაგისა“, მისი დევიზია: სამშობლო და თავისუფლება!).

ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის თუნდაც ერთი წლის მერე გავაცნოთ ამ ჟურნალის ის ძირითადი მასალები, რომელთა შესახებაც ძალზე ცოტა რამ ვიცით.

...„როგორც საბჭოთა კავშირის საკითხების ავტორიტეტული სპეციალისტი, ქ-ნი ელენ დანკოსი პირველ დღესავე იყო მოწვეული საფრანგეთის რადიო-ტელევიზიაში მისი ავტორიტეტული აზრის გადასაცემად, მანაც მისთვის ჩვეული ერუდიციითა და დამაჯერებლობით განმარტა ქართველი ხალხის დღევანდელი ტრაგედია, რომელიც პირველი არ არის და რომელსაც დასაბამი მიეცა, საბჭოთა ჯარების თავდასხმით 1921 წ. საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაზე, ძალით გასაბჭოებით და სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანით.

ათ აპრილს საფრანგეთის ეროვნული ტელევიზიითა და რადიოთი ფრანგ ხალხს მიმართეს ჩვენი ემიგრაციის აქტიურმა წარმომადგენლებმა ექიმმა ოთარ ზურაბიშვილმა და თამაზ ნასყიდაშვილმა. მათ სხარტად და ზუსტად წარმოაჩინეს აპრილის საპროტესტო მანიფესტაციების ღრმა ეროვნული ხასიათი და აბსოლუტურად მშვიდობიანი დემოკრატიული ფორმა, რომელთან დიალოგის გამართვის მაგიერ, ხელისუფლებამ მიმართა ყოვლად შეუწყნარებელ დამსჯელ სამხედრო ოპერაციას, უიარაღო ხალხის, განსაკუთრებით ქალიშვილების და მანდილოსნების ხოცვა-ჟლეტას. გადაცემები რამდენჯერმე იყო განმეორებული და განსაკუთრებით მასობრივი სმენადობის, სადილობისა და ვახშმობის მომენტებში ორი დღის განმავლობაში. პარალელურად განხორციელდა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები. პარიზის პრეფექტურისათვის არაჩვეულებრივად მოკლე დროში მივიღეთ ნებართვა სსრკ-ის საელჩოს წინ 11 აპრილს 18 საათიდან საპროტესტო მანიფესტაციისა.

თერთმეტ აპრილს პარიზში დილიდანვე წვიმიან-ქარიანი ტაროსი იდგა, 17 საათიდან კი კოკისპირული წვიმა დაიწყო და თან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მონაბერი ქარიშხალი უბერავდა, თითქოს ბუნებას სურდა პარიზიდან გაერეცხა და წაელეკა 9 აპრილს თბილისში ჩადენილი დანაშაული და ულვთოდ დაღვრილი ქართული სისხლი. დანიშნულ დროს, 18 საათზე „დოფინის“ მეტროსთან და მის მიმდებარე მოედანზე დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. აქ ქართველებთან ერთად მოვიდნენ სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის სატელიტ ქვეყნების ეროვნული ემიგრაციების წარმომადგენლები. 18 სთ. 30 წუთზე ადგილიდან დაიძრა, დინჯი ნაბიჯით, გლოვის მდუმარებით საპროტესტო მანიფესტაცია საელჩოსაკენ. მსვლელობას წინ უძღოდა ძაძებით მოსილი დამოუკიდებელ დე-

(დასასრული მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სულო, ქათქათა...

ეძღვნება მამას

**ეს ლექსი მეექვსეკლასელმა თამთა კოსტავამ — საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ქალიშვილმა გამოგზავნა რედაქციაში. ლექსი სევდამ და მწუხარებამ დააწერინა პატარა თამთას. პოეზია და მწუხარება ხომ დასაბამიდან დაუკავშირდნენ ერთმანეთს...**

**გაივლის წლები და, ვინ იცის, ქართული პოეზიის რუკაზე თამთა კოსტავას სახელიც გაჩნდეს... თუ ეს არ მოხდება და—ჩვენი სამშობლო ყველგან, ცხოვრების ყველა სფეროში ელის ნამდვილ სპეციალისტებს, საქართველოს ღირსეული მომავლისათვის მებრძოლთ.**

**დაე, თავისი დიდი მამის ნათელი უძღოდეს წინ თამთა კოსტავას, მის მეგობრებს, მის თაობას.**

შენ არ გჭირდება ხანჯალი, ფარი,
შენი ხანჯალი სიტყვაა ბასრი,
შენა ხარ ერთი თავისუფალი,
თავის უფალი, თავისუფალი.
შენ არ გჭირდება დამხმარე ძალა —
შენი მზერაა ჯარიც, ამალაც,
შენი თეთრი თმა, თეთრი წვერები,
მე მომაგონებს ფიქრებს ანკარას.
აისბერგივით სულო ქათქათა,
როგორ დადნი და გაფრინდი ჩქარა,
ჩვენ ვამყარებდით იმედებს შენზე,
რად გაგვიფრინდი, შენ ასე ჩქარა,
რად გაგვიფრინდი? სულო ქათქათა!
. . . . . . .
შემოღამდება და ბნელი ღამე,
კარებს აწვება, რომ შემოვიდეს.
და უღრან ტყეში ერთი გოგონა
დაეხეტება და შენ დაგეძებს.

**თამთა კოსტავა**



# ზვიად გამსახურდიას

**ლექსი დაწერილია 1989 წლის 23 ნოემბერს. წმინდა გიორგობის ღამეს — გამთენიისას, საკვირველი ჩვენების შემდეგ, როცა სამყაროს საკვირველება წმინდა გიორგი — შორეული ციდან ელვა სხივებს გზავნიდა ზვიადზე და ამ ნათელში იდგა იგი...**

ხარ შეწირული უწმინდეს კრავად,
წმინდა გიორგის გიფარავს ძალი,
ქართველი შენზე ვერ იტყვის ავად,
ვის ბედზეც ფხიზლობ არწივის თვალით.
იმდენი შესძელ — ვინ გკადროს ვალი,
მაგრამ, სრული წვა — რაინდთ წესია,
დიდად გადიდებს დიდმომავალი,
დიდების წიგნში ჩაგწერს მესია.
შენი სიცოცხლე — ცის პოეზია,
თავისუფლების მზით და მირონით,
მხოლოდ კეთილზე მომიზეზეა,
ნათლის სივრცეთა უნაპირობით.
შენ ვერ ილოცავ ხატს გულგრილობით,
ვის განგიცდია მაცხოვრის ლოცვა,
ოფლის მაგიერ — სისხლი ჭრილობით,
მამას ნუგეშად ჰხადოდა როცა.
რაინდს და მგოსანს, რაინდს და მგოსანს,
უძლეველობის ბეგთარი გმოსავს,
ენუგეშება გატანჯულ ქართველს,
შენი სიცოცხლე და შენი მოსვლა...
. . . . . . .
მიაცილებდი ძმას, თანამებრძოლს,
სისხლის ცრემლები გულში ცვიოდა,
ეს ერთგულება ქართველს შეეგრძნო,
მაღლა მზეს, ჩვენ აქ, სულში გვციოდა.
ციერთა ღირსი — ცად მიდიოდა,
ლალი არწივი — გზას მიჰყიოდა...
თავისუფლების მზე — სხიველვარე,
გმირების ლოცვით ამოდიოდა.

**+ მთავარეპისკოპოსი**
**თადეოზი (იორამაშვილი)**

(დასასრული)

მოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა.

მრავალ პლაკატზე, რომლებიც აღემართათ მანიფესტანტებს, იკითხებოდა: „შეწყდეს ქართველი ხალხის რბევა“, „თავისუფლება საქართველოს“, „გორბაჩოვ, ამხილე და სამაგალითოდ დასაჯე თბილისის მშვიდობიანი ხალხის მკვლელები და მათი მბრძანებლები“ და სხვა.

ზუსტად საელჩოს პირდაპირ დიუფრენუას ქუჩის კუთხეში, პოლიციამ გზა გადაგვილობა და საელჩოსთან უფრო მეტად მიახლოების ნება არ დაგვრთო.

იქ მანიფესტანტებს სიტყვით მიმართა გიორგი წერეთელმა, რომელმაც მკაცრად დაგმო საბჭოთა იმპერიალიზმის მიერ 9 აპრილს თბილისში ქართველი პატრიოტების მიმართ ჩადენილი ველური დარბევა და მხურვალე პატივი მიაგო დაღუპულთა მარადიულ ხსოვნას. შემდეგ ბ-ნ ვიქტორ ხომერიკმა წაიკითხა საბჭოთა წარმომადგენლობისადმი გადასაცემი განცხადების ფრანგული ტექსტის პროექტი, შედგენილი საპროტესტო დემონსტრაციის საინიციატივო კომიტეტის მიერ...“

„...15 აპრილს 19 საათზე პარიზის წმ. ნინოს სალოცავში გადახდილ იქნა 9 აპრილს უღვთოდ დახოცილთა საეკლესიო პანაშვიდი. თვით ეკლესიაში ხალხის ტევა არ იყო, დამსწრეთა ნახევარი მაინც კიბეებზე და შესასვლელი კარების წინ მოედანზე იდგა. სანამ მღვდელი წირვას შეუდგებოდა, მნათე თამაზ ნასყიდაშვილმა მოკლედ, მაგრამ დიდი განცდებით ახსენა მშვიდობიანი მანიფესტანტების, მოშიშვლე, ანთებული სანთლებით ხელში მლოცველი ხალხის უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა და წაიკითხა დაღუპულთა სია. იგი შეცვალა ჟანრი კაშიამ, რომელმაც წაიკითხა არქიმანდრიტ იოაკიმ ასათიანის ჭეშმარიტად შესანიშნავი მიმართვა მორწმუნე-პატრიოტ ახალგაზრდებისადმი და მერე — ლია გოგიტიძემ ფრანგულად. ღვდელმსახურება შესრულდა დამსწრე-მლოცველ საზოგადოების მხურვალე ზიარების ატმოსფეროში...“

ახლა გადმოგცემთ მასალებს, რომელიც 19 აპრილს (!!!) წითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლებს მიეძღვნა: „წითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც ფრანგებში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ყოველწლიური სტუმარია პარიზის, წელს თავის პირველ კონცერტს აძლევდა 19 აპრილის საღამოს, საქველმოქმედო გალას სახით „უბედური შემთხვევების შედეგად მძიმედ დასახიჩრებულთა“ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელსაც, როგორც საპატიო თავმჯდომარეები უნდა დასწრებოდნენ პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი დანიელ მიტერანი და შრომის ინვალიდთა მინისტრი, საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატორი, ბ-ნი მიშელ ჟილბერი.

„სოლიდარობა საქართველოს“ კომიტეტმა წერილებით მიმართა ამ უკანასკნელთა სამდივნოებს და მოკრძალებით შეახსენა თუ რა გროტესკული იყო დღევანდელი გალა მაშინ, როცა ცხრა დღის წინათ წითელი არმიის ნაწილების მხეცობის შედეგად დაღუპული და სამუდამოდ დასახიჩრებულია ასობით მშვიდობიანი მოსახლეობა. მხოლოდ იმისთვის, რომ თავისუფლებას ითხოვდა. ჩვენი აზრი გაზიარებულ იქნა ქ-ნ მიტერანის და ბ-ნ ჟილბერის მიერ, რისი დასტურიც გახლდათ ის, რომ ისინი პირადად გალას აღარ დაესწრნენ, დაკმაყოფილდნენ მათი წარმომადგენლების იქ გაგზავნით: „სოლიდარობა საქართველოს“ ხელმოწერით, აღნიშნულ გალაზე, დარბაზის შესასვლელში სპექტატორებს დაურიგდათ პროკლამაცია წითელი არმიის მიერ ჩადენილი ბარბაროსობის შესახებ რვა-ცხრა აპრილის ღამით თბილისში.

ჩვენმა საჯარო მანიფესტაციებმა, 26 აპრილს ერთხელ კიდევ არევდარევა შეიტანეს პარიზის კონგრესების სასახლის თეატრში მიმდინარე წითელი არმიის ანსამბლის კონცერტების მწყობრ მსვლელობაში და ჩვენი ეროვნული ტკივილისადმი სოლიდარობის გრძნობები გაალვივეს მათ მსმენელ-მაყურებლებში. თეატრის პარტერში გადაყრილ იქნა ასობით პროკლამაცია, ხოლო კულისებში ზუსტად მსახიობთა სცენაზე შესასვლელში, ჩვენმა მანდილოსნებმა, ყვავილების მაგივრად 43 წითელ მელნით დათხუპნული შესანგრის ბარ-ნიჩაბი დაულაგეს. საფრანგეთის რადიო-ტელევიზია აქაც მოწმე იყო“.

ახლა გავეცნოთ, როგორ გამოეხმაურა ქართული ემიგრაცია აპრილის ტრაგედიას აშშ-ში, აი რას წერს „გუშაგი“:

„ამერიკის შეერთებული შტატების ქართული ემიგრაცია სულხორციანად შესძრა და აამღელვარა, თბილისის 8-9 აპრილის სისხლიანი ღამის შესახებ, პირდაპირ ტელეფონით იქიდან მიღებულმა და ამერიკის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულმა დრამატულმა ცნობებმა.

მეორე დღესვე გამოქვეყნდა ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს გამგეობის განცხადება, რომლის პირები გაეგზავნათ: პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, შეერთებული შტატების კონგრესს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსა და უშიშროების საბჭოს, რომელშიც სიტყვა-სიტყვით ნათქვამი იყო: „— ჩვენ თავზარდაცემულნი ვართ თბილისიდან მოსული ტრაგიკული ამბის გამო. კვირას, 9 აპრილს დილის 4 საათზე, ხელისუფლებმა სისხლიანი სასაკლაო მოუწყეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეებს, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი იქნა მოკლული და რამდენიმე ასეული — მძიმედ დაჭრილი. მოკლულთა შორის ძირითადად ქალები და აგრეთვე ბავშვები არიან.

საბჭ. ხელისუფალთა მიერ ჩადენილი ამ ბოროტმოქმედებების არც გამართლება და არც პატიება არ შეიძლება.

ჩვენ, ქართველი ემიგრანტები, ამერიკის შ. შტ-ში უზომოდ ვგლოვობთ ჩვენი თანამემამულეების ტრაგიკული სიკვდილის გამო, ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს გმირ-ტანჯულთა სახელებს, რომლებმაც თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს სამშობლოს განთავისუფლების დიად საქმეს...

...ჩვენ მოვუწოდებთ შ. შტ-ის პრეზიდენტ ბუშს, კონგრესსა და სახელმწიფო დეპარტამენტს, მიიღონ გადამჭრელი ზომები ქართველ დემოკრატების მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორებებთან დაკავშირებით. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობებს, პარლამენტებსა და მთელ მსოფლიო საზოგადოებას, დაგმონ საბჭოთა ხელისუფალთა ბოროტმოქმედებანი და მხარდაჭერა აღმოუჩინონ ქართულ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

ამერიკის შ. შტ-ის ქართული სათვისტომო.

ნიუ-იორკი, 10 აპრილი, 1989 წელი.

**ია ესვანჯია**

# „არ მიაჩნიათ იმათ ცოდვად...“

## თამაზ ჩაჩავა

დიდხანს მჯეროდა, რომ არქიტექტურაში ნეოგოთიკური სტილი, დიდი წინამორბედის, გოთიკის შემდეგ, არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ აი, ერთ-ერთი დიდებული გამონაკლისი — ინგლისის პარლამენტის შენობა. ლონდონში, ტემზის ნაპირზე. გრანდიოზული გოთიკური ქანდაკებებისა და შპილების ტყე, ცას მიბჯენილი წაგრძელებული „მაჩვენებელი თითი“ აქ უადრესად ლაკონიურ და ინტიმურ ხაზებად გარდასახულა.

აქ 800-წლოვანი ინგლისის პარლამენტი მართავს დებატებს, რომელიც ასევე დახვეწილი, კეთილმოსურნე და მიმზიდველია. ყოველი შეკრება აზრის დღესასწაულად იქცევა. ღია ტექსტით ლაპარაკი პარლამენტარისათვის პრიმიტივიზმია და, ამიტომ, მისი სიტყვა იმგვარი იუმორით, ასოციური ექსკურსებით და ლიტერატურული დახვეწილობით გამოირჩევა, რომ თავი თეატრალურ წარმოდგენაზე გგონია.

პარლამენტის მუხის დარბაზის ზედა იარუსზე მოკალათებული ვნეტარებდი შესანიშნავი ინგლისური ენით, ჯენტლმენთა სამშობლოში ჭეშმარიტ ჯენტლმენთა გამოსვლებით, რომლებმაც, სახელმწიფოს, ინგლისის სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ „ღამის დარაჯის“ როლი მიაკუთვნეს.

უცებ ინტონაცია მკვეთრად შეიცვალა მარგარეტ ტეტჩერმა, ძალზედ ემოციური, ვრცელი სიტყვის ბოლოს, ლეიბორისტთა ლიდერს ნილ კინოკს მიმართა:

„საბჭოთა კავშირიც კი იცილებს სოციალიზმს და თქვენ მისი დანერგვა ინგლისში მოინდომეთო“...

კინოკმა ადგილიდან წამოიძახა: „საბჭოთა კავშირში სოციალიზმი არასოდეს არსებულაო“. ინგლისის უმთავრესი ორი პარტიის ლიდერები ერთმანეთს ეკამათებოდნენ: ჩოგბურთის მკვრივ ბურთად ქცეული სოციალიზმის ცნება ხან ლეიბორისტთა, ხან კი კონსერვატორთა მოედანზე ასხლტებოდა, სიმართლეს კი ამით არაფერი ემატებოდა.

სოციალიზმის სამკურნალო დოზა ჩვენს ქვეყანაში, დიდი ხნის მანძილზე, მნიშვნელოვნად ალემატებოდა ჩვეულებრივს. მას შემდეგ, რაც ოცნებაში აიგო ნათელი მომავალი და გადავედით კონკრეტულად სინამდვილის შენებაზე, განვითარდა მძიმე დაავადება — პარტახტიანი ტოტალიტალური სოციალიზმი, „გულაგის“ სასიკვდილო ლაქებით.

ახლა კი, როცა ჩვენს ზურგს უკან დარჩა მრავალწლიანი სიმუნჯე, ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმის ტოტალიტარიზაციის ნიშნები 1917 წელსვე ჩაისახა, რადგან რევოლუციონერთა გონებაში სოციალიზმი საერთოდ ტოტალიტალური იყო. მათ მიაჩნდათ, რომ სოციალიზმი ისევე ერთიანია, როგორც ყოველგვარი ბიოლოგიური სისტემა. რომ სოციალიზმის ალისფერი სისხლი უნდა კვებავდეს სახელმწიფო ორგანიზმის ყოველ უჯრედს. სისხლის გარეშე დარჩენილი უჯრედი სცილდება სხეულს, ამიტომ სისხლი უნდა აღწევდეს ყველგან, სხეულის ყოველ ნაპრალში. ასე ჩამოყალიბდა სოციალიზმის ტოტალიტარული აუცილებლობის დოქტრინა, რომელიც აკონტროლებდა არა მარტო პოლიტიკასა და ეკონომიკას, არამედ კულტურას, ადამიანის გონსა და გულისცემას. დაწესდა ერთი საყოველთაო რიტმი, ერთი საერთო ციფერბლატი, რომელიც მხოლოდ ერთ დროს — ტოტალიტარიზმის დროს ალნუსხავდა. ადამიანი, მარტოდ თუ საზოგადოებაში, „ბრწყინვალე მარცხის“ განსახორციელებლად, მაღლიდან მოსულ მითითებებს ემორჩილებოდა და, სრულიად ბუნებრივია, რომ ტოტალიტარული სოციალიზმის სჯულისკანონი, როგორც ყოვლისმომცველი, განსაზღვრავდა, თუ რა დადგენილებებს დაიზეპირებდა ადამიანი თავისი სულის უკვდავსაყოფად, რომელი დაწესებულების ზღურბლთან დადგებოდა მუხლებზე, რომელ ტროლეიბუსში ჩაჯდებოდა და რომელ გაჩერებაზე ჩამოვიდოდა, ვინ დაადგენდა კონცერტის დირიჟორს, ვინ ვის დაასხმენდა და რომელ ოთახში, რომელი იდიოტი იქნებოდა ამჯერად გენიოსად აღიარებული, რადგან მხოლოდ ერთადერთი თეორია „ხსნიდა“ არა მარტო არსებობის ყოველ დეტალს, არამედ ყოველ პროცესს — სიცოცხლის ჩასახვის პირველი დღიდან, თვალუწვდენელ მომავლამდე. ოღონდ, ეს მომავალი, თანდათანობით, მრავალადგილიან კუბოს კონტურებს იძენდა.

ქვის, გრანიტის, ბრინჯაოს, მარმარილოს კერპები ძველ კერპებზე უფრო სასტიკნი და მომთხოვნი აღმოჩნდნენ. ადამიანთაგან ისინი, უპირველეს ყოვლისა, სინდისის მსხვერპლს მოითხოვდნენ... და დაემონა სული ხორცს, და დაიღუპა ადამიანი... „რამეთუ სული, რომელი ნებასა ხორცთასა შეუდგეს, იგი არს, ვითარცა ცხენი და ჯორი, და არა არს მის თანა გულისხმის-ყოფაი სიყვარულისაი. რამეთუ სადა არს რისხვაი და შური და ხდომაი და ამპარტავნებაი, მუნ არა არს გულისხმის-ყოფაი სიყვარულისაი... სული, რომელი აღასრულებდეს ნებასა და გემოსა ხორცთასა, იგი წარიტაცების მათ მიერ და დაეცემის შორის სულთა მათ უკეთურთა და მოიკითხვის იგი მათ მიერ და შეურაცხ იქნების“.

ჯოგის ნაწილად ქცეული, სულგამოცლილი არსება, სულ უფრო და უფრო შორდებოდა საკუთარ თავს სხვადასხვა პოლიტიკურ სემინარებზე. ჩამოყალიბდა ახალი არსება — ტოტალიტალური ადამიანი, რომელიც დღეს უკვე თავისუფლებას ვერ ეგუება.

ტოტალიტალური ადამიანი თითქოსდა სიმართლისათვის იბრძვის, მაგრამ მასში ცოცხალია სამოცდაათი ბეჭდით დაღდასმული არსება, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ დაივიწყა დაუნდობელი დესპოტიზმის მეთოდები. ის კვლავ კატეგორიული და ფანატიკურია, სექტანტურად იჭვიანს არ გააჩნია დაკვირვების სხვა ხერხები, გარდა კარის ჭუჭრუტანაში ცქერისა. მისი კულტურა ვერ გასცდა გამარჯვებულთა საერთო კრებების დონეს, ლოზუნგებს, რომლებსაც მთელ სიცოცხლეს აზეპირებინებდნენ და ამიტომ თავისუფლებისთვისაც კატეგორიული, დესპოტური ხერხებით ცდილობს ბრძოლას. დასაწყისისათვის მზადაა აკრძალოს შექსპირი, დოსტოევსკი, კანტი და მრავალი სხვანი, ისინი, ვინც 20-იან წლებში უკვე იყვნენ ჩვენში აკრძალულნი;

ეროვნული იდეის ტოტალიტალურად გადაქცევა ისევე ადვილია, როგორც სოციალიზმისა. მით უმეტეს, საამისო მდიდარი გამოცდილება მსოფლიოში ისედაც არსებობს. გავიხსენოთ ნაციონალ-სოციალიზმის დამკვიდრება გერმანიაში. ტოტალიტალურმა ნაციონალიზმმა თავისი პირველი გესლი გერმანული კულტურის ელიტას დაუმიზნა, ათასნაირი ბრალი დასდო — ზოგის თეატრი არ მოიწონა, ზოგის რეპერტუარი, ზოგის ენა, ზოგის ფუნჯი და ზოგის სადირიჟორო ჯოხი; და გაიხიზნა გერმანიის კულტურა სამშობლოდან, გერმანიაში ჩამოყალიბდა დირექტიული სოციალური უტილიტარიზმის ხელოვნება, რომელიც ჩვენი სოციალისტური რეალიზმის ანაბეჭდი იყო და, რა თქმა უნდა, ადამიანის შინაგან სამყაროს ვერ ასახავდა. ეს მოხდა გერმანიაში, ევროპული კულტურის ცენტრში, რამდენად უფრო საშიში უნდა იყოს ეს იქ, სადაც 60 წელზე მეტ ხანს კულტურას მხოლოდ მაშინ იხსენებდნენ, როცა საზეიმო კონცერტებს თხზავდნენ, სადაც ბოლო 80 წლის მანძილზე, კლასიკური მუსიკის კონცერტებზე დარბაზში მსმენელი თითებზე იყო ჩამოსათვლელი. და ასე, თანდათანობით, ოზონის შრესავით მცირდებოდა ჭეშმარიტი ინტელიგენცია, მოქცეული ორმაგ მარწუხებს შორის — მმართველ ბიუროკრატიასა და სიამოვნებისა თუ არსებობისათვის თავგადადებულ ობივატელებს შორის.

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, მართალია, დარჩნენ ინტელიგენტები, მაგრამ კულტურული გარემო აღარ არსებობს.

დიდი ხნის მანძილზე უხეში ძალის პარპაშმა ძალაუფლების კულტი ჩამოაყალიბა. ამ კულტის ეპიდემია ახლაც მძვინვარებს. ამჯერადაც ყველა დროის კარიერისტებმა პირველებმა იყნოსეს სარგებელი. თუმცა მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ნოვაციების შეტანა მოუხდათ. მათი ცეცხლოვანი გამოსვლების მოკლე ქვეტექსტი ამჯერად ასეთია: „კარიერის ახალი მწვერვალებისაკენ — ეროვნული მოძრაობის წყალობით“.

პატივმოყვარეობის გეიზერები კი ჩვენში განსაკუთრებით ცხელი და მაღალი იცის. ეს ჩვენი ტრადიციაა. რაც უფრო ბევრი ემორჩილება შენს ბრძანებას, მით უფრო დიდი პიროვნება ხარ, მით უფრო დიდი ბედნიერებისათვის მიგილწევია... მახსოვს, უცხოეთის ერთ ქვეყანაში ჩასული ჩვენი დელეგაციის დაბნეულობა: მიჩვეულნი უფროსის წინაშე ქედის მოხრასა და ლაქუცს, დასავლური დემოკრატიზმისა და უშუალობის გამო, კარგა ხანს ვერ გაერკვნენ, მასპინძლებს შორის ვინ იყო მთავარი და ამას მეტისმეტად განიცდიდნენ. საზღვარგარეთ მივლინებით ჩასული ჩვენი მოქალაქე, უპირველესად, მაღალი მდგომარეობის პირთა სიას ადგენს. ჩვევა წესზე უმტკიცესია და ჩვენმა მოქალაქემ, თუ კი აღმოაჩინა უფროსი აღარ არსებობსო, უფროსობას ხელმეორედ გამოიგონებს.

ირგვლივ ძალმომრეობის ფსიქოზია. ყველაზე სანატრელ მიზნად თანამდებობაა ქცეული: თანამდებობის პირის მოქმედება დაშორებულია ადამიანურ გრძნობებს. ძალაუფლებისაკენ დაუოკებულმა მისწრაფებამ განდევნა სათნოება და იგი სუბიექტურ, თითქმის მხოლოდ გემოვნების ცნებად აქცია. უხეშმა ძალამ დაიპყრო ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო და თუ კი ასეთ პირობებში კულტურული ელიტიდან რაღაც მაინც შეგვრჩა, ის „რაღაც“ განსაკუთრებულ ყურადღებას და პატივს მოითხოვს, რადგან საკმარისია ისიც აღარ დაიცვა, რომ საბოლოოდ მოისპოს.

საუკუნის ბოლოსათვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ პოლიტიკურ პარტიათა წინააღმდეგობრიობა კი არ განსაზღვრავს საზოგადოების სულიერ (ამ სიტყვის ღრმა გაგებით) წინსვლას, არამედ მაღალი კულტურა. თუკი კულტურა ესადაგება ჩამოყალიბებულ გარემოს, რაგინდ მძლავრ პოლიტიკურ პროტესტსაც არ გამოხატავდეს, ეს პროტესტი, შინაგანი ძაფებით, კიდევ უფრო უკავშირდება პროტესტის საგანს. მდუმარეობის ტრაგიზმს აღრმავებს ის, რომ ჩვენ უნარი დავკარგეთ გულთან ახლოს მივიტანოთ კულტურის განადგურება. კულტურის განადგურება კი თვითგანადგურებას ნიშნავს. ვულგარიზირებულ, პლებეურ გარემოში დაუყოვნებლივ ბატონდება თავმომწონე პროვინციალიზმი, რომელიც ქვეყნიერებაზე შეუსაბამო წარმოდგენით, საკარნავალო ხვლით უახლოვდება ოცდამეერთე საუკუნეს. გასაკვირი არცაა თუკი ინტელიგენციას, რომელსაც შიში ვალდებულებად გადაექცა, ამჯერად ძნელად გასამხელი, სირცხვილის მომგვრელი ახალი შიში — ეროვნულ მოძრაობასთან მიტმასნებულთა შიში თრგუნავს.

ამავე დროს, გონებაცა და აუცილებლობაც გვკარნახობს, რომ ეროვნული მოძრაობის დიდი იმედები უნდა გვქონდეს. ამ მოძრაობაში ერის მრავალი ჭეშმარიტი გულშემატკივარია გაერთიანებული. იგი მძლავრი კუნძულივით წამოიზარდა საერთო აპათიის ფონზე. მაგრამ ჩვენს თვალწინ უკვე გამოჩნდნენ ისეთნიც, რომელთათვის ყოველივე დასაშვებია, თუ კი მათ საქციელს „ეროვნული აუცილებლობის“ ეტიკეტი აქვს მიმაგრებული. გავიხსენოთ ჩვენი „ძველი“ „მასწავლებლების“ მიერ მრავალჯერ ჩაგონებული „ჭეშმარიტება“, რომ მორალურია, რაც რევოლუციას ემსახურება. ულტრარული (ვაჭრული) ეთიკის ამგვარ ურცხვ დანერგვას ჩვენს ცნობიერებაში შორსგამიზნული მიზნები ჰქონდა. ადამიანი გარემოებათა მონა ხდებოდა, ეს კი იგივე სულის ატროფიის პროცესია, მასობრივი დეჰუმანიზაციაა. დღევანდელი უხეშობა, აგრესიულობა, პრიმიტივიზმი, მტრობით, შურისძიებით აღგზნებული სახეები გვაფრთხილებენ, რომ დრონი შეიძლება განმეორდნენ, რომ კვლავ შეიძლება ჩამოყალიბდეს სწავლება აზროვნების გარეშე.

ეროვნულ მოძრაობაში ძალაუფლების ფსიქოზი კი არა, ადამიანის ღირსების აღდგენა უნდა გვიზიდავდეს.

ხელისუფლების მოყვარულისათვის არ არსებობს სიცოცხლე „მტრის“ ცნების გარეშე. „მტრის ცნება ინტელექტისა და ნატიფი გრძნობის მაგივრობას უწევს, რაც უფრო მეტია „მტერი“, მით უკეთესია, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა ყაყანისათვის, ავანტიურისათვის. მართალია, ნახევარი საუკუნის მანძილზე მილიტარიზებულმა არსებობამ ჰუმანიზმი საგანგებოდ გავლებული სადემარკაციო ხაზის მიღმა დატოვა, მაგრამ ნუთუ ამით სამუდამოდ გაწყდა დროთა კავშირი?

ძალაუფლების პირამიდაზე ჯერ ერთი საფეხურიც არაა ავლილი და ბასრმა ეშვებმა უკვე გაიელვეს. უკვე გაღიზიანებას იწვევს სულიერება იმ პირთა, რომელთათვისაც მთელი ცხოვრება ძნელად წარმოსადგენი მძიმე შრომა და თავდადებაა.

დიდი ხნის განმავლობაში გარე სამყაროს მიმართ მტრულმა და იჭვიანმა დამოკიდებულებამ, შურმა სხვათა შედარებით „კარგი ცხოვრებისა“ და „დიდების“ მიმართ, გამოსავალი ისტორიაში მრავალჯერ გათამაშებული, თითქოსდა მორალური აღშფოთების სახით ჰპოვა. მაგრამ, ამასთან ერთად, ჩამოყალიბდა ახალი „მორალი“, რომელიც მცირეს შესანიშნავად ხედავს, დიდხანს კი ვერ ფანატიკური კოცონის ცეცხლზე ადვილად დამწვარა ხოლმე შექსპირის, კიტსის, გოეთეს, პუშკინის წიგნები, ბეთჰოვენის, ბახის, მოცარტის პარტიტურები. მერე კი ზედ მიუყოლებიათ ის ადამიანებიც, ვინც ამ ტიტანებს თავიანთი სულიერი ცხოვრების ნაწილად სახავდნენ. თუ ეს მოხდა, დაგვრჩება ერთადერთი თავისუფლება, თავისუფლება კოლექტიურ მორალთან შეგუებისა. ამგვარი რამ უცხო არ არის ჩვენს საუკუნეში, ტოტალიტარული აზროვნების აღზევების ჟამს. ამიტომაა, რომ მავანთა „მორალური აღშფოთება“ ასე მჭიდრო კავშირშია თანამოძმეთა მიმართ მტრულ და ზიზღიან განწყობილებასთან. ამიტომაა, რომ მტრობამ ასე ადვილად დაჩაგრა სიყვარული, მიმტევებლობა, მოწყალება, ჭეშმარიტი ზნეობა და ჭეშმარიტი ვალდებულება მოძმეთა მიმართ.

დემოკრატიული აზროვნების გარეთ დარჩენილი ეგოისტები მუდამ აღელვებულნი, მოუსვენარნი და შიშით შეძრულნი არიან, ვაითუ არ გვერგოს ის ლუკმა, რომელიც ხანეტაროდ მიგვაჩნიაო. მათი ბედი სხვა დროსაც ამგვარი იყო: ვერასოდეს იკმაყოფილებდნენ სურვილებს, სულ ის ეჩვენებოდათ რაღაც დაგვაკლდაო, რაღაც მთავარი არ გვერგოო. სიხარბე მართლაც უძირო ჭაა, მაგრამ სცენაცაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაიძულებს საჯაროდ იყვირო და გასცე ნამდვილი ზრახვები.

არა არს მათში სხვა რაიმე, გარდა ერთისა — იგდოს ხელში სხვა ადამიანებზე ბატონობის უფლება და არა იმიტომ, რომ ძლიერია, პირიქით, იმიტომ, რომ სუსტია. მან მუდამ აშინებდა თავის თავთან მარტოდ დარჩენა, თავის ტაძარში შესვლა და, ახლა, რაკი ჰგონია დადგა მოხერხებული ჟამიო, გარეგანი ძალა სურს ჩაიგდოს ხელში, რომელიც შინაგანს მაინც ვერასოდეს შეცვლის.

ამგვარი მედროვენი მსოფლიოს მრავალჯერ მოვლენიან. მათი ხასიათი მრავალგზისაა აღწერილი. მათი რადიკალიზმი, მოხერხებულ წამს, ავტორიტარულ დესპოტიზმად იქცევა ხოლმე. მან მხოლოდ ჯანყი იცის, ბუნებით ტერორისტია და ძალაუფლების გარეშე თავი არასრულყოფილად მიაჩნია. მისთვის ცხოვრება ორ ნაწილადაა გაყოფილი — უფლებამოსილ და უბრალო ხალხად, უფროსებად და უმცროსებად. ან უნდა იბატონოს, ან დაემონოს. სიყვარული მისი ვიწრო ემოციური სფეროს მიღმაა დარჩენილი.

ხერხიც კი, რომლითაც მოქმედებს, სხვათა გამოგონილია: ჯერ ტალახი შეაყარო სხვის ღირსებას, მერე კი, ქვემეხებით გახმაურებული გერმანული ექსპერიმენტის მაგალითზე, როცა დროს იხელთებ საბოლოოდ გაუსწორდე ნიჭიერებას.

რაც უფრო დაბალი იქნება კულტურა, რაც უფრო დიდ რიტუალურ მასად ვიქცევით, რაც უფრო ნაკლებად გვეყოლება ნამდვილი შემოქმედი ინდივიდები, მით უფრო მეტი შესაძლებლობა შეიქნება ტოტალიტარიზმის ახალრედაქტირებული სახელმძღვანელოს უნებურ მკითხველებად ვიქცეთ.

მე უკვე ტემზის სანაპიროს მივდევდი და გულში ჩვენი დროის ახალ „მიღწევას“ — ნაციონალდოგმატიკოსს ვეკამათებოდი. ვგრძნობდი, რომ ინგლისური პარლამენტის სტილს სულ უფრო და უფრო ვცილდებოდი, იმ ტრადიციებს, რომლებმაც ბრიტანელები თავისუფალ, შემწყნარებელ, კეთილშობილ ერად აქციეს. ამინდიც იცვლებოდა — ლტოლვილებივით ჩამოხეული ღრუბლები აღმოსავლეთიდან მოექანებოდნენ. ცნობიერებაში კვლავ ლონდონი შემოიჭრა და ფიქრი შევწყვიტე. მით უმეტეს, უკვე ბარბიკან-ცენტრის თეატრს ვუახლოვდებოდი. აქ კი შექსპირი მელოდებოდა:

„არ მიაჩნიათ იმათ ცოდვად,
თვითონ ცოდვის ქმნა,
და ჰკიცხვენ მხოლოდ მას, ვინც
თავის ცოდვას ვერ მალავს“.

# „ჩრდილოეთში ტყვეობის შემდეგ“



ვასილ კიკნაძე

„ჩრდილოეთში ტყვეობის შემდეგ — დაბრუნება მზესთან“.

კოტე მარჯანიშვილის სულის შემძვრელი სიტყვებია, 1923 წელს რომ წარმოსთქვა.

საქართველოში დაბრუნება მზესთან დაბრუნებას შეადარა, მზის სიმბოლიკა — საქართველოს.

მან დაინახა „სიტყვაში, მუსიკაში და მხატვრობაში მზის შვილები“ — ქართველები.

იმავე 1923 წელს კახეთში დიდ ბანკეტზე წარმოსთქვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო, ლეგენდასავით რომ შემორჩა დრო-ჟამს.

მაშინ მეტად ძნელი იყო ამის გაკეთება.

ძნელი იყო 1924 წლის აჯანყების მონაწილის სანდრო ახმეტელის გამოხსნა, მაგრამ მან ესეც შესძლო.

ორივე შემთხვევაში თავი იჩინა ეროვნული სულის ძახილმა, — თავისებურმა კავშირმა სიჭაბუკის იმ წლებთან, როცა ქართულ თეატრში იგი პატარა კახისა და ლევან ხიმშიაშვილის როლებს ასრულებდა. „მზის შვილების“ სიმბოლიკა მარად ცოცხლობდა მასში, როგორც ეროვნული გენეტიკური კოდი.

ღრმად სწამდა, რომ ქართულ ხელოვნებაში მზიურობა არის მისი ეროვნული ენერგიის წყარო. მზიურია ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენია.

„ჩვენ გვაქვს საკუთარი მზიური პოეზია“...

„ჩვენ გვექნება მზიური თეატრი“, — ამბობდა მარჯანიშვილი და მთელ თავის შემოქმედებას ეს რწმენა დაუდო საფუძვლად.

„ჩემი სალამი მზის ვაჟებს“ — მიმართავდა ქართველ პოეტებს, რომლებმაც იგი რუსთაველის თეატრში მიიყვანეს 1922 წელს.

წლები, რომელიც საქართველოში გაატარა, როგორც რეჟისორმა, იყო მძაფრი პოლემიკა „ჩრდილოეთის თეატრთან“. „მზე, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში მცოუნვარებს“, სულ სხვაგვარ ხელოვნებას ქმნის, „ვიდრე ჩრდილოეთი“, მიმართავდა მოსკოველებს თეატრის გასტროლების დროს, 1930 წელს.

კოტე მარჯანიშვილი დიდი შემოქმედი იყო და კარგად იცოდა, რომ არც ერთი ერის კულტურა არ ვითარდება სხვა ხალხების კულტურასთან ურთიერთმიმართებისა და ზემოქმედების გარეშე.

არც ქართული თეატრია გამონაკლისი. ეროვნული სახის ძიებისა და გამოხატვის ურთულეს პროცესში მას ჰქონდა რუსული თეატრის აქტიური ზემოქმედების, მის დიდ მიღწევათა მექანიკური გადმონერგვისა თუ შემოქმედებითი გააზრების პერიოდები (ასევე რთული იყო დასავლეთ ევროპის თეატრებზე რუსული თეატრის გავლენისა და პირუკუ ზემოქმედების პროცესიც!).

კოტე მარჯანიშვილმა ახალგაზრდა სანდრო ახმეტელთან ერთად სწორედ ქართული, ღრმად ეროვნული სათეატრო პროცესების საჭიროებისათვის დაიწყო ბრძოლა.

1922 წელს მას დახვდა უკვე მოშლილი თეატრი.

დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ისტორიული აქტის — სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნის, დასის რეორგანიზაციისა და შემოქმედებითი წარმატებების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთ წელიწადში სრულიად დაიშალა თეატრი. თითქმის წყალში გადაიყარა ყველაფერი. მისი განახლების, ძირეულად გარდაქმნის ანუ დიდი „თეატრალური რევოლუციის“ ისტორიული მისია ხვდა წილად კოტე მარჯანიშვილს. მხოლოდ მის გენიას შეეძლო დაპყრობილ ქვეყანაში, ოკუპაციის ატმოსფეროში, ყველა შემოქმედებითი ძალის (მსახიობების, პოეტების, მხატვრების, კომპოზიტორების) გაერთიანება, „შირსა შიგან გამაგრება“, ქართული სულის გაღვიძება და ახალი სათეატრო ეპოქის დაწყება. „ეს ქრონიკონი ეროვნული ასოებით უნდა აღიბეჭდოს ქართული თეატრის მატიანეში. ვინ ჩააბა ქართველი მსახიობი ამ ღვთიურ ექსტაზში? — კოტე მარჯანიშვილმა“.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია. მათი თვითმყოფადი ბუნების გამოვლენისა და დამკვიდრების პროცესი ამასთანავე თავისებური ბრძოლის ფორმაც იყო, რათა არ ჩამკვდარიყო ეროვნული სული.

ტიტანური იყო ეს ბრძოლა და ამითაც აიხსნება 20-იანი წლების ქართული თეატრის საერთაშორისო აღიარება. ვერავითარმა ძალამ ვერ ჩაკლა ქართული სული. ვერ მოახერხა მისი ასიმილირება.

ჭეშმარიტად გმირული იყო ეს ბრძოლა!

ამ ბრძოლას მეთაურობდა კოტე მარჯანიშვილი, მისი მადლიანი ხელით ნაკურთხი სანდრო ახმეტელი და მსახიობთა დიდი თაობა.

„განგებამ ხელთ ჩაგვიგდო ის ჯადოქარი ხელოვანი სცენისა, რომელიც ოდესღაც გულნატკენი გასცლოდა თავის ქვეყანას, სამშობლო სცენას და უცხოეთში დიდ მანათობელ პლანეტად ქცეულიყო. იგი ჩამოვარდა ჩვენს შორის, როგორც ცდომილი ვარსკვლავი, მაგრამ ბუნებამ თავისი ქმნა და ვინც ჩვენთან იყო გადაჯაჭვული — უხილავის, მაგრამ ნათესაურის სისხლით, ჩვენ დაგვიბრუნდა. აი, აქ იწყება ის პერიოდი, რომელსაც, უეჭველია, ქართული სცენის აღორძინებისა და კოტე მარჯანიშვილის პერიოდი ეწოდება“ (ა. ფალავა).

კოტე მარჯანიშვილი თეატრის სათავეში ჩადგომისთანავე გაემიჯნა ყველაზე უფრო რუსული — სამხატვრო თეატრის პრინციპებს (თუმცა, კარგად იცოდა მისი დიდი შემოქმედების ფასი და ჯეროვან პატივსაც მიაგებდა). მან სანდრო ახმეტელს („სალომეს“ დადგმისას) უთხრა: „თქვენთან ერთად გავწყვიტოთ კავშირი მასთან (სამხატვრო თეატრთან — ვ. კ.) და ვეძებოთ თეატრი ვაჟკაცური“.

შემტევი, ძლიერი, სიცოცხლის და სულიერი მზეობის თეატრი ქართული ეროვნული თეატრის იდეაა. ასეთია მარჯანიშვილის თეატრის მრწამსიც. როგორც კი მშობლიურ საწყისებს დაუბრუნდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „საკმაო იყო მის გულს მოხვედროდა მშობლიური სიო, რომ მას ეგრძნო უკულმართი ბედი ქართული თეატრისა“ (ს. ახმეტელი).

„მარჯანიშვილმა [საქართველოს დაუბრუნა თავისი გენია“ (ა. ლუნაჩარსკი).

კოტე მარჯანიშვილი მადლობას ეუბნებოდა რუსეთს: მან „არც ერთი წუთით არ შეანელა ჩემი კახური სისხლი, დედაჩემის სისხლი. მისმა საუცხოო სუსხიანმა დღეებმა არ ჩაჰკლეს ჩემში მოგონებანი ჩემი მთების მხურვალე ქვებზე. მისმა მომხიბვლელმა თეთრმა ღამეებმა ვერ გათქვიფეს სამხრეთული ხავერდისებური, წკრიალა ვარსკვლავებით უხვად მოფენილი მუქი ცის სიღრმე. მისმა მშვიდმა გულკეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავაწყვეტილი აღმაფრენა — ეს მომცა მე ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ“.

ეს იყო გულწრფელი მადლიერება იმისთვისაც, რაც მან მიიღო რუსული კულტურისაგან. ალსარებიხ ეს წუთები უნებლიეთ გვაგონებს ბ. ბელინსკის სიტყვებს: „კავკასიას თითქოს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზების შთამაგონებელი და გამომწვრთნელი, მათი პოეტური სამშობლო“. არც ერთ რუსს არ დაცდენია სამდურავი იმის გამო, რომ რუსული პოეზიის შთაგონების წყარო კავკასია იყო. იმის გამო, რომ მათი პოეტური სამშობლო რუსეთის თვალუწვდენელი ველები კი არა, საქართველო იყო...

კ. მარჯანიშვილს კი რუსეთის თეატრებში „თავისი ქართული ტემპერამენტით შეჰქონდა ცხოველმყოფელობა, ბრწყინვალე ფერები“ (ა. ლუნაჩარსკი).

როცა სამხატვრო თეატრში დგამდა სპექტაკლს „ცხოვრების ბრჭყალებში“, ასე აღწერდა თავის განცდებს: „მე ვგრძნობდი, როგორ იღვიძებდა ჩემში ჩემი სამშობლოს მზე. დიახ, თითქოს ცხადად ვგრძნობდი მისი მცხუნვარე სხივების ფრქვევას... ჭეშმარიტად, „ცხოვრების ბრჭყალებში“ პირველი ჩემი ქართული წარმოდგენა იყო“. ღრმად დაფარული ეროვნული სული იქ, რუსეთის ცენტრში, ყველაზე რუსულ თეატრში გვევლინებოდა, როგორც სამხრეთელის თავდასხმა ჩრდილოეთზე. მან ერთბაშად დაარღვია თეატრის წმინდა რუსული წყობის სისტემა. „ოო... ნემიროვიჩ-დანჩენკოს რომ შესძლებოდა წაეკითხა“, რაც მის სულში ხდებოდა, იგი არ მისცემდა „პიესის დადგმის უფლებას“.

შემდგომში კ. სტანისლავსკი თავის დღიურში ჩასწერს, რომ სრულიად არ ეთანხმება მარჯანიშვილის კონცეფციას. ეს გასაგებიცაა. კოტე მარჯანიშვილის მხატვრული ხედვა და ეროვნული სტიქია ქართული იყო, მხოლოდ ამ შინაგანი წყაროების საფუძველზე ქმნიდა ახალ ქართულ თეატრს.

როგორც კი რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგა, პირველად ის მოითხოვა, რომ თეატრში მხოლოდ ქართული წარმოდგენები უნდა იმართებოდეს. მაშინ რუსთაველის თეატრში წარმოდგენებს მართავდნენ სომხური და რუსული თეატრები. დღეები სამივე თეატრს ჰქონდა განაწილებული. მარჯანიშვილმა პრაქტიკულად განახორციელა თავისი მოთხოვნა.

„ქართულ თეატრში უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ოპერა, აკადემიური გუნდი, ყველაფერი ქართული“, აი, ამ „ყველაფერი ქართულის“ შექმნისა და დამკვიდრების იდეით დაიწყო მოღვაწეობა.

1922-1926 წლებში რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილმა დადგა ქართული პიესები: ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, გ. ერისთავის „გაყრა“ და ს. შანშიაშვილის „ჯერეთის გმირები“, გ. რობაქიძის „ლონდა“, „მალშტრემი“ და „ლამარა“ (ს. ახმეტელთან ერთად). დაწერა და დადგა ქართული ზღაპრის მიხედვით „მზეთამზე“. შემოიკრიბა ქართული მწერლობა, შეუქმნა მას პირობები პიესების დასაწერად. პ. კაკაბაძეს დაუთმო თავისი სამუშაო ოთახი, რათა მწერალს საშუალება ჰქონოდა პიესაზე მუშაობისა. დ. ანთაძე წერს: „პ. კაკაბაძე შეუდგა პიესაზე მუშაობას. მან კოტეს რჩევით გადაამუშავა პიესის მთელი რიგი ადგილები“ (ლაპარაკია „ლისაბონის ტუსაღობაზე“.). „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმის ისტორია ხომ საქვეყნოდ არის ცნობილი — დასმა პიესა დაიწუნა, მაგრამ კ. მარჯანიშვილმა მაინც დადგა. მარჯანიშვილს ეკუთვნის დადგმები: შ. დადიანის „კაკალ გულში“, კ. კალაძის „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“, დია ჩიანელის „ბაილ“, დ. შენგელაიას „თეთრები“, ა. ქუთათელაძის „შუაღამემ გადაიარა“, გ. ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ..“, თ. ვახვახიშვილის „ხანძარი“, ხალხური „არსენას ლექსი“, ა. იაშვილის „მოხუცი ენტუზიასტი“.

1922-1928 წლებში მარჯანიშვილს არც ერთი რუსული პიესა არ დაუდგამს.

ათ წელიწადში ოცამდე ქართული პიესა! ეს რეჟისორის პოზიციაა, მის რთულ ეროვნულ თეატრალურ ძიებათა მნიშვნელოვანი ასპექტია. ყველა პიესა არ იყო მხატვრულად სრულყოფილი, მაგრამ მათი დადგმა შემოქმედებით სტიმულს აძლევდა ქართველ მწერლებს. ქართული დრამატურგიის თემებისა და პრობლემების სამყარო თავის გამორჩეულ ადგილს იჭერდა მარჯანიშვილის თეატრალურ ესთეტიკაში. მარჯანიშვილმა კარგად იცოდა, რომ „წმინდა ეროვნული ხასიათის პიესები ხშირად არცთუ ისე ძლიერია“, მაგრამ „ეს იმით აიხსნება, რომ მათი ავტორები ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები არიან, ისინი მხოლოდ ახლა იწყებენ. ჩვენ გადავწყვიტეთ მათთან მუშაობა“. ასევე მუშაობდა ახალგაზრდა მსახიობებთან, რეჟისორებთან, მხატვრებთან, შემოქმედების დიდ გზაზე გაჰყავდა მთელი თაობა. ეს იყო მისი დიდი ეროვნული მოღვაწეობა. ზუსტად ვერავინ ვერ განსაზღვრავს საით წავიდოდა, როგორ განვითარდებოდა ქართული თეატრი უმარჯანიშვილოდ. საწყის ეტაპზე ახმეტელისათვის ხომ დიდი სკოლა იყო მარჯანიშვილთან მუშაობა. როცა სათეატრო ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, მაშინ თქვა გრიგოლ რობაქიძემ, რომ ეს ინსტიტუტი „ბევრს გააოცებს თავის ძალებით“. სწორედ აქ, კ. მარჯანიშვილთან, ს. ახმეტელთან და პირველ რექტორთან ა. ფალავასთან ერთად უყრიდნენ საფუძველს უმაღლეს სათეატრო განათლებას 1928 წელს ი. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ა. შანიძე, გრ. ჩუბინაშვილი, ნ. შიუკაშვილი და სხვები. მარჯანიშვილმა სტუდენტებს მიანდო თავისი ნაწარმოები „მზეთამზე“. ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ამიტომ თქვენს სულში, თქვენს ქცევებში, ხალხის წიაღში ეძებეთ სცენური ფორმები, — ასწავლიდა იგი ახალგაზრდებს. როგორი გატაცებით მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ დასადგმელად; ს. ახმეტელი პრესაში იუწყებოდა: „ჩვენი ძვირფასი კოტე მარჯანიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგია დგამს რუსთაველის გენიალურ ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას“. დიდი გატაცებით შეუდგა ვაჟას „მოკვეთილზე“ მუშაობას; რუსთაველის და ვაჟას ნაწარმოებების თვით დაუმთავრებელი რეპეტიციებიც კი იმას ნიშნავს, რომ კოტე მარჯანიშვილის სათეატრო კონცეფცია ღრმად ეროვნული იყო. თეატრში კი ეროვნულობა მოიცავს არა მხოლოდ პიესას, არამედ მსახიობის, მხატვრის, კომპოზიტორის შემოქმედებას, რეჟისორის ნააზრევის მთელ სისტემას, მისი გამომსახველობის ურთულეს ფენომენს. მოსკოვში, თეატრის გასტროლების დროს მარჯანიშვილი [illegible] ქართულ თეატრში [illegible] მუშაობას და ცალკე გამოყოფდა „ჰამლეტისა“ და „ურიელ აკოსტას“ დადგმებს. „შემეკითხებით, სადღაა აქ ეროვნული? ეროვნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვაჩვენოთ ეროვნული ტანსაცმელი... „ურიელ აკოსტა“ ღრმად ეროვნულია იმიტომ, რომ აქტიორული გამომსახველობის, მხატვრული გამომსახველობის ტემპერამენტი უდავოდ წმინდად ეროვნულია. ეროვნულობის გამოვლინება ისაა, თუ როგორ განიცდის ადამიანი რამეს. ეროვნული ვლინდება მის ტემპერამენტებში, მის მოქმედებაში“. როგორ არ გაგახსენდება ნ. გოგოლის სიტყვები: „ეროვნულობა მდგომარეობს არა სარაფანის აღწერაში, თვით ხალხის სულში, პოეტი შეიძლება ეროვნული იყოს მაშინაც კი, როდესაც სრულიად გარეშე სამყაროს აღწერს, მაგრამ მას უცქერის თავისი სტიქიის თვალით“, — თავისი ეროვნული სტიქიის თვალით“ დგამდა მარჯანიშვილი ქართულ თეატრში სპექტაკლებს, სხვებსაც იმას სთხოვდა, რომ „გამოიმუშავდეს საკუთარი, ეროვნული ფორმა სახიერებისა“. ქართველი ხალხის შორეული სანახაობითი კულტურის სათავეებისაკენ მიბრუნების ამ მომენტში კვლავ ჩნდება მარჯანიშვილის ეროვნული კონცეფციის სიღრმისეული ძირები. იგი აღფრთოვანებული ხვდებოდა ქართული ნიჭიერების ყოველ გამოვლინებას, ყოველ ახალ სიტყვას. „აბესალომ და ეთერის“ დადგმის გამო თქვა: „მელანდება და მგონია, ხორცს ისხამს ჩვენი მესიანობა ხელოვნებაში, მსოფლიო ხელოვნებაში“.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „სარკმელია ევროპისაკენ“, ამბობდა მარჯანიშვილი და ოცნებობდა ქართული თეატრი გაეყვანა მსოფლიო სარბიელზე. „რაც უფრო მეტია ორიგინალური გზები, მით უფრო ღირებულია კაცობრიობის მიღწევანი“. „ორიგინალური გზა“ იყო მისთვის ქართული თეატრის გზა, რომელსაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა მსოფლიო კულტურაში. „ნუ ვიქნებით კარჩაკეტილი: გაიმართოს ხაზი ქართული ხელოვნების და მათ შორის თეატრისაც, მსოფლიო რადიუსით“. ტიციან ტაბიძემ კარგად იცოდა, რომ ქვეყანას როცა საზღვარგარეთ არ აქვს თავისი საელჩოები, როცა არ არის ჩართული მსოფლიო პოლიტიკაში, „ელჩობის“ ფუნქციაც ხელოვნებამ უნდა აიღოს. მან უნდა გაიტანოს თავისი ქვეყნის სახელი და დიდება. მარჯანიშვილმა და ახმეტელმა ქართული თეატრი გამართეს მსოფლიო რადიუსით“.

კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლებს ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. პ. შელის „ბეატრიჩეს“ დადგმაზე უთხრეს: „მასში რევოლუციური ხაზი“ არ არის და ასეთი „რეციდივები აღარ უნდა განმეორდეს“. რა არ გადახდა თავს „კაკალ გულის“ დადგმის გამო — სპექტაკლში ხომ საბჭოთა სახელმწიფოს აპარატის მძაფრი კრიტიკა იყო. მარჯანიშვილი იბრძოდა, არ თმობდა თავის პოზიციებს; თვით შალვა დადიანსაც კი არ აპატია „თეთნულდის“ ფინალში დაშვებული კომპრომისები. „ნამდვილად კლასიკურია „გუშინდელნი“ და „კაკალ გულში“, მაგრამ, როცა „თეთნულდში“ ჩაჩხერილია ვითომდაც თანამედროვეობა — ეს ლაქიობაა, ყოვლად უმაქნისი კომპრომისია, აქაოდა ვითომც პიესის გადასარჩენადო“.

მარჯანიშვილი ქმნიდა სინთეზურ თეატრს, თეატრს თანამოაზრეებისა და რწმენისა. იყო შეცდომებიც, ტრაგიკული გაორებანიც. იყო მარცხიც, მაგრამ იყო გმირული ბრძოლა ქართველი ხალხის სულის გადასარჩენად, უმაღლესი ჰუმანისტური პრინციპების დასაცავად. ახლა ადვილია აქედან, ისტორიის გადასახედიდან ილაპარაკო თეატრის განვლილ გზაზე, მარჯანიშვილზე, [illegible]ზეც. მაგრამ ჭეშმარიტებას მხოლოდ ისტორიზმის პრინციპი ადგენს.

ჭეშმარიტება კი ის იყო, რომ მარჯანიშვილმა შექმნა „მსოფლიო სტანდარტების“ დონის ეროვნული თეატრალური კულტურა. შექმნა ჯოჯოხეთური შრომითა და ბრძოლით. მას უკი-

უინებდნენ, რომ იყო „ბურჟუაზიული ესთეტი“, კარგად არ იცოდა, რომ „საბჭოთა თეატრს ედგა სათავეში“, „ორჯოფულად უყურებდა თეატრის პოლიტიკურ საბჭოს“, „უკულმა ესმოდა დაკისრებული მოვალეობა“. აი, ამგვარი ხმების შეძახილში გაასრულა სიცოცხლე. მასაც, ალბათ, იგივე ბედი ელოდა, რაც ახმეტელს ხვდა წილად — ტრაგიკული დასასრული!..

კოტე მარჯანიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო თავის დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ აჭარას, სადაც გადასაწყვეტი იყო ბევრი სათეატრო პრობლემა. სწორედ მისი ინიციატივით გადაწყდა თავისსავე თეატრს დარქმეოდა ქუთაის-ბათუმის თეატრი. „ყვარყვარე თუთაბერის“ პრემიერაც ბათუმში გაიმართა. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ხომ დიდ ქართულ ეროვნულ ორიენტირსაც ნიშნავს!..

რაც უფრო დიდია ხელოვანი, მით უფრო ღრმად ეროვნულია იგი. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. კოტე მარჯანიშვილის „თეატრი არ შეიძლებოდა ქართული არ ყოფილიყო, რადგან მასში, როგორც ხელოვანში ჭარბად იყო ქართველი ადამიანის თვისებები“ (უშანგი ჩხეიძე).

ერთხელ მარჯანიშვილმა თქვა: დიდხანს ვეძებდი ჩემს თავს და იგი ვიპოვე ქართულ თეატრში.

„ეს ათი წელი, რაც მარჯანიშვილმა საქართველოში გაატარა თავისი ცხოვრების მიწურულს, მისი რეჟისორული მოღვაწეობის ყველაზე მომწიფებული და ნაყოფიერი პერიოდია“ — წერს მარჯანიშვილის მემკვიდრეობის მკვლევარი ე. გუგუშვილი. მართლაც, სწორედ ამ ათმა წელმა განსაზღვრა მისი გამორჩეული ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყოველი დიდი შემოქმედება მხოლოდ თავის მშობლიურ ნიადაგზე ხარობს. ქართულ სამყაროში გამობრწყინდა მისი გენია.

„ქართულმა სტილმა და იმ ენამ, რომელიც ასე დიდებულად ჟღერდა სცენიდან, შექმნეს რაღაც განსაკუთრებული ჰარმონია. ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, თვით მარჯანიშვილის ნაციონალური თვალთახედვით, რომელსაც თავის მშობლიურ ნიადაგზე უნდა ენახა მეტი მაცოცხლებელი ძალა, ვიდრე რომელიმე სხვა გარემოცვაში“ (ანატოლი ლუნაჩარსკი).

კოტე მარჯანიშვილმა გადაიღო კინოსურათები, მათ შორის, „სამანიშვილის დედინაცვალი“. კინორეჟისორებს მოუწოდებდა, ფირზე აღებეჭდათ ქართველი ხალხის ყოფის ამსახველი სურათები, ტრადიციები — ვიდრე დაიკარგებოდა. მისი ფიქრები აქაც ქართულ სამყაროს დასტრიალებდა.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, დააყვედრეს რუსეთში გატარებული წლები. ქართული თეატრის ყოფილ მსახიობს (90-იანი წლები) გადაავიწყდა კარგი ქართული, მაგრამ საქართველოში დაბრუნებისთანავე ცდილობდა კარგად ესწავლა ქართული ენა. ერთერთი პოლემიკის დროს განაცხადა: „მე ვთქვი, ქართულ ენას მალე შევისწავლი, რაც უნდა შეასრულოს ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა“. ბავშვივით ახარებდა ყოველი ქართული სიტყვა. უკრაინაში თეატრის გასტროლების დროს მასპინძლებს მადლობა გადაუხადა ქართულ ენაზე დაწერილი მისასალმებელი სიტყვებისათვის. მან ხელი მოაწერა „დურუჯის“ დეკლარაციას, სადაც ეწერა: „კორპორანტი საუბრობს ქართველებთან აუცილებლად ქართულად“. „მან ქართულად მოგვმართა ყველას“, ხშირად წერენ მსახიობები წიგნებში, მაგრამ მარჯანიშვილმა კარგად იცოდა, რომ მისი ცოდნა არ იყო საკმარისი და ამას მტკივნეულად განიცდიდა.

რამდენიმე დღეც და სამოცი წელი შესრულდება მას აქეთ, რაც პირველად გავიდა მარჯანიშვილის თეატრი საქართველოს საზღვრებს გარეთ.

წლევანდელი წელია მარჯანიშვილის თეატრის თბილისში დამკვიდრების სამოცი წლისთავი.

ორიოდე კვირაც და მარჯანიშვილის გარდაცვალების დღეც მოვა.

მან დაგვიტოვა დიდი თეატრალური კულტურა, მოწინავე ცივილიზებული ქვეყნის შესაფერისი კულტურა.

მან ძირეულად გარდაქმნა და განაახლა რუსთაველის თეატრი.

მან შექმნა მეორე სახელმწიფო თეატრი — დიდი ეროვნული კულტურის კერა, რომელიც მის სახელს ატარებს.

მან გამოავლინა, აღზარდა და დაამსტატა მსახიობთა მთელი თაობა.

მან, ახმეტელთან ერთად, მოახდინა ქართული თეატრის მოდერნიზაცია, განაახლა სასცენო ლექსიკა, გამოავლინა ქართველი ხალხის არტისტული შესაძლებლობის მთელი სიმდიდრე, დაამკვიდრა სინთეზური თეატრი, უმძიმეს ისტორიულ პირობებში ქართველ ხალხს მიანიჭა სიხარული, შემატა სიმხნევე.

მან... თუმცა, ასე ჩამოთვლით როგორ განვსაზღვრავთ მარჯანიშვილის ღვაწლსა და ამაგს. არ არსებობს რაიმე საზომი, რომელიც მის დამსახურებას აწონ-დაწონის.

„ჩვენი ერის სტატისტიკის სიმცირე და ასპარეზით სივიწროვე კოტე მარჯანიშვილისთანა დიდ ქართველებს წინამძღვრით ემუქრებოდა“ (ტ. ტაბიძე).

წინამძღვრი სიმბოლოა დიდ ქართველთა ტრაგიკული ხვედრისა.

წინამძღვრის ხმა მუდამ თან სდევს ყოველ დიდ ქართველს სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც.

„შრომობა მიიღო ჩემმა გულმა ჩემს სამშობლოში“, — წერდა შვილს.

ღრმა შრომობებით იხერხებოდა მისი გული:

1924 წელს,
1926 წელს,
1930 წელს,
1932 წელს.
1933 წელს გარდაიცვალა.

ქართველი კაცის მდიდარ ბუნებას თუ რამ წაართვა ღმერთმა, გაფრთხილების ნიჭი წაართვა, — თავისი შვილის, თავისი სისხლისა და ხორცის, თავისი ერობის გამომჩენისა და მასახელებლის გაფრთხილების ნიჭი!

ახეა: „იქ, ევროპაში, თითოეული მამულიშვილი ისე უფრთხილდება ერისთვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებას, როგორც საკუთარი თავისას“ (ილია).

# პელოდებით გადაბმული ციფრების შემსწავლელ კოოპერატივს

პატივცემულო რედაქცია!

5 აპრილს, მწერალთა კავშირიდან სამსახურებრივი სატელეფონო შეკვეთა გადავეცით საქალაქთაშორისო სადგურის მორიგეს (სხვათაშორის, ე. წ. მთავრობის ტელეფონით). მეელსმენემ მიპასუხა რუსულ ენაზე. თავაზიანად ვთხოვე შეკვეთა მიეღო ქართულ ენაზე, რაზედაც მან რატომღაც გაოცებულმა და განაწყენებულმა კატეგორიული ტონით მიპასუხა, რომ ქართული არ იცის. იქვე უხეშად შემომთავაზა „ოპტიმალური გამოსავალი“ — ჩემი ლაპარაკი თუ არ მოგწონთ, მობრძანდით და თქვენ თვითონ იმუშავეთო. აი, ასე ლაკონურად და „გონებამახვილურად“ იქნა შეფასებული ჩემი „წვრილმანი“ მოთხოვნა. ერთი სიტყვით, უცნობი მეელსმენე შემომწყრა და ყურმილი დამიკიდა. ამ უსიამოვნებას ძალვის შეუტოკებლად შევხვდი-მეთქი რომ გითხრათ, არ უნდა დამიჯეროთ. იმ დროს ჩემთან მყოფი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის მ. წერეთლისა და მთარგმნელობითი კოლეგიის თანამშრომლის თ. გრძელიძის რჩევით, მაშინვე დავუკავშირდი კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს ბატონ ბორის ბოჭორიშვილს. ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ მას შევჩივლე და, ჩემი მოკლე ჰკუით, სასწრაფოდ ჩავაყენე საქმის კურსში. ბატონმა ბორისმა, ისე რომ, ეს ამბავი მაინც და მაინც გულთან ახლოს არ მიუტანია, ხაზგასმული სიმშვიდით დამაიმედა, ყველაფერს გავარკვევთო, ალბათ შემთხვევითმა პირმა გიპასუხათო (?!) და ა. შ. ცოტა ხანში ისევ დაგირეკავთ პასუხის გასაგებად-მეთქი, შევახსენე მენუ შეწუხდებითო, მირჩია, თავის მხრივ, მან. ცოტა ხნის შემდეგ მაინც „შევწუხდი“ და დავურეკე. მინისტრის მოადგილის პასუხი, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა: — რა მოხდა ისეთი, მორიგე მეელსმენე ვერა ლუკიანოვა ყოფილა, ორმოცი წელია ჩვენთან მუშაობს, მართალია, ქართული არ იცის, მაგრამ ამით ქვეყანა არ იქცევაო და ა. შ. მაინც რა ზომების მიღებას აპირებთ-მეთქი, რომ ვკითხე, თქვენ თვითონ მომინახეთ უკეთესი მეელსმენეებიო, არცთუ მთლად კეთილგანწყობით მიპასუხა. ხოლო, როცა შეიტყო, რომ მისმა პასუხებმა, გასაგები მიზეზების გამო, ჩემი აღშფოთება გამოიწვია, აქეთ შემომიტია და, როგორც იტყვიან, ჯიჯურ მაჯაბა — ბოლოს და ბოლოს რა გაჭირეთ საქმე ამ მწერლებმა! ბოლო ხანებში დაიწყო ეს ხმაური, თორემ წინათ ვინ აქცევდა ასეთ რამეებს ყურადღებასო. თქვენ თუ თბილისელი ხართ, ასეთ დარღვევებს კი უნდა შეჩვეოდით... მე პირადად თბილისელი ვარ და უკვე მიჩვეული მაქვს ყური... ჩვენს ქალაქში მრავალ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ მე ინტერნაციონალისტი ვარ და ეს სულაც არ მაღიზიანებსო...

აი, ასე მარტივად, უბადალებული „თბილისური ინტერნაციონალიზმით“ გამიბიაბურა პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა მთელი ჩემი „ბოლო ხანებში“ მომძლავრებული გულისტკივილი.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია რა გადამწყვეტ ღონისძიებებს გაატარებს იგი მისდამი დაქვემდებარებულ სისტემაში აწ ზურგშექცეული ქართული ენის უფლებების აღსადგენად. სხვათაშორის, ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა რესპუბლიკის პრესაში, მრავალჯერ ითქვა ტელევიზიითაც, მაგრამ... თბილისელი თუ ხარ, თურმე კი უნდა გქონდეს ყური მიჩვეული!

ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ მინისტრის მოადგილესთან საუბრის შემდეგ სულ რაღაც ათიოდ წუთში დამირეკა ქ-ნმა სვეტლანა შველიძემ. გამეცნო, როგორც საქალაქთაშორისო სადგურის პასუხისმგებელი მუშაკი და მას შემდეგ, რაც ამომწურავად დააზუსტა თუ ვინ ვიყავი, რა ჩიტი ვიყავი და რაგვარი აზრები მიტრიალებდა თავში, მთხოვა მისთვისაც მეამბნა მომხდარი ინციდენტის შესახებ (ეტყობა, იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელმძღვანელის ოპერატიულ დავალებას). წუთა საუბარშიც არ ვიყავით, ჩვენი „საათივით აწყობილი“ ტელეფონი რომ გაითიშა (სხვათაშორის, ისევე, როგორც თვით მინისტრის მოადგილესთან საუბრის დროს), ბოლოს და ბოლოს, როცა ისევ დავამყარეთ ერთმანეთთან სატელეფონო კავშირი, ქ-ნმა სვეტლანამ, თავის მხრივ, საკმაოდ სენტიმენტალურად ამიხსნა, რომ ვერა ლუკიანოვა 18 წლის გოგონა მოვიდა მათთან სამუშაოდ და უკვე 40 წელია კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რომ ორმოცი წლის მანძილზე მან შეისწავლა ქართული სიტყვები, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ დაეუფლა ქართულ ციფრებს, უფრო სწორად, ცალკეულ ციფრებს კი არჩევს, მაგრამ უჭირს ისეთი „გადაბმული“ ციფრების გაგება, როგორიცაა „ოცდასამი“, „ორმოცდაშვიდი“ და ა. შ. ბოლოს ქ-ნმა სვეტლანამ პირობა მომცა, რომ დღეიდან ქ-ნი ვერა ინტენსიურად შეუდგება ციფრების შესწავლას... (გეჭირთ ხომ პატივცემულო მკითხველო დაჯერება? არაუშავს, თავიდან მეც მიჭირდა, მაგრამ შემდეგ, რაკი თბილისელი ვარ, თანდათან შევაჩვიე ყური).

საუბრის დასასრულს ქ-ნმა სვეტლანამ „მორიდებულად“ შემომაპარა, რომ „მკაცრად და ერთბაშად“ თუ შევეცდებით საქმის გამოსწორებას, ნაციონალისტობას დაგვწამებენო... (არ დავმალავ, ქ-ნი სვეტლანას მიერ ფრთხილად გამოკრულ ნაციონალიზმზე — სიტყვა-სიტყვით ვუპასუხე შემდეგი: — თუ ნაციონალისტია ის, ვისაც თავისი ენა და სამშობლო უყვარს, ჩათვალეთ, რომ პირწავარდნილი ნაციონალისტი გახლავართ-მეთქი, ხოლო თუ ინტერნაციონალიზმია ის, რომ მე, რაკი სხვადასხვა ენებზე ყურმიჩვეული თბილისელი ვარ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე არ უნდა ვცდილობდე ეროვნული უფლებების დაცვას — მე არამც და არამც არა ვარ ასეთი ინტერნაციონალისტი!).

ბოლოს, როგორ გგონიათ, რით დამთავრდა ჩვენი საუბარი? — ახლა დაიწყეს ამისთანა რამეებზე ყურადღების გამახვილება, თორემ წინათ... (აქ უკვე ქ-ნი სვეტლანას ლოგიკა და ლექსიკონი განსაცვიფრებლად დაემთხვა მისი ხელმძღვანელის პოზიციას) და ბოლოს (მოი, საოცრებავ!) მანაც მომმართა თხოვნით, ცოტა თქვენც უნდა წამოგვეხმაროთო.

საბოლოოდ, როგორც იქნა, შევთანხმდით, რომ ჩემი აღშფოთება (და არა პასიური დამოკიდებულება!) მომხდარი ინციდენტის გამო კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობას სწორედ დახმარებად და მხარში ამოდგომად ჩაეთვალა, რომ დანაშაულებრივი დუმილი, გულგრილობა და უკულმართად გაგებული „თბილისური ინტერნაციონალიზმი“ საქმეს ვერ გამოასწორებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ზემოთ მონათხრობი ინციდენტიც შევეძლო „ჩაგვეყლაპა“, მაგრამ რა ვქნათ, თუ სწორედ ამგვარი „წვრილმანი“ შემთხვევებითაა შეკობილი კავშირგაბმულობის სისტემაში ქართული ენის იგნორირების ჭრელი სურათი.

რაც შეეხება ცალკეულ სასიკეთო ძვრებს, ამას ჩვენ არა მარტო ვხედავთ, არამედ აქტიურადაც ვუჭერთ მხარს. მითუმეტეს, კარგად გვახსოვს, რომ სასიკეთო ცვლილებების იდეა, სამწუხაროდ, თვით კავშირგაბმულობის სისტემაში კი არ გაჩენილა, არამედ ფართო საზოგადოების აქტიური მოთხოვნისა და, დიახაც, მწერლების მიერ „საქმის გაჭირვების“ შედეგად წარმოიშვა.

მრავალთა შორის სამაგალითოდ შემიძლია მოვიტანო ჯერ კიდევ 1985 წ. ოცი ქართველი მწერლის მიერ ხელმოწერილი ვრცელი განცხადება კავშირგაბმულობის მინისტრის სახელზე, რომელიც კანცელარიაში ისევ და ისევ რუსულ ენაზეა რეგისტრირებული: «Мин. связи Груз. ССР»...

განცხადებაში ვწერდით, რომ რუსთაველის გამზირზე ახლადაშენებულ კავშირგაბმულობის მე-8 განყოფილების თანამშრომლები საქალაქთაშორისო გამოძახებათა გამოცხადებისას, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, სისტემატურად უგულებელყოფენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენას...

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში დეპეშების არაქართული შრიფტით გადაცემა მრავალ ენობრივ უხერხულობას იწვევს. მათ შორის არც კურიოზული შემთხვევებისაგან ვართ დაზღვეული... და ა. შ.

სხვათაშორის, ურთიერთპატივისცემის ელემენტარული წესი მოითხოვდა კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობას წერილობითი პასუხის ღირსად ეცნო ოცი ქართველი მწერალი.

მსგავს „წვრილმანებზე“ სხვა დროსაც ასევე ოპერატიულ და აქტიურ გამოხმაურებას უნდა ელოდნენ ფართო საზოგადოებისაგან ყველა იმ დაწესებულებასა თუ უწყებაში, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეგუებიან იმას, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა ქართული ენაა. 6. IV. 89 წ.

## მინაწერი ერთი წლის შემდეგ

როგორც ხედავთ, ეს წერილი ერთი წლის წინაა დაწერილი, 9 აპრილის ტრაგედიამდე 3 დღით ადრე, მაგრამ ისე მოხდა, რომ მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ, გაითვალისწინა ურთიერთობების გამწვავების პერსპექტივა და, წერილი „შეაჩერა“. ე. ი. თავი შეიკავა მის დაბეჭდვაზე. სიმართლე გითხრათ, მწერლიდენი ყოყმანის შემდეგ არც მე გავჯიქებულვარ. „ვიფიქრე, იქნებ მართლა „გაჭირვებ საქმეს“ და ნამეტანი „ერთბაშად“ ვაპირებ „გარდაქმნას“-მეთქი, და ეს წერილიც „შეჩერებულთა“ უჯრაში შევაცურე. ასეა თუ ისე, მას შემდეგ იქნებ არც კი გამხსენებოდა, რომ არა ერთი გარემოება.

ამ რამდენიმე დღის წინ (20 მარტს) ზუსტად იგივე ამბავი განმეორდა იმავე მიზეზით, იმავე ტელეფონზე, იმავე ხალხისა და თვით მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ბატონ მუხრან მაჭავარიანის თანდასწრებით. ოღონდ, ამჯერად, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ბატონი ზვიად გამსახურდია და ლუკიანოვას შემცვლელი ვინმე ვასერმანი, რომელმაც, მიუხედავად დაჟინებული თხოვნისა, არამც და არამც არ „იკადრა“ ბატონ ზვიადთან ქართულად ლაპარაკი და ყურმილი თარჯიმანს გადასცა. ზ. გამსახურდიამ, თავის მხრივ, საკმაოდ კორექტულად გააფრთხილა უჩინარი პასუხისმგებელი პირი, რომ ასეთ სამუშაოზე ქართულის არმცოდნეთა დაყენება დაუშვებელია. ინციდენტმა, რა თქმა უნდა, დამსწრეთა აღშფოთება გამოიწვია.

ამჯერად, როგორც იქნა მივხვდი, რომ ბატონი ბორის ბოჭორიშვილი არ უნდა შემეწუხებინა. ბოლოს და ბოლოს ხომ შეეძლო გულმოსულს ეთქვა — რა „გააჭირე“ საქმე, ვილაცა მოცლილი ხარ, რას გადამეკიდე, ამდენხანს როგორ ვერ შეაჩვიე ყური ამისთანა წვრილმანებსო და ა. შ.

ერთი სიტყვით, ერთმანეთისათვის ნერვები რომ არ აგვეშალა, გადავწყვიტე, ერთი წლის წინ დატყვევებული წერილისათვის ამნისტია გამომეცხადებინა.

ახლა უნებლიედ მახსენდება სხვადასხვა დაწესებულებები, კანცელარიები, სასადილოები, სადაც ვილაც „ჰკვიანის“ მიერ მოყვანილი ერთი არაქართველი დედაკაცის გამო მთელი კოლექტივი იძულებულია რუსულ ენაზე მოითხოვოს საჭმელი, ცნობა, საქმიანი ქაღალდები და სხვა.

უცნაურია კია ღმერთმანი, დღეს, როცა კავშირგაბმულობის მუშაკებმა ასე გაგვახარეს ქართულენოვანი სატელეგრაფო აპარატების შექმნით, მას შემდეგ, რაც რკინაც კი გავაქართველეთ, ნუთუ ადამიანებს ვერ უნდა ავთავადგმევინოთ ენა ქართულად?!

აქვე წინასწარ ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც მეგობრობისა თუ პირადი ურთიერთობების გამო ბატონ ბ. ბოჭორიშვილს, ქ-ნ ლუკიანოვას ან ვასერმანს გამოექომაგება, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, პლატონთან მეგობრობა იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ ჭეშმარიტებას განვუდგეთ.

**ამირან კალაძე**
22. III. 90

დარბევის შემდეგ მოედანზე თორმეტნი დარჩნენ, თორმეტი პირტიტველი, ჩაჩქანიანი ჯარისკაცი. შორიდან ერთი აზრით, ერთი ნებით მომართულ უცხო არსებებს ჰგავდნენ.

ჯერ კიდევ ადრე იყო. ცას მორუხო-მოცისფრო გადაჰკრავდა. ადრიანი გაზაფხულის უღიმღამო, უმზეო დღე დგებოდა... ირგვლივ უცნაური სიჩუმე და მკვდრული მდუმარება სუფევდა. მხოლოდ ნაძვის კენწეროზე შემომჯდარი უხილავი ჩიტის გალობა არღვევდა მყუდროებას. გალობდა რაღაცნაირი თავგანწირვით, ჟინით და ამ გალობაში თითქოს სიჯიუტესა და შეუპოვრობას აქსოვდა.

●

დაჭრილები და მიცვალებულები ჯარისკაცებმა უკვე წაასვენეს. ახლა მათ ნივთებში იქექებოდნენ. ქვაფენილზე ბლომად ეყარა დარბეული და გაქცეული ხალხის ნივთები, მოშიმშილეთა საბნები, ქუდები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელები, მოსწავლის ჩანთები. იქვე ეყარა დამტვრეული ბორჯომის ბოთლები და თერმოსები.

კაპიტანი, ხანშიშესული, ქერა, სათვალიანი მამაკაცი, შორიახლო იდგა და ჯარისკაცების საქმიანობას თვალს ადევნებდა. მანქანა ჯერ არ ჩანდა, რომ ნაგავი გაეტანათ. წარამარა საათზე იყურებოდა. აშკარად ეტყობოდა, ვერ იყო გუნებაზე. რატომღაც თავბრუ ეხვეოდა, თვალები ებინდებოდა და ჩხვლეტდა, ხედვა უჭირდა. ისიც აწუხებდა, მთელი დღე მის ბიჭებს რომ უნდა ემორიგევათ.

— ფუჰ! — გვერდზე გადააფურთხა კაპიტანმა და ისევ დაიხედა საათზე. უკვე ექვსი ხდებოდა. ლენინის მოედანზე ქალაქის მთავარმა საათმაც ექვსჯერ ჩამოჰკრა: ნაზად, მელოდიურად... კაპიტანმა ამოიოხრა და ჯარისკაცებისაკენ შებრუნდა. ზოგი ჩანთებს ჩხრეკდა, ზოგი საბნებს ბერტყავდა. მხოლოდ ერთი იდგა განზე, ჩაჩქანმოხდილი, ცისფერთვალა ჯარისკაცი და მწუხარე სახით იყურებოდა ზევით, ცაში. კაპიტანს არ მოეწონა მისი ნაღვლიანი გამომეტყველება. ჯარისკაცს გულჩვილობა და სინაზე არ შეშვენოდა, მხოლოდ ერთი იდეისთვის უნდა ყოფილიყო მზად: ბრძანების შესასრულებლად, მორჩა და გათავდა! ჯარისკაცების გონება საკუთარ აზრებს და შეხედულებებს არ უნდა შეეწუხებინა.

კაპიტანი მოიღუშა და გამშრალი ტუჩები მოილოკა. — წყეული ესტონელი, — გაიფიქრა რისხვით, — ეგეც ძაღლის სისხლისაა, უჯიშო! არც ეგენი დაგვინდობენ, არც ეგენი არიან სანდონი... კაპიტანს თანდათან მოუარა სიბრაზემ: — მაასიკას! — დაიყვირა უცებ, კბილების ღრჭენით, — მაასიკას!

ცისფერთვალა, გარინდებული ჭაბუკი გამოერკვა, თვალები დააჭყიტა და შეშინებით გამოიხედა. მერე სწრაფად დაიხურა ჩაჩქანი, ფეხი ფეხზე მხედრულად შემოჰკრა და მედგრად დაიყვირა, — აქ ვარ!

კაპიტანმა გესლიანად გაიღიმა.

— მოდი აქ! — თითი ქვაფენილს დაუმიზნა.

ჯარისკაცი მორჩილად წამოვიდა, ხელები დაუშვა და გაიჭიმა.

— რატომ არ მუშაობ, რას დაყუდებულხარ, — ქვედა ყბა მოეღრიცა კაპიტანს, — ოცნებობ, თუ რა არის?

— დიახ! — თუთიყუშივით წამოისროლა ჭაბუკმა, მაგრამ მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა და სწრაფად გამოასწორა. — არა, ამხანაგო კაპიტანო, ვმუშაობ.

— როგორ არა! — ფეხები დააბაკუნა კაპიტანმა.

ჯარისკაცმა შუბლი შეიკრა და თვალები დახარა. სახეზე დაეტყო, უნდოდა საპასუხოდ რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა.

კაპიტანმა ზურგზე ხელები შემოიწყო, ფეხის წვერებზე აქანავდა და ბიჭი ალმაცერად აათვალიერ-ჩაათვალიერა. თავის ტკივილმა თითქოს გაუარა. თვალებშიც გამოიხედა, რადგან ჯავრის ყრის მიზეზი იპოვა, დამშვიდდა და გუნებაც გამოუკეთდა.

— რაზე ფიქრობდი, გამიმხილე! — მხარზე ხელი დაარტყა. იქნებ, გიძნელდება დავალების შესრულება, იქნებ, ავად ხარ, ჰა?

ჯარისკაცს სახეზე დაძაბულობა დაეტყო.

— ავად არა ვარ, კაპიტანო! საიდანღაც ჩიტის გალობა მესმის და ყურს ვუგდებ. საკვირველია, ჩიტი არ ჩანს.

კაპიტანმა ეჭვით შეხედა თვალებში.

— რაებს მიჭარავ, ჰა? რა ჩიტი, რის ჩიტი, რა უნდა ქალაქის შუაგულში ჩიტებს და მიმინოებს, სად გგონია შენი თავი, ტუტუცო, სერჟანტმა გუშინაც გიჩივლა, თავს იავადმყოფებსო, მოგარჩენ, როგორც საჭიროა, გაიგე?

კაპიტანს თანდათან მოუარა სიბრაზემ, ცოფებს ჰყრიდა პირიდან, ერთი-ორჯერ მუშტიც კი აღმართა დასარტყმელად, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა.

— მესმის, ამხანაგო კაპიტანო! — ჩაიბურტყუნა ჭაბუკმა, ხმა ჩაუწყდა და მხარზე გადაკიდებული ავტომატის სახელურს დაუწყო წვალება. გამომეტყველებაზე ეტყობოდა, უკვე გული ყელში ებჯინებოდა, ცოტაც და ალბათ მაგრად, ჯარისკაცურად შეაგინებდა, მაგრამ კვლავ ვერ გაბედა და საკუთარმა უმწეობამ გააბრაზა. გულის სიღრმეში უცნაური სიძულვილი და სირცხვილის გრძნობა უღვიოდა. ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რისთვის გამოგზავნეს აქ, ამ უცხო მიწაზე, რატომ ერქვა ამ მიწას „მშობლიური“ და რატომ უნდა ებრძოლა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც მართლაც ჰქონდა უფლება დაეცვა თავი თუნდაც აი, ამ არამზადა კაპიტნისაგან, ახლა უწმინდური ჩექმით რომ თელავდა მშვენიერ ბზის ბუჩქებს და წაქცეული ნაძვის ვერცხლისფერ ტოტებს.



# ირინე ტალიაშვილი

# ჯარისკაცი

ჯარისკაცმა ამოიოხრა. ველარ იტანდა ჯარისკაცების დანახვას, აღარც კაპიტნის სუფთად გაპარსული სახის ყურება შეეძლო, „უჰ, რა სიამოვნებით მივაძაღლებდი ახლა, აქვე, ამ სისხლიან მოედანზე! — ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი, — მაგრამ არც ძალა შემწევს და არც სიმამაცე. აი, ესტონეთის მიწაზე კი ნამდვილად მივაკლავდი! არ ვაპატიებდი“...

— წავიდე? — წამოცდა უნებლიეთ და ქვეშ-ქვეშ გახედა კაპიტანს.

— ჯერ ჩიტი უნდა მოკლა!

ჯარისკაცი შეკრთა. სახეზე გაკვირვებამ გადაუარა, მაგრამ კაპიტნის გაავებულ, იქედნურ მზერას რომ წააწყდა, თითქოს რაღაცას მიხვდა. თუ ბრძანებას არ შეასრულებდა, შეიძლება ისიც სიკვდილისფერ კაპიტანს იმ ჩიტისთვის მიეყოლებინა.

ჯარისკაცმა ავტომატი გადმოიღო და სიტყვის უთქმელად გაასწორა სახსლეტი. მერე ზევით აიხედა და ნელ-ნელა მოატარა მზერა ირგვლივ, ხეების გარშემო. უცებ საოცარი სიჩუმე იგრძნო, დააყურადა, დაიძაბა. სიჩუმე თითქოს ხელშესახები და მისაწვდომი გახდა. გასულიერდა.

— აღარ გალობს, — წამოიძახა სიხარულით და მაშინვე დამალა აღმაფრენა. სახეზე ღიმილი მოისხვა.

— შენ რა გიხარია. ბეჰრე! — ჩაიხითხითა კაპიტანმა, ხელიდან ავტომატი გამოგლიჯა და ჭადრის ხეებს შორის ობლად აღმართულ ყველაზე მაღალი ნაძვის მიმართულებით ზედიზედ ისროლა.

ჯარისკაცებმა სროლის გაგონებაზე ნაგავში ქექვას თავი ანებეს, გამოიხედეს და კაპიტნისკენ გამოიქცნენ. ჩამრგვალებული, დიდთავა უზბეკი ჯარისკაცს მივარდა, მკლავები გადაუტრიალა. კაპიტანმა შეიგინა და უზბეკს დაუტატანა: — დაბრუნდი პოსტზე! — მერე ავტომატი ჯარისკაცს მოუგდო, აიმრიზა და ტანსაცმელი გაისწორა. ჯარისკაცმა ავტომატი მხარზე გადაიკიდა, ოდნავ მოიხარა და ზევით, მოხუფთავებული პატარა მოედნისაკენ გაემართა. ახლა შეამჩნია, რომ მაღალი, ხვეტებიანი შენობიდან შავლაბადიანი მამაკაცები გამოვიდნენ და ფეხაკრეფით, ლანდებივით ჩამომწკრივდნენ კიბეზე. მათ გარეგნობასა და მოძრაობაში გამყინავი სიმკაცრე და დაძაბულობა გამოსჭვიოდა. ჯარისკაცმა ზიზღით შეათვალიერა მამაკაცები და უნებურად გადააფურთხა, ქურთუკის საყელო ამოიწია, მოიკუზა და საფეხურზე ჩამოჯდა

მორიგე მანქანა უკვე მოსულიყო, მძღოლი შარვალს იფერთხავდა, მოედნის მოსარეცხად გამზადებული სახანძრო იქვე იდგა. მეხანძრეები რეზინის მილებს შლიდნენ. ჯარისკაცმა უხალისოდ გახედა.

— მერე მოგივლი, — მიაძახა ამ დროს გვერდით ჩავლილმა კაპიტანმა და კიბეზე ჩამომდგარი მამაკაცებისაკენ წავიდა. ჯარისკაცმა უკვე იცოდა, რასაც ნიშნავდა მუქარა. ალბათ ისევ მაუპტვახტი, ან ცემა ელოდა. უცებ სასოწარკვეთილება და სევდა დაეუფლა. როგორც ყოველთვის, ამ მძიმე წუთებშიც, დედა გაახსენდა, წინა დღეს ნუგეშითა და სიამაყით სავსე წერილი მისწერა: — „დედიკო, ჩვენ ვიბრძვით! — მაშინ არ იცოდა, რა იგულისხმებოდა ამ „ბრძოლაში“, მაგრამ კალამი მაინც გაურბოდა. — ახლა შემიძლია ვაჟკაცურად დავიცვა სამშობლო“! — ჭაბუკს სინანულით ჩაეცინა. დაჩოქილი ხალხის ხოცვას თუ ვაჟკაცობა ერქვა, მაშინ ნამდვილი ომი რაღა უნდა ყოფილიყო?

ამ დილით, გვამებითა და დაჭრილებით სავსე მოედნის გასაწმენდად რომ მოიყვანეს ჯარისკაცები, მაშინ მიხვდა, როგორ დაკარგა სიტყვა „სამშობლომ“ მნიშვნელობა და უფორმო, ერთსახოვანი ასოების გროვად იქცა. რა უფლება ჰქონდა სხვისი მიწისათვის „თავისი“ ეწოდებინა, მაშინ, როდესაც მართლა თავისი სხვას ეკუთვნოდა. ამ მარტივ ჭეშმარიტებას რომ ჩასწვდა, ღრმა მწუხარებით შეერხა გული. ხომ შეიძლება, ახლა, „სამშობლოს დაცვის“ საბაბით ისევე ხოცავენ და ელეტენ მის ხალხს, დედას, ძმას, დას... იმ გოგოს.... ჯარისკაცს ისევ მოაგონდა წერილი, დღეს ანიტასთან რომ აპირებდა გაგზავნას. — ძალიან ლამაზ ქალაქში გადმოისროლეს ჩვენი ნაწილიო, სწერდა ანიტას, — აქ, ხალხი, ეტყობა, ჩვენთან შედარებით მდიდრულად ცხოვრობსო, — უზიარებდა შთაბეჭდილებას, — განსაკუთრებით გოგონებს და ბიჭებს აცვიათ ლამაზადო...

ახლა, ეს წერილი რომ მოაგონდა, ჯარისკაცს შერცხვა. გადაწყვიტა, დაეხია და სხვა დაეწერა...

ჯარისკაცებს მოედანი უკვე აებლერტათ, სახანძრო მანქანიდან მოდენილ წყალს ხელებს უშვერდნენ და იბანდნენ. გაჭიმული, ჯიბეში ხელჩაწყობილი, ლაბადიანი მამაკაცები ისევ კიბის საფეხურებზე იდგნენ და გულგრილად უყურებდნენ ჯარისკაცების საქმიანობას. ჯარისკაცი ვერ ხედავდა მათი სახეების გამომეტყველებას, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ისინიც ამ თორმეტი ჯარისკაცივით ერთმანეთს ჰგავდნენ. უზარმაზარი ქვის კერპებს შორის ჩამდგარი მათი უმოძრაო, შავი ფიგურები სისხლისა და სიკვდილის სუნს ისრუტავდნენ... ჯარისკაცს ზიზღმა და სიძულვილმა მოუარა. უნებლიედ ყელის წვა და გულის რევა იგრძნო. ნესტოები დაბერა, რომ ღრმად შეესუნთქა ჰაერი და უცებ შორეული, დამწვარი გოგირდის მძაფრი სუნი ეცა. არ ესიამოვნა, ცხვირი შეიჭმუხნა და ისევ შეისუნთქა ჰაერი.

კვლავ იგივე სუნი იგრძნო. მოულოდნელად გაახსენდა, გუშინ ვიღაც არყით გამობრუჟული „მეძებარი“ როსტოველთა რაზმიდან რომ ყრანტალებდა, მიტინგზე იარაღი და საწამლავი ჰქონიათ მოტანილი, ფრთხილად უნდა ვიყოთ, თორემ, რამე რომ მოხდეს, შეიძლება ჩვენ დაგვბრალდესო... ჯარისკაცს მაშინ ამ ყბედობისათვის ყური არ უგდია, არც მნიშვნელობა მიუცია, მაგრამ ახლა ეჭვები აფუთფუთდნენ: „რა იცოდა, რა უნდა მომხდარიყო, ანდა, იქნებ ქართველებს კი არა და“... — უცებ დაარტყა შავმა აზრმა, როგორც ის ეძახდა უსიამოვნო ფიქრებს, შეძრწუნდა, გახევდა, — „ნუთუ გაგვიმეტეს, ჩვენც გაგვიმეტეს?“... — ამოუტივტივდა უეცრად და გზისპირას, ქვის საფეხურებზე ჩამომსხდარ ჯარისკაცებს გადაავლო თვალი. ბიჭები უკვე ისვენებდნენ. ვიღაცას პური და ძეხვი მოეტანა და ნაჭრებს ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს. ლაბადიანი მამაკაცები გაზონებს იქით, მოსახვევში გაჩერებულ მანქანებში სხდებოდნენ. ერთი მათგანი თან ლაბადის კალთას იკეცავდა, თან გამოთხოვების ნიშნად კაპიტანს რაღაცას ანიშნებდა.

ჯარისკაცს ისევ მოუარა გულის რევამ. ნერვები ეწიწკნებოდა და ეჭიმებოდა. სახანძრო მანქანის წყლის შხუილიც შორიდან გამაღიზიანებლად ჩაესმოდა. ერთი სული ჰქონდა, თავი სადმე მიედო და მიეძინა. მაინც მოიკრიფა ძალა. ხელში შერჩენილი რეზინის მილი მოიქნია და იქითკენ მოისროლა, საიდანაც წეღან ჩიტის გალობა ისმოდა.

— მაასიკას! — დაიყვირა ამის დანახვაზე კაპიტანმა და ხელკეტი მუქარით აღმართა. ჯარისკაცმა ვითომ ვერ გაიგონა. მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. თუ გამბედაობა ეყოფოდა, იქნებ თავიც მოეკლა, მაგრამ რა, მისი სიკვდილი აქ ვის შეაწუხებდა?

— თვითმკვლელობა... თვით... თვით... — უნებურად აეკვიატა სიტყვები და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ფილტვები შხამიანი მტრის ნამცეცებით ევსებოდა. ხახაც გაუშრა, ენა დაუმძიმდა, გაუხივდა.

— მაასიკას! — უყვიროდა კაპიტანი. ჯარისკაცები უგემურად ილმურძლებოდნენ. საიდანღაც ისევ ისმოდა ჩიტის გალობა და ჯარისკაცს ისევ იპყრობდა სინაზისა და ნაღვლის განცდა. მეტის გაძლება აღარ შეეძლო, ნელ-ნელა ჩამოიხსნა ავტომატი მხრიდან, ნელ-ნელა ააცურა ზევით, საფეთქელთან, ნელ-ნელა გამოსწია სახსლეტი, ნელ-ნელა... მაგრამ ვერა, ვერ გაიმეტა თავი,—„ღმერთო, ჩემო, ღმერთო, ჩემო!“... კინაღამ ხელები წაიშინა დედაკაცურად, გულის სიღრმეში ვიღაცა აყვირდა. ჯარისკაცმა არ იცოდა, ვინ ეწინააღმდეგებოდა ასე ძალუმად მის სურვილსა და ნებას, ვინ განაგებდა ამ წუთში მის არსებობას, ვინ სჯიდა.

— ნუთუ, ღმერთი, ღმერთი!.. ღმერთი?! — ისევ აყვირდა ვიღაცა მის არსებაში. ჯარისკაცს მთლად წაერთვა ძალა. ავტომატი თავს ზევით ასწია და ცას დაუმიზნა. ხმამ ჰაერი შეარყია. მაინც ვერ ჩაკლა პაწაწინა ჩიტის გალობა, მაინც გალობდა ჩიტი,.. მაინც... არ ჩანდა, მაგრამ მაინც გალობდა... ჯარისკაცი თანდათან მოიღვენთა, სული უზომო, უმძიმესი სევდით აევსო, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა, თავი ჩაჰკიდა და მწუხარებით, ხმამაღლა, პატარა ბიჭივით აქვითინდა.

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.



●

ამდენი კუბო საქართველოს ბეჭით მიჰქონდა,
მძიმედ მიჰქონდა მდუმარს, ნაგვემს და თალხდროშიანს,
ვაიმე, ახლა როგორ მწარედ გტკივათ ჭრილობა
და როგორ გშიათ.
ვაიმე, როგორ გჩეხეს, გკუწეს, გაგატიალეს,
ჩვენ დაგვაფიზლეთ, თავად გძინავთ ბრძოლით დამცხრალებს,
მო, გადაშალე, ეს ფურცელიც, მემატიანევ,
სისხლით გამძღარი.
ეს, მერამდენედ უნდა გვჩეხონ და გადაგვთელონ,
ექალი ხარობს, ყორანი ყორნობს, მუხთალი მუხთლობს,
ბრალად გვედება, ჩვენი ხატი და საქართველო,
რომ გვიყვარს უღვთოდ.
ბედმა კრწანისი ერთხელ კიდევ გამოგვატარა,
კვლავ მიიმატებს მატიანე წუთებს ამაზრზენს,
ვით მოგილირათ, მზაკვრული ცელი, ნეტა, სატანამ,
ასე ლამაზებს.
. . . . . . .
ერისთვის მოკვდნენ,
მიიღე, ღმერთო!

მზისადარ ნავროზაშვილი

1989.



# ლექსად თქმული მწუხარება



რედაქციისადმი გამოგზავნილ ლექსებს, ძალიან ხშირად, პატარა ბარათებიც მოჰყვება. თითქმის ყველა ბარათში მეორდება ერთიდაიგივე მობოდიშება—მე პოეტი არა ვარ, არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ამ საშინელმა ტრაგედიამ მეც ამაღებინა კალამი ხელში და ლექსი დამაწერინაო.

აი, ასეთი, სტიქიურად დაბადებული ლექსები იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში. პოეტური ტალანტი და ოსტატობა მეტ-ნაკლებად ჩანს ამ ლექსებში, მაგრამ, სამაგიეროდ, აშკარად იგრძნობა საერთო, სახალხო გულისტკივილი და რისხვა, საერთო-სახალხო განგაში.

რედაქციაში გამოგზავნილი უამრავი ლექსის დაბეჭდვა, ცხადია, შეუძლებელი იყო... ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ამოვარჩიეთ და ვთავაზობთ მკითხველს.

ქართული ლექსი და სიმღერა მხოლოდ ლექსი და სიმღერა როდია — მხოლოდ პოეტებისთვის და მომღერლებისთვის როდი გაუჩენია იგი ღმერთს... ქართველი კაცისთვის ლექსი და სიმღერა სიხარულის და მწუხარების გამოხატვის საშუალებაა, მისი მუდმივი თანამგზავრია ისტორიის ძნელ გზაზე... და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ცხრა აპრილის დიდი მწუხარების დროსაც ხალხმა ასე მასობრივად მიმართა თავისი ჭირის ძველ გამზიარებელს — ლექსს. ლექსად თქმული მწუხარება კი იგივე იმედია, სამომავლო ბრძოლების ყიჟინაა.

ზოგიერთ ლექსს შემოკლებით ვბეჭდავთ.

## რა უნდა ვუთხრა

ცხრა აპრილის შემდეგ ძილი გამიტყდა,
ვაიმე, შავი სიზმრები მკლავს;
შევყურებ ჭოველიძის თმაგაშლილ დედას...
მეც დედა ვარ და შვილები მყავს.
ბეჟანიშვილის მშობელი, საბრალო,
მოთქმით და გოდებით მდაგავს და მწვავს,
რა უნდა ვუთხრა შვილმოკლულ დედას?
მეც დედა ვარ და შვილები მყავს.
ხანდახან სიზმარი კოშმარად მექცევა,
ვებრძვი და ვიგერიებ უამრავ ყვავს;
ცხრა აპრილის შემდეგ ძილი გამიტყდა,
მეც დედა ვარ და შვილები მყავს.

მერი ვალაშვილი

## განა მართლა სანთლებია?

ამ დღეებში რუსთაველზე გაგივლია?
გინახია, იქ რამდენი ყვავილია?
ღამ-ღამობით ჩუმ-ჩუმად რომ იცინიან,
დაღუპული გოგონების სიცილია.
რომ ანთია, განა მართლა სანთლებია?
თვითონ დგანან, იწვიან და არ ქრებიან,
ყვავილები შეუერთდნენ უკვდავებას,
ენთებიან, არასოდეს დაჭკნებიან...
და ვარსკვლავებს ვარსკვლავები დასცქერიან,
ჩვენგან მხოლოდ შესანდობრის თქმას ელიან...
რუსთაველზე გოგონები იცინიან,
სასიკვდილოდ მათი დაჭრა სირცხვილია.

ეთერ აფაქიძე

## როცა...

ვუსაყვედურო, რანაირად, არაქართველებს,
ქართველი ასე — გლალატობს
როცა...

როგორ ვასწავლოთ სიყვარული ჩვენი ტაძრების,
გარეჯი ასე ინგრევა
როცა...

როგორ ვებრძოლოთ გარეშე მტრებს, როგორ
ვებრძოლოთ,
ოჯახში მტრები დაძრწიან
როცა...

როგორ ვისუნთქოთ თავისუფლად, როგორ
ვისუნთქოთ,
თავისუფლება არა გვაქვს
როცა...

ხათუნა თავდგირიძე

●

ღვთისმშობლის ხატთან
მგლოვიარე გოგონა იდგა
სანთლებით ხელში...
ნაზი ბაგე ლოცვებით სავსე...
და ჰგავდა მისი მწუხარება
ქარიშხალს იმგვარს,
ცრემლიან სახმისს
რომ მოგაწვდის და გასმევს, გასმევს!
ვედრება მისი
მწუხარებას ცად აეტანა,
კრთოდა სიონი,
ილევრებოდა უთქმელი სევდა,
პატარა აკვანს
აძინებდა ყვავილთა ნანა
და საქართველო
დაჩოქილი სულს ლევდა, ლევდა!
ღვთისმშობლის ხატთან
ხანჯლით ხელში გოგონა იდგა.

ტარიელ როგბაქიძე

## მრავალჟამიერ!

ქართველნო, კმარა გლოვა-ტირილი,
დე, ჩვენი მტერი ტიროდეს მუდამ,
მტერს ქართველურად და ვაჟკაცურად,
გამკლავება და დახვედრა უნდა!
უნდა ვიმრავლოთ, უნდა ავმაღლდეთ,
გავაძლიეროთ ჯიში და ჯენი,
ჩვენი სიკეთის, ჩვენი სიმრავლის
შურით კვდებოდეს ორგული ჩვენი!
გავუმკლავებივართ რამდენ ქარიშხალს,
არ შეგვიცვლია აროდეს ფერი,
„მრავალჟამიერ“ ისმოდეს მუდამ,
მრავალჟამიერ, მოგიკვდეთ მტერი!

ვენერა ბადაშვილი

## აღმართულებო ქართლის ვედრებად

დგახართ ხალხის და ღმერთის წინაშე
უცოდველნი და მკლავაღმართულნი,
რომ გადაეცეთ შთამომავლობას,
ვით ეს ჟამი და მიწა ქართული.
ორლესულ ნიჩბებს, ტყვიას თუ აირს
რა დააკავებს — მთად რომ მოსკდება...
იხოცებოდით ანგელოზები,
იბადებოდით ანგელოზებად.
შეგვიწირია მამულისათვის —
ვასაფანტავად ჯანღის და ნისლის,
ოთხმოცდაცხრა წლის აპრილის ღამეს
თბილისის ცის ქვეშ დაღვრილი სისხლი.

ვალერი მესხი

## ვარსკვლავებად ბრწყინავთ ცაზე

ვით არწივნი ალგეთიდან —
ისლბუზით, მთაწმინდით,
მშობელ ცამდე აზვედით და
ვარსკვლავებად გაბრწყინდით!
საქართველო, მტრის ჯინაზე,
ყოფილიყოს დღეგრძელი!
ვარსკვლავებად ბრწყინავთ ცაზე
დღეს ჩვიდმეტი „წუნეთელი“.

ავთანდილ რევიშვილი

## მაგრამ ისევ...

ხალხი სევდით ავსებულა ერთობ,
ეს რა რისხვა მოგვივლინე, ღმერთო!..
კვნესის ზვავმა გადათელა ხალხი,
გადაეკრა მწუხარების თალხი...
მაგრამ ისევ მტკიცედ დგანან ძელქვები,
ალგეთიდან ჩამორბიან ლეკვები.
ხალხი სევდით ავსებულა ერთობ,
ეს რა რისხვა მოგვივლინე, ღმერთო!

შალვა ბესიკიშვილი

●

დედაქალაქო, თბილისო,
ყველას დედავ და პატრონო,
მუდამ სწორი გზით მავალო,
ყველაფრის აწონ-დამწონო.
ვაი, რა გლოვა გაისმა —
ქართველებს დაგვცეს თავზარი,
რა წმინდა სისხლი დაიქცა,
უმწიკვლო, ალალმართალი...
გაულიტეს ახალგაზრდობა
ქვებით, კეტებით, ბარებით...
დედასამშობლოს დარეკა,
სამგლოვიარო ზარები.
მტერო, ნუმც გაგიხარია,
თავისუფლების ხმა მოდის —
თავისუფლების დროშები
აპრილის სისხლზე ამოდის!

ირა ახალაძე

## სისხლიანი აპრილი

რუსთაველის გამზირი...
ანგელოზთა კრებული...
ციხკარს გამყვა ზეცაში
გუნდი თავდადებული.
თავისუფალ მანგების
მომღერალი ამაყად,
შემცდარია, ვინც ფიქრობს,
საქართველო დამარცხდა.
წმინდა სისხლმა რიჟრაჟი
უფრო გაგვილამაზა...
გველი ბოღმით დაცურავს,
ელის ახალ სამსხვერპლოს,
უნდა კიდევ დაგვგესლოს,
უფრო მეტად დაგვცეცხლოს.
— რატომ, რისთვის სისინებ,
მუხანათო, მზაკვარო!
ზიზღით უცქერს შენს სახეს
ახლა მთელი სამყარო...

ნოდარ კაკაბაძე

## დღეს საქართველო გამოცდას გადის

დღეს საქართველო გამოცდას გადის,
ზეცის სამრეკლო ზარებსა რეკავს...
იქ დედო ზარის თოკი უჭირავს
მარად ჩვენს მფარველ ღვთისმშობელ დედას.
დღეს საქართველო გამოცდას გადის,
ერსა და მამულს უჭირს ორივეს.
ეს ჭირი მხოლოდ ჭირი არ არის
და იგი უფრო გაგვაღონივრებს.
დღეს საქართველო გამოცდას გადის
და თვით ბუნება სცდის საქართველოს...

ლუარსაბ ვარდანაშვილი

## მოკლულის ხელის ძახილი

ცხრა აპრილი სისხლისფერად
გაუთენდა ქართვლის დედას,
ვკვდები, მაგრამ ასე მჯერა —
საქართველო იბადება.
დედავ, ეს რა ჩაგიცვია,
დედავ, ეს რა შავებია.
მაპატიე, ჩემო დედი,
თუ რამ დამიშავებია...
ხერხემალი გადმიმტვრიეს,
ჭრილობა მაქვს უსაშველო.
მტრის ჯინაზე ნუ შედრკები,
ალსდექ, ჩემო საქართველო!

რეზო სახოკია

## კიდევ არსებობს პოეზია?!

საქართველოა იარები,
პირშეუკრავი იარები,
განგებისეულ ზიარებით
ზედ იარებზე ვიარებით.
კვალად - ცხრა რიცხვის მარტვილობა
ხილვას კოშმარად მოესხა,
კიდევ არსებობს პოეზია?!
კიდევ არსებობს პოეზია?!
სატანა ღმერთად იმოსება,
იმოსება და ნათელს უფრთხის,
სანთლებს — ტანკები, ლოცვას — ჯოხი,
სიმღერას — წიხლი, რწმენას — ფურთხი.
ტარიგი ზეცად ამაღლდება,
ტარიგი უხათნოესია.
ასე უმწეო, ფრთებდაჭრილი,
ტირის, ქვითინებს პოეზია.

ზეინაბ სარია

## ღმერთო, ჩემო!

ღმერთო, ჩემო, ჩემს ქვეყანას
შეუშრალე ცრემლი თვალზე.
არ ისმოდეს ჩვენს ტაძრებში
გალობანი, გლოვის ხმაზე.
არ ჩაუქრეს ჩემს ქვეყანას
სინათლე და მზის ნათელი.
კვლავ მანახე საქართველო
მშვიდი, წყნარი და ნათელი.
კვლავ ჩაიცვას ჭრელი კაბა
ჩემი ქვეყნის მთამ და მდელომ.
კვლავ ვიხილო წელგაშლილი
საყვარელი საქართველო.

მარგო თინიკაშვილი

## გოდება

ეს რა რისხვაა, ღმერთო,
შავი ფიფქები თოვენ,
შავი გადუკრავს ფერი
ცრემლებით შექმნილ ზღვას
ამოხოცილთა სულები
მართლმსაჯულებას მთხოვენ...
წყალს უნდა მივცე თავი,
ანდა ვაზალო ქვას.

ცირა ბლუაშვილი

## ქართვლის დედაო!

თამარის მანდილს ფიცულობდა ყოველთვის ხვანი,
ცოტნე დადიანს ფიცულობდა კოლხი მარადის.
ცრუ მფარველთ აწი ვერ ვენდობით ვერც ერთი წამით,
შთამომავალნი გმირთა ჩვენთა დიდგორ-მარაბდის.

ქართვლის დედაო, შენი ცრემლი, სიტყვა ყოველი,
არს ჩვენთვის წმინდა სალოცავი სვეტიცხოველი.

ვერ მოგვიშუშდა ჭრილობები და აგერ, მყისვე,
ნაჭრილობევზე კვლავ ჭრილობის გაჩნდა იარა,
ცხრა მარტი რატომ განმეორდა ცხრა აპრილს ისევ?!
ქართლოსიანთა სისხლმა მტკვარზე გადაიარა.

ქართვლის დედაო, შენი ცრემლი, სიტყვა ყოველი,
არს ჩვენთვის წმინდა სალოცავი სვეტიცხოველი.

დაინგრეს იგი ცრუ ტაძარი, ცრუ რწმენის, ხოტბის,
კაცთა გოლგოთის, ეშაფოტის და მძულვარების,
სანამ ენგური ენგურობს და არაგვი მორბის —
ავმაღლდეთ ცამდე სულით ჩვენით უმწიკვლესით!

ქართვლის დედაო, შენი ცრემლი, სიტყვა ყოველი,
არს ჩვენთვის წმინდა სალოცავი სვეტიცხოველი.

თემურ მიბჩუანი

## სამშობლოვ!

მე, თავისუფლებავ, ამდენ სისხლს რად ითხოვ?
რად გინდა სიკვდილთან ერთად რომ დადიხარ?
გვაკმარე ფიქრის და ლეჩაქის სიშავე,
რად გინდა, შავ ყორნად თავზე რომ დაგვჩხავი?
მამულო, ნუ კარგავ ვარდისფერ იმედებს,
უკეთესს ცხოვრება კვლავ გამოიმეტებს,
რომ ისევ გაისმას ამაყი მხედრული,
რომ ჩვენზე ვეღუდვნეს ეს თავი ბედკრული,
რომ ცის კაბადონზე ჩვენი მზეც ელავდეს,
რომ სული რწმენად და სიკეთედ ღელავდეს.
სამშობლოვ, აენთე დაღუპულთ იმედად,
ნუთუ ეს სიკვდილი სიცოცხლემ ინება?!
ათასმა ჯვარს გაცვა, ათასმა გაგტანჯა,
ხორცზე ნუ იდარდებ, სული ხომ გადარჩა.

მამუკა თედიაშვილი

## წერილი მეოთხე

# ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...

გურამ პეტრიაშვილი

ახლა კი ჩემი „თეორემის" მეორე ნაწილის მტკიცებას შევუდგები.

რატომაა, რომ მიუხედავად მისი ვაიპედაგოგობისა და ვაიმეცნიერობისა, საბჭოთა პედაგოგიურ მეცნიერებაში შ. ამონაშვილი ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული კაცია?

დავიჯეროთ, რომ ვერ ამჩნევენ მისი წიგნებისა და იდეების უხუსურობასა და აბსურდულობას?

რატ...მაა წამდაუწუმ მისი დითირამბ... საბჭოთა პრესაში? რატომ ...ენ ხანიმუშო პედაგოგ... ...ცნიერად?

რო... ...იმსახურა ქება-დიდება?

ახ... მოგახსენებთ — რითაც.

ხო... ...ახოვთ, ზემოთ ქართველი ბავშვ... გახარუსებელ დადგენილებ... ...ე რომ ვილაპარაკეთ.

ის დადგენილება 1978 წლის 10 ივლისითაა დათარიღებული.

სულ რაღაც ხუთი თვის შემდეგ გაზეთ „სახალხო განათლებაში" (7. XII. 78) დაბეჭდილია ცნობა, რომ გამართულა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგში მეცნიერული კვლევის საკოორდინაციო საბჭოს V სესია, რომელსაც განუხილავს შალვა ამონაშვილისა და გიორგი საყვარელიძის ნაშრომი „ექვსწლიან ბავშვთა ექსპერიმენტული სწავლება სკოლაში". თურმე მო...ხენებით გამოსულა შ. ამონაშვ..ლი და, აი, რა უთქვამს:

„ეროვნული, კერძოდ, ქართული სკოლის პირობებში დაწყებითი სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა მიერ რუსული ენის გარკვეული მოცულობით დაუფლება.

მოსამზადებელმა კლასებმა უნდა უზრუნველყოს, ჯერ ერთი, სასწავლო პროგრამების ნაწილობრივი განტვირთვა, მეორე, რუსული ენის სწავლების შემოღება პირველი კლასიდანვე და არა მეორე კლასიდან, როგორც ეს ამჟამად არის"-ო.

როგორ გგონიათ, მოეწონებოდათ თუ არა იმპერიულ-ასიმილატორული პედაგოგიკის მესვეურებს, ბატონი შალვა?

მოეწონებოდათ კი არა, ალბათ, იმავ წამს „ჩაეღრასტებოდნენ" და ჩაეხუტებოდნენ კიდეც.

პროგრამები განვტვირთოთო, ბრძანა შ. ამონაშვილმა. ისინიც ხელად მიხვდებოდნენ, რაც იგულისხმებოდა ამაში: ქართული გავაძევოთ და რუსული შემოვაგრიალოთ ტანკივითო.

მას მერე, მუხლჩაუხრელად „იღვწის" ბატონი შალვა ქართველ ბავშვთა გარუსებისათვის.

ბატონი შალვა!

აქ უკვე „ბატონმა" თავისი ნამდვილი მნიშვნელობა მიიღო და შემდეგშიც ასევე ვიგულისხმებთ: შ. ამონაშვილი ნამდვილად დიდი ბატონი გახდა ქართულ პედაგოგიკაში.

თურმე ერთხელ პოლიკარპე კაკაბაძის ირონიულად უთქვამს ერთ პოეტზე:

„მაგაზე ცუდი არა თქვათ, მაგას მოსკოვში აქვს „სპრავკა" აღებული, რომ კაი პოეტიაო".

იმპერიის მთავარი იარაღი სწორედ ის ხალხია, ვისაც მოსკოვში „სპრავკის" აღება სწადია.

ეს „სპრავკა" მათ იმისთვის უნდათ, რომ მერე რუსულ ცხენზე, უფრო სწორად კი, ტანკზე შესკუპდნენ და ისე შემოვიდნენ საქართველოში.

მათ არ ანაღვლებთ, თუ რას იზამს აქ ის ტანკი. რას გადათელავს და რას გასრესს.

მათთვის მთავარია, რომ ტანკზე სხედან და უკვე თვითონაც ბატონები არიან ჩვენი.

გაბატონებული და სპრავკიანტანკიანი შ. ამონაშვილი თამამად შეუდგა იაკობ გოგებაშვილის მიერ აშენებული ქართული პედაგოგიკის მშვენიერი ტაძრის ნგრევას.

ამ ნგრევას და გაპარტახებას მოფერებით თვითონვე „ექსპერიმენტული პედაგოგიკა" დაარქვა და ამ „პედაგოგიკის" ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ბაზისის შესაქმნელად წიგნებიც გამოაცხო.

მოსკოვში, „სპრავკას" ტყვილა არ იძლევიან, ბიძია, თავი უნდა გამოიჩინო.

ა, ბატონო!

«На другой день нашей школьной жизни я спросил детей:

— Хотите изучать русский язык?

И они ответили мне доверчиво и радостно:

— Да!»

რას იტყვით, ძმებო, ეკუთვნის მოსკოვური „სპრავკა" შ. ამონაშვილს?

ჰაი-ჰაი, რომ ეკუთვნის.

„სპრავკა"-„სპრავკად", მაგრამ, აბა, ჩავუფიქრდეთ, რა შემზარავია ეს ყველაფერი.

მშობლები, გუშინ გულის ფანცქალით რომ გამოაწყვეს შვილი და ჩანთა მოჰკიდეს ზურგზე, ფიქრობდნენ, ბავშვი ქართულ სკოლაში მიგვყავსო.

ალბათ, გზაში ლექსს ამეორებინებდნენ. მასწავლებელმა რომ გკითხოს, სხაპა-სხუპით უნდა უთხრა:

„მე პატარა ქართველი ვარ —

კავკასიის მთების შვილით".

სკოლაში კი თურმე ბავშვს ელოდება მასწავლებელი, რომელსაც ეს ლექსი სულაც არ ახსოვს. მას მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს, რომ რაც შეიძლება, მალე უპატაკოს შორეულ ბატონებს, უკვე ვტენი რუსულს ქართულ თავებშიო.

ეს „პედაგოგი" გულის ფანცქალით პირველს კი არა, ორ სექტემბერს ელოდება, რომ მისთვის სანატრელი კითხვა დაუსვას ბავშვებს: გინდათ რუსულის სწავლაო?

ამას ყოველივეს უფრო შემზარავს ხდის ის ამბავი, რომ „პედაგოგმა" იცის: ბავშვები ენდობიან მას.

„ოტვეტილი მნე დოვერჩივო"-ო.

„შენ მენდობი, პატარა ქართველო, მე კი ავდგები და ნაადრევად დაგაწყებინებ რუსულის სწავლას, აგიმღვრევ ტვინს, გაქცევ ორენოვან არსებად, დაგაკარგვინებ პიროვნებას, გაქცევ მონად და... ჩემი ბატონი დიდ რუსულ ორდენს ჩამომკიდებს და მეც იქაურ ბატონად ვიქცევიო. — აი, ასე ფიქრობს „პედაგოგი"...

რომ სწორედ იმპერიის მონებად სურს ქართველი ბავშვების გაზრდა შ. ამონაშვილს, ეს ჩანს მისი მსჯელობიდან.

მოდით, მოვუსმინოთ ამ მსჯელობას (თან გზადაგზა შევეცდები შესაფერი კომენტარებიც გავუკეთო).

«Они сказали мне «да» не только по доверчивости и наивности, не зная, на что соглашаются, а потому, что они действительно хотят говорить по-русски».

ხედავთ, როგორაა დარწმუნებული ჩვენი „პედაგოგი", რომ ბავშვებს თვით უნდათ მაინც და მაინც რუსულის სწავლა.

აბა, ვნახოთ რატომა სჭირა ასე.

«Они очень много наслышались в семье о важности знания русского языка».

არაა მართალი. თუკი რომელიმე ქართულ ოჯახში ნამეტანი ბევრს ლაპარაკობენ რუსული ენის ცოდნის დიდმნიშვნელოვნობაზე, მაშინ იმ მშობლებს ბავშვი რუსულ სკოლაში შეჰყავთ. ასე რომ, შ. ამონაშვილის აღსაზრდელ ბავშვებზე ვერ ვიტყვით „მნოგო ნასლიშალის"-ო. ისინი ხომ ქართულ სკოლაში მოიყვანეს მშობლებმა. ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ეგონათ, შ. ამონაშვილის სკოლა ქართულიაო.

«Они хотят понимать детские передачи, идущие по телевидению на русском языке».

შ. ამონაშვილი რომ მართლაც ქართველი პედაგოგი იყოს, იზრუნებდა, რათა ქართველი ბავშვებისათვის ქართული გადაცემები, რაც შეიძლება ბევრი იყოს ტელევიზიაში. ქართველ ბავშვებს, რუსული გადაცემის გაგება კი არ უნდათ, არამედ ქართულის ყურება.

«Мечтают поехать в Москву...».

აქ კი, მგონი, თავისი ოცნებები მიაწერა ბავშვებს ჩვენმა „პედაგოგმა". ვის გინახავთ ექვსი წლის ქართველი ბავშვი მოსკოვზე ოცნებობდეს? თანაც მთელი კლასი ერთად? თუ უცხო ქალაქის ნახვაზე ოცნებობს ბავშვი, რალა მაინც და მაინც მოსკოვზე უნდა იოცნებოს? განა ცოტაა ქვეყნად ლამაზი და დიდი ქალაქი? არა, ბატონო, „პედაგოგო", ეს თქვენ ოცნებობთ მოსკოვზე..

«...Стремятся общаться со сверстниками, говорящими по-русски».

ჯერ ერთი, გინდა თუ არა, რუს ბავშვს უნდა ველაპარაკოო, ამ მისწრაფებით აღგზნებული ქართველი ბავშვები მე არ შემხვედრიან, მეორეც და, რაც მთავარია, თუკი მართლა რომელიმე ბავშვს აღმოაჩნდა ასეთი მისწრაფება, თუ პედაგოგი ქართველი ხარ, უნდა განუმარტო: ჩემო პატარავ, ეგ რუსის ბავშვი, შენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე ცხოვრობს, შენი მამულის ჰაერითა სუნთქავს და აქაურ პურს მიირთმევს. ამიტომაც იგაა ვალდებული, რომ ისწავლოს ქართული. კეთილი ინებოს და შენს დედა ენაზე გელაპარაკოს. ამას მოითხოვს ქართული ღირსება-თქო.

«Очень много мотивов у них для этого».

ძალიან მაინტერესებდა, თუ კიდევ რა იცის რუსულისკენ ქართველი ბავშვების მისწრაფებებზე „პატარების გულის მესაიდუმლე" შ. ამონაშვილმა, მაგრამ, რადგან მეტი არ გაგვიმხილა, უნდა შევურიგდეთ ბედს.

«И у меня тоже много мотивов учить их русскому языку».

ბავშვების გულებში ხომ ჩაგვახედა, ახლა თავის გულს გადაგვიშლის და ნახავთ, რა საუნჯეები გველოდება იქ.

«— Родной язык — это колыбель вашей души, дети, а русский язык станет колыбелью вашей **многогранной жизни**, гражданства в **нашей великой стране**».

არ მოგატყუოთ ჰაწია რევერანსმა, რომელიც ქართულ ენას გაუკეთა შ. ამონაშვილმა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მას ამ ეტაპზე ამოცანად ორენოვანი ადამიანის გაზრდა აქვს დასახული. ამიტომ, იძულებულია მშობლიურ ენასაც გაულოს ხარკი.

აქ „პედაგოგმა" უნებლიეთ დახატა ორენოვანი არსებობის აბსურდულობა. და დახატა მთელი სისრულით.

აბა, შეხედეთ.

ქართული ენა თქვენი სულის აკვანიაო.

რუსული ენა თქვენი ცხოვრების აკვანიაო.

რა გამოდის?

რომ ქართული სულის მქონე იქნები და რუსულად კი იცხოვრებო?

ეგ ვერ მოხდება.

მოხდება სულ სხვა რამ: არც მთლიანი სული იქნება ორენოვან არსებას და არც სრულფასოვანი ცხოვრება.

ახლა ამასაც მივაქციოთ ყურადღება.

«Русский язык станет колыбелью... гражданства в нашей великой стране».

აი, აქ კი ყველაფერი ნათელია. შ. ამონაშვილის „ნაშა ველიკაია სტრანა" საბჭოთა იმპერიაა, ხოლო ამ იმპერიის მონა რომ გამოხვიდე, ამისთვის რუსული ენის აკვანში უნდა გარწიონ ნიორაძეებმა და ამონაშვილებმა.

„გრაჟდანსტვოზე" ლაპარაკი, ცხადია, თვალის ახვევაა, ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ უმასპინძლდება თავის „ნაცმენ გრაჟდანინებს" რუსეთის იმპერია, როცა ისინი ოდნავადაც კი არღვევენ მონებისთვის დადგენილ წესებს.

ჩვენი „პედაგოგის" შემდგომი მსჯელობა უბადრუკი მონური სულის აპოთეოზია და, ვფიქრობ, მხოლოდ მას შემდეგაა ჩაწერილი, რაც საათნახევარს ალექსანდროვის ანსამბლს უცქეროდა „პედაგოგი" და თან ხმას აყოლებდა „შიროკა სტრანა მოია როდნაია"-ს და ამის მხგავს დერჟავულ ჰანგებს.

ქვემოთ მოტანილი სიტყვების მთქმელი შ. ამონაშვილი მხოლოდ ასე წარმომიდგენია:

ის დგას კედელთან, რომელზეც პიონერული სისხლისფერი დროშებია ჩამოკიდული, ხელში პარტბილეთი უჭირავს და თვალცრემლმომდგარს პარტიის ყველა ბელადის სახება ერთად ელანდება:

«Конечно, дети, вы поедете в Москву, посетите мавзолей, кремль, и в вас родится гордость **за свою страну**. Вы возможно впервые почувствуете, что каждый из вас рожден для свершения великих дел и что на вас возложены большие надежды. Может быть, вы тогда впервые осознаете, как почетно и ответственно быть гражданином Союза Советских Социалистических республик».

მავზოლეუმს და კრემლს ნახავთ და თქვენში დაიბადება სიამაყის გრძნობაო.

მერედა რით იამაყებთო?

„ზა სვოიუ სტრანუ"-ო.

ქართველ ბავშვს ერთადერთი აქვს — ქვეყანა, ის ერთადერთ ქვეყანას საქართველო ჰქვია და მისით სიამაყე რომ იგრძნო, ამასთან მავზოლეუმი და კრემლი რა შუაშია?

ახლა პირდაპირ უნდა დავსვა კითხვა.

განა შეიძლება, ქართველი პედაგოგი ეჭქვას იმ ადამიანს, ვინც ბავშვების ქართველ ქალებად და ვაჟკაცებად აღზრდაზე კი არ ოცნებობს, არამედ იმაზე, რომ ქართველი ბავშვებისაგან „საბჭოთა", „სოციალისტური", „რესპუბლიკების", „კავშირის" „მოქალაქეები" გამოიყვანოს?

ალბათ არ შემეკითხებით, თუ რატომ ჩავსვი ყველა სიტყვა ბრჭყალებში.

შ. ამონაშვილს კი განვუმარტავ, რომ არც ეგ რესპუბლიკებია რესპუბლიკები, არც საბჭოთაა ისინი, არც სოციალისტურია და არც მათ კავშირს ჰქვია კავშირი.

ეგაა იმპერია ერთი „რესპუბლიკისა" — სხვა „რესპუბლიკები" კი კოლონიებია. საბჭოები კომპარტიის ყურმოჭრილი გოშიებია და სოციალიზმი მირაჟადაც არავის უნახავს აქ.

ხოლო, რაც შეეხება სოიუზის „გრაჟდანინ"-ის წოდებას, ზემოთ მოგახსენეთ, რომ ეს სიტყვა, მონობას აღნიშნავს მხოლოდდამხოლოდ.

კულმინაციას შ. ამონაშვილის „პედაგოგიური აზრი" აღწევს შემდეგ სიტყვებში:

«Я вижу в вас, сегодняшних моих шалунах, тружеников Родины, для которых русский язык станет крыльями для дальних и больших полетов».

დიდი ასოთი დაწერილი „**Родина**" ჩვენი „პედაგოგის" საყვარელი რუსული იმპერიაა. სწორედ ამ „**Родина**"-სათვის ოფლის სადვრელად ამზადებს ქართველ ბავშვებს იგი და ამისათვის ორენოვანი რუსეთუმე, ცხადია, უფრო გამოდგება. რუსეთუმე უფრო მოიწადინებს, რომ „დალნიე პოლიოტები" აკეთოს იმპერიის თვალუწვდენ ტერიტორიებზე და, თუ ბოლოს და ბოლოს, იქ, შორს სადმე დარჩება, შ. ამონაშვილს აქნება უფლება, რომ უპატაკოს თავის ბატონს: აი, კიდევ ერთი ჩემი აღზრდილი ქართველი იქცა ნამდვილ საბჭოთა მოქალაქედ, ანუ მთლად გარუსდაო.

იმპერიაც სატანური ღიმილით გაიღიმებს და კიდევ ერთხელ დაბეჭდავს სანიმუშო შ. ამონაშვილის სურათს „პრავდაში", „იზვესტიაში" ან „ოგონიოკში". და ამასაც ხომ მხოლოდ ეგ უნდა.

თუ კიდევ ვინმე დარჩა ისეთი, ვინც არ მეთანხმება, რომ შ. ამონაშვილის „მოღვაწეობა" მხოლოდ რუსული იმპერიისათვის იყო სასარგებლო, მათთვის დამატებით მოვიტან ნაწყვეტს ერთი საჟურნალო წერილიდან.

„აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის საორიენტაციო საკითხები...

საუბრების ჩატარება თემებზე: „ლენინი და ბავშვები", „ჩვენი გმირი საბჭოთა არმია", „ჩემი დედა, მამა, ბებია, ბაბუა", „1-ლი მაისის ძმობის და მეგობრობის დღესასწაული", „9 მაისი, გამარჯვების დღესასწაული", „რა ვიცით ოქტომბრელების შესახებ", „ბავშვთა ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში" და ა.შ.".

იკითხავთ, ვის უნდა ჩაუტარონ ეს საუბრებიო?

ვის და ექვსი წლის ბავშვებს.

წერილი დაბეჭდილია „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვირეულ დამატებაში (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, № 3, 1984 წ.) და სათაურად აქვს: „თერთმეტწლიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველ კლასში (6 წლის ასაკის ბავშვებთან) სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის თავისებურებანი, მეთოდური რეკომენდაციები".

წერილს მიწერილი აქვს, რომ „რეკომენდაციები მომზადდა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიაში".

და ხელს აწერენ: შალვა ამონაშვილი და მარინე ელენტი.

ვფიქრობ, კომენტარები არა სჭირდება იმ თემებს, რომლებსაც სთავაზობს შ. ამონაშვილი ქართველ პედაგოგებს: ესენი უნდა ჩაუტენოთ ექვსი წლის ქართველებს თავშიო.

მხოლოდ იმას დავამატებ, რომ რეკომენდაციებში ვერ ნახავთ ვერც დიდგორს და ვერც ბახტრიონს, ვერც დავით აღმაშენებელს, ვერც ილია ჭავჭავაძეს და ვერც იაკობ გოგებაშვილს.

აქვე უნდა ვთქვა, რომ თავის სიმპათია-ანტიპათიებს, ადამიანი წვრილმანებში ავლენს (და ამით ეს წვრილმანი ამბები მსხვილმანი ხდება).

„რეკომენდაციები მომზადდა ი. გოგებაშვილის... ინსტიტუტის... ლაბორატორიაშიო", რომ გვაუწყა ბატონმა შალვამ, აქ გაამჟღავნა თავი.

ჭეშმარიტად ქართული სულით გაჟღენთილი პედაგოგი არასოდეს არ დაწერს „ი. გოგებაშვილი"-ო, მას უხარია დიდი იაკობის ყოველი ხსენება და არასოდეს დაიზარებს რამდენიმე ასოს დაწერას.

ყველგან და ყოველთვის გოგებაშვილი ქართველი პედაგოგისთვის „ი" კი არაა, არამედ „იაკობი"-ა.

(სწორედ ასევე ცუდია, ერთი ჩემი ოპონენტი, რომ აწერდა ხელს, „ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი ვარო".

ნუღარ ჩაიდენთ, მეგობარო, ეგეთ საქციელს.

გიხაროდეთ, ყოველი შემთხვევა, როცა კი შესაძლებლობა მოგეცემათ, გულზე ნათელი გადაიფინოთ, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელისა და გვარის ხსენებით).

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო", № 13.

# ცილისწამება

ახლახან „ლიტერატურნაია გაზეტას" მე-13 ნომერში (1990 წლის 28 მარტი) გამოქვეყნდა ახალი ცილისმწამებლური ინფორმაცია „ვანდალიზმის აქტი", რომელიც გადმობეჭდილია იუგოსლავური გაზეთიდან „ვეჩერნე ნოვოსტი". ინფორმაცია მკითხველს აუწყებს, რომ თბილისში ჩამოაგდეს ლენინის ძეგლი.

ეს ინფორმაცია აგრძელებს იმ შეურაცხმყოფელ ანტიქართულ, ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც კარგა ხანია, მიმდინარეობს რუსულ პრესაში და ქართველი საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა საქართველოს სახალხო დეპუტატთა უზაესი საბჭოს თავმჯდომარეს, გივი გუმბარიძეს გაუგზავნა დეპეშა:

„პატივცემულო ბატონო გივი!

მოგმართავთ იმ სისტემატურ, ანტიქართულ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელსაც ეწევა გაზეთი „ლიტერატურნაია გაზეტა". უსამართლო და ცილისმწამებლური მასალები, რომლებიც ამ გაზეთში იბეჭდება, იწვევენ ქართველი ხალხის აღშფოთებას, ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებას და ხელს უწყობენ უმართავი ნეგატიური პროცესების განვითარებას, რომელთაც მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მოვითხოვთ, რომ „ლიტერატურნაია გაზეტას" პროვოკაციული, ანტიქართული პოზიციის გამო, აღიკვეთოს ამ გაზეთის შემოტანა და გავრცელება საქართველოს ფარგლებში.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი

ამრიგად, ნათლად დამტკიცდა ჩემი თეორემა: „შ. ამონაშვილის აღზევება იმიტომ მოხდა, რომ იმპერიამ ასე უთხრა მადლობა „ქართველ პედაგოგს" ქართველი ბავშვების გარუსებისათვის.

და პირდაპირ უნდა განვაცხადო, პედაგოგი, რომელიც ქართველ ბავშვს სკოლაში მისვლის მეორე დღესვე უცხო ენის სწავლებას დაუწყებს, ქართველი მასწავლებლის ძვირფას სახელს ვერ იმსახურებს.

თუ პედაგოგმა არ იცის მშობლიური ენის მნიშვნელობა და არ ესმის, რომ ბავშვის დედა-ენაზე აღზრდას ხელი არ უნდა შეუშალოს, მაშინ ის, რბილად რომ ვთქვათ, მასწავლებლად არ გამოდგება.

ხოლო თუკი ყველაფერი კარგად აქვს შეგნებული და მაინც აკეთებს იმას, რასაც აკეთებდა შ. ამონაშვილი, მაშინ ის საქართველოს მოყვარე არ ყოფილა.

ამას ვერ ვიფიქრებ. ჩემის აზრით, შ. ამონაშვილი შეპყრობილი იყო კარიერის სურვილით და იმას აკეთებდა, რაც ესიამოვნებოდათ მოსკოველ ბატონებს. ეტყობა, არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, თუ რა ზიანს აყენებდა ქართულ პედაგოგიკას. და შეუგნებლად შეუწყო ხელი ქართველი ბავშვების გარუსების იმპერიულ გეგმას.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ეს წერილი ძალიან გაბრაზებული კაცის დაწერილია.

თუმცა კი ვცდილობდი, ბრაზი შემეკავებინა, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოვახერხე.

ამის მიზეზი ერთი პაწია ბროშურის წინასიტყვაობაა.

ბროშურას აწერია — „მერაბ კოსტავა. ფიქრები ქართულ კულტურაზე".

და თქვენ როგორ გგონიათ, მეგობრებო, ვის დაუწერია წინასიტყვაობა ამ ბროშურისა?

დიახ, დიახ, შალვა ამონაშვილს.

და ხელიც მოუწერია: „სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი"-ო.

ახლა ხშირად საუბრობენ შემწყნარებლობასა და პატიებაზე.

ეს ჩემი წერილი რომ დაიბეჭდება, უკვე მიტევების დღეც ჩავლილი იქნება.

სწორია, უნდა ვიყოთ მიმტევებლები. ადამიანი ხუსტი არსებაა. შეცდომა ყველას მოსდის. უცოდველიც არავინაა.

თანაც იმპერიაში ვცხოვრობთ.

იმპერია კი გვაიძულებდა და გვაიძულებს ადამიანებს, რომ გამოვავლინოთ სულ პაწია სინჭიც კი, თუ გაგვაჩნია სულში.

ამიტომ დიახაც ერთმანეთისადმი მიმტევებლობა გვმართებს.

უნდა ვიყვნეთ მიმტევებლები!

ქართველი კაცი ბუნებით გულჩვილია. ძველი ცოდვები ადვილად შეუძლია აპატიოს, ვისაც გინდათ და მკერდში ბოღმის ტარება არა სჩვევია.

არავინ არავის ერჩის. არც ვინმეს ჩაქოლვა განუზრახავთ.

მაგრამ სვინდისიც ხომ კაი საქონელია?

და თუ არ გერჩიან, ეს იმას არ ნავს, რომ შენი ცოდვები არ ახსოვთ. ხალხს თვალში კვლავაც ნუ შეეჩხირები და ნუ მოინდომებ მის მოტყუებას.

თუკი გუშინ საოცდახუთთეზერვლო და საშვიდნოემბრო პრეზიდიუმებში იყავ წამოსკუპული, დღეს დისიდენტობას ნუ დაიჩემებ.

თუკი მთელი ცხოვრება პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნავდი, ახლა მებრძოლისა და წამებულის შარავანდედს ნუ წაეპოტინები.

თუკი მთელი შენი კარიერა ქართველი ბავშვების გარუსებაზე ააგე, ახლა მერაბ კოსტავას სახელს ნუ მიეტმასნები.

„მკითხველს ვთავაზობთ ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მერაბ კოსტავას წიგნს, რომელიც მან 1984 წელს დაწერა"-ო, ამბობს წინასიტყვაობაში შ. ამონაშვილი.

როცა ამას ამბობდა, გაახსენდა თუ არა მას, რომ 1984 წელს უკვე გამოსული იყო მისი „ზდრავსტვუიტე დეტი!", რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის მოსისხლე მტრის — რუსეთის იმპერიის გაძლიერებას უწყობს ხელს?

„ავტორი გვთავაზობს მეტად საყურადღებო მოსაზრებებს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მშობლიური ენის მნიშვნელობის, მსოფლიო კულტურაში ქართული ენის არეალის და მისი სრულყოფილად სწავლის შესახებ"-ო, ასე აფასებს მერაბ კოსტავას ნაშრომს შ. ამონაშვილი.

განა ეს ცინიზმი არაა?

ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მშობლიური ენის მნიშვნელობის და ქართულის სრულყოფილად სწავლების შესახებ მერაბის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს აღნიშნავს კაცი, რომელმაც ამ ენის შევიწროებას მთელი თავისი ენერგია მოახმარა.

როგორ გაკადნიერდა შ. ამონაშვილი და როგორ დაუწერა მერაბ კოსტავას წიგნს წინასიტყვაობა?

ნუთუ ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ მაშინაც არა ჰქონდა ამის უფლება, თვით მერაბსაც რომ ეთხოვა, დამიწერეო?

მერაბ კოსტავა იმპერიას ებრძოდა.

შ. ამონაშვილისნაირებზე კი დგას ეს იმპერია.

მერაბ კოსტავას უსაზღვროდ უყვარდა ქართული ენა.

შ. ამონაშვილის მთელი მოღვაწეობა კი ქართული ენის ხელყოფისა და უგულებელყოფის იშვიათი მაგალითია.

შ. ამონაშვილმა ხელი შეუწყო ქართულ საბავშვო ბაღებში რუსული ენის დამკვიდრებას.

შ. ამონაშვილი ბავშვის სკოლაში მისვლის მეორე დღესვე აწყებინებს მას რუსულის სწავლას.

შ. ამონაშვილი იბრძოდა იმისათვის, რომ ხუთი წერისთვის გამოყოფილი დრო შეემცირებინა სკოლაში.

შ. ამონაშვილი იბრძოდა იმისათვის, რომ ქართული ასოების დაწერილობა რუსულისთვის დაემგვანებინა, — შემოეტანა რუსული წერის ორხაზოვანი ბადე, რითაც სურდა, ქართული გოგებაშვილისეული ოთხხაზოვანი ბადე შეეცვალა.

დაბოლოს:

როცა შ. ამონაშვილს ჰკითხეს, წიგნები რუსულად რატომ დაწერეო, უპასუხა: ქართულად არ გამომიცეს და იმიტომო.

როგორ შეიძლება ქართულ სკოლასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც ასე არხეინად შეუძლია ზურგი აქციოს ქართულ ენას?

ერთადერთი, რაც შემიძლია შევთავაზო შალვა ამონაშვილს, ესაა:

დაიწყოს ქართული ლიტერატურის კითხვა და შეეცადოს, იგრძნოს ქართული ენის სიმშვენიერე.

ხოლო, თუ ვერასოდეს იგრძნობს, მაშინ ვურჩევ, გადავიდეს რუსულ სკოლაში და რუს ბავშვებს ასწავლოს მისი საყვარელი რუსული ენა, ქართველ ბავშვებს კი თავი დაანებოს.

დაბოლოს:

შ. ამონაშვილის და მისი მომხრეების „წყალობით" უკვე თხუთმეტ წელიწადზე მეტია ქართველ ბავშვებს საბავშვო ბაღებში და პირველ კლასში ასწავლიან რუსულს.

ცხადზე ცხადია, რომ უკვალოდ არ ჩაუვლია შ. ამონაშვილის „ღვაწს". რუსული იმპერიის უკიდეგანო სივრცეებზე ათასობით ქართველი ახალგაზრდა რომ დაბოდიალობს, ამაში იმათაც მიუძღვით წვლილი, ვინც ბავშვობაშივე აუმღვრია ტვინი ახალგაზრდებს, ორენოვნობით მოწამლა, „Родина"-დ საბჭოთა კავშირი ჩააგონა და საქართველოდან გასაფრენად დამოძღვრა.

ხომ გახსოვთ, როგორ შეჰფოფინებს შ. ამონაშვილი პაწია ბავშვებს:

«Я вижу в вас, сегодняшних моих шалунах, тружеников Родины, для которых русский язык станет крыльями для дальних и больших полетов»—ო.

ჭეშმარიტად საბჭოთა პედაგოგს შ. ამონაშვილს იმიტომ უყვარს ქართველი პირველკლასელები, რომ მათში მომავალ საბჭოთა ანუ რუს მოქალაქეებს ხედავს.

კმარა!

ჩვენ, ქართველები, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ, რომ ყოველი ქართველისაც და მთელი საქართველოს სიმტკიცეც დედაენაზე დაფუძნებული აღზრდაა.

თუ გვინდა, რომ კვლავაც მრავალ საუკუნეს გავუძლოთ და ქართველებად დავრჩეთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ საბავშვო ბაღებში და პირველ კლასში რუსული თუ სხვა უცხო ენების სწავლება.

კიდევ უკეთესი იქნება, თუ არც მეორე, მესამე და მეოთხე კლასში ვასწავლით უცხო ენებს.

ბავშვს მხოლოდ მას შემდეგ უნდა დავაწყებინოთ უცხო ენების სწავლა, როდესაც ცნობიერება უკვე ჩამოყალიბებული აქვს მშობლიურ ენაზე ანუ როდესაც სამყარო უკვე მხოლოდ ამ ენაზე არსებობს მისთვის.

როდესაც მზეს უკვე სამუდამოდ მზე დაერქმევა, მთვარეს — მთვარე, და ციცინათელას — ციცინათელა.

როდესაც ტკივილი უკვე „ვაიმე"-ა და ალტაცება — „ოუ, შენი გულისა!".

როდესაც ზღაპარი უკვე „იყო და არა იყო რა" და „ჭირი იქა, ლხინი აქა"-ა და გამოცანა „აბლაბაბლი"-ა.

როდესაც გულში ჩაუსახლდებიან გამუდმებით მოწკრიალე ზანზალაკები: „იყო არაბეთს როსტევან"... „მირბის, მიმაფრენს"... „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...", „ჩემო კარგო ქვეყანავ...", „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო..." და „იას უთხარით ტურფასა...".

როდესაც ბავშვი უბრალოდ მცირეწლოვანი არსება კი აღარაა, არამედ უკვე პატარა ქართველია — კავკასიის მთების შვილი...

# ქართველი ქალის გოდება

რუსთველის პროსპექტზე,
რუსთველის მოდგმის,
სისხლი დაიღვარა ზღვა!
ვაი, საქართველოვ,
ვაი, საქართველოვ,
გადაგიშავდა ცა!
რამდენი გათრიეს,
რამდენი განგრიეს,
რამდენჯერ დაგიბნელეს მზე!
ვაიმე, თევდორე,
ვაიმე, ქეთევან,
შავი გაგვითენდა დღე!
მზია და თამუნა,
ეკა და მამუკა,
სახედაჩეჩქვილნი წვანან!
უჯიშომ გაწირა,
უჯიშომ აწამა,
ნოდარი, გია და ნანა!
ნატოს და ნათიას,
აზას და მარინას,
გადააგლიჯეს თმები!
ალესილ ნიჩბებით,
ფარით და ხელკეტით,
გადაუმტვრიეს ძვლები!
მუშტით იბრძვიან,
ქართველი ბიჭები,
ფარად აქვთ — ქრისტეს
ჯვარი!
არ ეხმარებათ
თბილისის მიწა და
წმინდა სანთლების ალი.
ცარიელ ხელებით
ებრძვიან სატანებს
მშველელებს ვინ აღირსებთ!
სადღაც ზევიდან,
სატანის ღიმილით —
ხარხარებს ანტიქრისტე!
ჩაქრა სანთელი,
მოკვდა ნათელი,
გული გაიბზარა ბავშვის!
გვამებში ამაყად
დადის ნაძირალა,
არყის ოხშივარი ასდის!
ო, როგორ მიყვარხართ,
ჩემო გოგონებო,
ელისო, ირმა და დალი!
ძალიან გტკივათ
გადაჩეხილი,
უსათუთესი მკლავი?
ძალიან გტკივათ
გადაქანცული,
ნაშიმშილარი სახე?
თბილისის მზის ქვეშ,
თბილისის ცის ქვეშ,
ეშმაკეულის მახე?
ჩემო ამაყებო,
ჩემო ლამაზებო,
გიყვართ სამშობლოს მიწა?
ო, როგორ მერევა
აზრი და გონება,
თქვენი გაცოცხლება მინდა!
ცაო, გვიღალატე,
ცაო, გვიღალატე,
წვიმა მოგვიყვანე ცრემლად!
ვაი, საქართველოვ,
ვაი, საქართველოვ,
დამეგობრებულო გველთან!
ბერბიჭაშვილები,
ყორღანაშვილები,
არ ჩაძაღლებულან დღესაც!
ვაი, საქართველო,
ვაი, საქართველო,
შეგუებულო ხვედრთან!
ილია, ქეთევან,
დიმიტრი, დავით!
სად ხართ, დავმარცხდით
მტერთან!
ვაი, საქართველო,
ვაი, საქართველო,
მუხლდაჩოქილო ბედთან!
ძაძით შეიმოსა,
სრულიად საქართველო,
მუძლმა იმარჯვაო ხესთან!
ნურას უკაცრავად,
ნურას უკაცრავად, —
ასე არ კვდებიან ჩვენთან!
ვაი, საქართველოს
მტერს და მაწყევარს —
არ გაუხარია ჯერაც!
„მუმლი მუხასაო" —
ამაყი ქართველი,
ამაყად ჩურჩულებს დღესაც!

თინათინ მღვდლიაშვილი

1989 წ. 10 აპრილი.

# „ტრაგედიის ერთი წელი"

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირთან არსებულმა სარეკლამო-საგამომცემლო კოოპერატივმა „ვიზავ" რუსთავის საქალაქო სტამბაში ოფსეტური წესით დაბეჭდა ერთდროული გაზეთი „ტრაგედიის ერთი წელი".

გაზეთის სათაურის ქვეშ დიდი შრიფტითაა გამოკვეთილი კითხვა:

„9 აპრილი: რა გვიპასუხეს და რატომ აარიდეს თავი პასუხს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის პროკურორებმა".

მოწინავე წერილში ვკითხულობთ:

## რა ხდება?

ადამიანებს სამართლიანობის გამწვავებული გრძნობით სწყურიათ მისი გამარჯვება 1989 წლის თბილისში 9 აპრილის სისხლიანი კვირიდან ერთი წლის შემდეგ, მაგრამ ამ საშინელ ტრაგედიაში ბრალეულთა საქმის გამო სასამართლო ჯერ კიდევ არ არის, იგი ჯერ კიდევ ფრიად ბუნდოვნად მოინიშნება იმ სამართლებრივი სახელმწიფოს ბურუსიან პერსპექტივაში, რომლის მშენებლობა საქვეყნოდ გამოვაცხადეთ. მთელი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ თუნდაც დაგვემთავრებინა წინასწარი გამოძიება 9 აპრილს მომხდარი დანაშაულის შესახებ საქმის გამო. ამ საქმის წინასწარი გამოძიება ჯერ კიდევ შორს არის თავისი ლოგიკური დამთავრებისაგან. ასე რომ, ისევ დაგვრჩენია, მოთმინებით და იმის იმედით ალვივოთ, რომ სამართალი ბოლოს და ბოლოს ჰპოვებს.

დღეს ჩვენ, ცოცხლები, ვგლოვობთ ერთი წლის წინათ გაზაფხულის ამ დღეს უდანაშაულოდ დაღუპულთა გამო. მაგრამ კლაასის ფერფლი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ჩვენს გულს, გვაიძულებს არა მარტო მოვიხსენიოთ ამ ქვეყნიდან წასულნი, არამედ კვლავ და კვლავ ალვიძრავს ჭრთხა და იმავე კითხვებს: როგორ და რატომ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ და რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ეს აღარ განმეორდეს. არასოდეს, არსად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უაღრესად საჭიროა, მივაგნოთ იმის სამართლებრივ შეფასებას, რაც ხდებოდა 9 აპრილამდე და შემდეგ. მაგრამ ვინ მოგვცემს ამ შეფასებას, თუ არა პრაქტიკოსი სამართალმცოდნეები. ამიტომაც გაზეთ „ზარია ვოსტოკას" კორესპონდენტები გაემგზავრნენ ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში, რათა შეხვედროდნენ პროკურატურის ხელმძღვანელებს და მიემართათ მათთვის წინადადებით, გამოეთქვათ თავიანთი — მოქალაქეობრივი და პროფესიული — თვალსაზრისი თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბებზე.

რესპუბლიკების პროკურატურათა ხელმძღვანელების პასუხებს მოსდევს. ფრიად მნიშვნელოვანი პუბლიკაცია „გავხსნათ მანკიერი წრე", რომელსაც გაზეთის მთელი მეოთხე გვერდი უჭირავს — აქ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურების ხელმძღვანელთა ინტერვიუებს განმარტავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი პროფ. თამაზ შავგულიძე.

# „უკეთუ ცხოვნდნენ, მათ თანა ვიყო..."

„ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს, და არა თუალ-აზმა ვისთვისმე", — წერს მემატიანე.

9 აპრილის სიმართლის დამალვას, არასწორად წარმოდგენას და ჩვენთვის „თუალ-აზმას" არაერთხელ შეეცადნენ, დღესაც ცდილობენ და მომავალშიც შეეცდებიან. ამაში განსაკუთრებულს, მოულოდნელს ან გაუგებარს ვერაფერს შევნიშნავთ, თუკი წამით მაინც გადავხედავთ ჩვენს ისტორიულ წარსულს. დღევანდელ ვითარებაში მთავარი ის კი არაა, ვინ სად რას იტყვის ჩვენზე ან ვინ როგორ შეაფასებს 9 აპრილის ტრაგედიას. ახლა ყველაზე უფრო მთავარი ისაა, თვად ჩვენ როგორ შევაფასებთ სიტუაციას და რას მოვიმოქმედებთ საიმისოდ, რომ არ შეილახოს ქართული სული და, რომ ბზარი არ გაუჩნდეს ქართველი ხალხის სულიერსა და ფიზიკურ ერთიანობას.

ისტორიული წარსული ვახსენე. ბოლო დროს, ტრაგედიასთან დაკავშირებით, ხშირად მიმართავენ ისტორიულ ანალოგიებს, რაც თავისთავად ძალზე საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისით, რომ მოვლენათა ისტორიული განვითარების მთლიანობას, უწყვეტობას და ზოგჯერ გასაოცარ შინაგან ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმსგავსებას ცხადყოფს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ანალოგების ანალიზისას, რაც არ უნდა გასაოცარ იდენტურობასთან გვქონდეს საქმე, მაინც მოგვიწევს დაფიქრება ზოგიერთ არსებით ფაქტორზე, — ეს იქნება ისტორიული კონტექსტი თუ სხვა, ერთი შეხედვით, ნიუანსური, მაგრამ შინაარსით მნიშვნელოვანი, მომენტები.

დღეს ჯერ კიდევ ძნელია 9 აპრილის ტრაგედიის ყოველმხრივი ანალიზი, ვინაიდან ამ მოვლენასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი საბოლოოდ მაინც არ არის გარკვეული, მაგრამ, ვფიქრობ, გამოვხატავ საერთო აზრს, თუკი ვიტყვი, რომ ტრაგედიის სულიერი და მორალური შედეგები სავსებით ცხადია და, ამდენად, უფლება გვაქვს, 9 აპრილი ისტორიულ კონტექსტში მოვაქციოთ და მისი თვალსაწიერიდან გავხედოთ თავისუფლების გზას...

საქართველოს არსებობის მანძილზე ყველაზე უფრო შავჟამიანად მონღოლთა ბატონობის ხანაა ცნობილი, როდესაც ყველაზე დიდ ბედნიერებას — თავისუფლებას ყველაზე დიდი უბედურება — თავისუფლების დაკარგვა მოჰყვა. ქართველი კაცისათვის კი მუდამ წარმოუდგენელი იყო თავისუფლების გარეშე ყოფნა.

ცოტნე დადიანის სახელი ჟამთააღმწერელმა შემოგვინახა. მაშინაც გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა — გარეშე თუ შინაური მტრის გამო.

ქართველები მაშინაც უმეფოდ, უწინამძღვროდ იყვნენ, მაგრამ სრულიად საქართველო შეიკრიბა; იმერ-ამერი ერთი სურვილით — თავისუფლებისაკენ სწრაფვით განიმსჭვალა. ერისმთავართა კოხტას თავს შეკრებამ მონღოლებში ეჭვი აღძრა, შეთქმულები ანისში წაასხეს, გააშიშვლეს, შეუკრეს ხელები და მზის გულზე დასხეს.

თავდადება რომ შეგეძლოს, აუცილებელია რელიგიური რწმენითაც იყო გაძლიერებული, — ასეესმის ეს ჟამთააღმწერელს, ასევე ესმოდათ ჩვენს წინაპრებსაც. ცოტნეს საქციელი დიდად გაიკვირვეს თათრებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ ცოტნეს და გამოიკითხეს მისი ქმედების მიზეზი. პასუხი ასეთი იყო: თქვენ ფლიდებად შეგვრაცხეთ და ამის გამო მოვედი თქვენთან, რათა სიმართლე გაარკვიოთ და თუკი ღირსი ვართ სიკვდილისა, თანამოძმეებთან მოვკვდები, რამეთუ „თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს; — უკეთუ ცხოვნდნენ, მათ თანა ვიყო!" ამაზე მონღოლთა რეაგირებაც არანაკლებ რომანტიკული ელფერითაა შემოსილი: ნოინები „განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქუეს: „ვინაითგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თავისი მოყუარეთათვის, და არა განცრუვნეს ესრეთ განწირა თავი თავისი სიკუდიდ, — არა არს სიცრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისთვის განუტეოთ ყველანი". ცოტნე დადიანი დადგა იქ, სადაც ერისკაცი და ერის წინამძღოლი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ამას ახლავს ერთგვარი თეატრალურობა და, ამდენად, საზეიმო ელფერსაც იძენს. ხოცვა-ჟლეტამდე 9 აპრილის ღამეც ატარებდა ამაღლებულის ხასიათს, მაგრამ აქ რამდენიმე ათასი ადამიანის სულის ზეიმი იყო — ერთად ყოფნის, ერთი სურვილის გამოხატვის, ერთგვარად, შიშის დათრგუნვის სიხარულით გამოწვეული. ცოტნეს სულის ზეიმი მტერმა დაინახა — ის „განკვირდა", გაოგნდა და დააფასა. დღეს კი „მოყვარემ" ვერ დაინახა. ვერც დაინახავდა, რადგან ტანკებს ანთებული სანთლებით, სიმღერით, ცეკვით, ლოცვით, ტაშით არსად ხვდებიან. აქ კი შეხვდნენ.

„რა არის თავისუფლება?" — სვამს კითხვას ვაჟა-ფშაველა და თვითონვე პასუხობს: „თავისუფლება?" — „თავისუფლება მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა", რადგან, „სადაც არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჰამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი, ერთის მხრით, ხოლო, მეორეს მხრით, ცხვრის ფარა... რა ძმობა შეიძლება მათ შორის?.. ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავისთავს, შაერთდენ, მოიფიქრონ, როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ... ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?!.. მაგრამ მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად..."

დამამცირებელიც გახდა ჩვენთვის 9 აპრილის ღამეს ქართველი ქალების დახოცვა და რალაცით ამამაღლებელიც, რადგან განსაკუთრებით, როგორც არასდროს, ახლა ვიგრძენით ის საშინელი მექანიზმი, მტერი რომ ჰქვია, გამოვფხიზლდით, თითქმის შევკავშირდით. ახლაა ყველაზე უფრო მეტად საჭირო საერთო, სხვისი წაუბაძველი, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე უმთავრესი მისწრაფების ჩამოყალიბება. უკვე ცხადად დავინახეთ და ვაღიარეთ კიდეც, რომ ჩვენი თავის გარდა პატრონი არავინ არა გვყავს. ყველასათვის მთავარი ყოველდღიურად ერის სატკივარზე ფიქრი უნდა იყოს. სხვა პოზიცია ღალატის ტოლფასად უნდა მივიჩნიოთ.

ქართველმა კაცმა ყოველთვის იცოდა თავისუფლების ფასი და ისიც კარგად მოეხსენებოდა, რა არის ძმობა, მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი. თუმცა, უმჯობესია, კვლავ მიხეილ წერეთელს მოვუსმინოთ: „სწორედ საკვირველია დიდ ერთა მოაზრეთა და თვით პროლეტარიატის ასეთი გატაცება ინტერნაციონალიზმითა. ჯერ ერთი, — მათ არას დროს გამოურკვევიათ ნათლად და მკაფიოდ, რა არის ინტერნაციონალიზმი, არ განუსაზღვრავთ არც ერი და არც მისი უფლება; ეს კი აუცილებელი იყო, რადგანაც ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ერთა შორის განწყობილებას, უფლებრივ და ვალდებულებით დამოკიდებულებასა. თვით ცნებანი ერისა და მისი უფლებისა აუცილებელია ინტერნაციონალიზმის საცოდნელად, — მათ კი პირდაპირ სთქვეს, — კაპიტალიზმი საქვეყნო შეიქმნა, მთელს ქვეყანაზედ ერთნაირად იტანჯება პროლეტარიატი კაპიტალის უღლის ქვეშ, მაშასადამე ყველა ქვეყნის პროლეტარიატის შეერთება აუცილებელია, საჭიროა, რომ შეერთებული ძალით დაამხონ კაპიტალიზმი და ახალ საფუძველზედ დაამყარონ ცხოვრებანი. ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს კაპიტალიზმის მეტი არა ყოფილიყოს რა კაცობრიობის ცხოვრებაში; ისე მსჯელობდნენ, თითქოს ეკონომიური ჩაგვრა ყოფილიყოს ერთად-ერთი ფორმა ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრისა, და ეროვნული წამება კი არაფერი მასთან შედარებით. — ცხოვრებამ სრულიად სხვა გვიჩვენა: ევროპისა და სხვა ქვეყანათა ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეროვნული ჩაგვრა კიდევ უარესია, და თვით პროლეტარი არ იქნება ნამდვილი ინტერნაციონალისტი და სოციალისტი, სანამ თავიდან არ მოიშორებს სხვა ქვეყნის ბატონობასა. მეორე, თვით ამ დიდ ერთა შორის რომ იყო ეროვნული კითხვა გაუწყვეტელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, არც კი არსებობდა, ყველას რომ ამ მხრით გული საგულესა ჰქონდა და მთელი თავისი ენერგია შინაგან სოციალურ პრობლემის გადაწყვეტას მიაქციეს, — სხვებსაც, დამონებულთაც იგივე მოსთხოვეს, და როდესაც შეუძლებელი ვერ აღასრულა დამონებულმა, იგი გაჰკიცხეს, დაჰგმეს, შესწამეს შოვინიზმი და სოციალიზმის ღალატი, ნაციონალიზმი მხოლოდ ბურჟუაზიის მისწრაფებად, მის ხრიკებად და მის სასარგებლოდ მიმართულ მოძრაობად გამოაცხადეს; მაგრამ შესაძლებელი რომ ყოფილიყოს მაშინ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობა ამ დიდ ერთა, მაშინ ვნახავდით, რას იტყოდნენ იგივე უკიდურესი ფრანგი ან ინგლისელი სოციალისტები და ინტერნაციონალისტები! ჩაუფიქრდებოდნენ მაინც თავიანთ შემცდარ თეორიებსა და შეიძლება მაშინ მაინც გაერკვიათ ნათლად, რას ნიშნავს ინტერნაციონალიზმი, ეწინააღმდეგება იგი ნაციონალიზმს თუ არა, ან რა დამოკიდებულებაში არიან ურთი-ერთ შორის სოციალიზმი და ნაციონალიზმი. მაშინ იგინი შეიმუშავებდნენ ერის თეორიასაცა და კაცობრიობის გარდაქმნის თეორიას მარტო ეკონომიურ მოვლენათა ანალიზზედ არ დაამყარებდნენ".

მართლაც, სრულიად სხვა რამ გვიჩვენა ცხოვრებამ: ჩვენს თავს მივხედოთ და გვახსოვდეს — „უკეთუ ცხოვნდნენ, მათ თანა ვიყო..."

**გიორგი ალიბეგაშვილი**

# უცნობად რომ არ დარჩეს



1989 წლის 1 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ გელა საითიძის წერილი „სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია". წერილში სხვა საგულისხმო ფაქტებთან ერთად არის ცნობა იმ ქართველი მებრძოლების შესახებ, მტერთან ბრძოლაში რომ დაეცნენ თბილისის მისადგომებთან და 1921 წლის 23 თებერვალს მიაბარეს მიწას თბილისში, სამხედრო ტაძრის ეზოში. აქვეა დასახელებული თერთმეტი მამულიშვილის (ერთი ქალისა და ათი ვაჟის) გვარი: „ესენი იყვნენ: მოწყალების და, თბილისის უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი, პოეტ კოტე მაყაშვილის ასული, 19 წლის მარიამი; ქართველი ოფიცრები: არჩევან ანანიაშვილი, ალექსანდრე ახვლედიანი, ირაკლი თოიძე, პავლე იაკობაშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ კალანდარიშვილი და დავით აბაშიძე; ჯარისკაცი თოიძე და ორიც უცნობი, უსახელო მებრძოლი". ამ სიამ, როგორც გამოირკვა, არაერთგვაროვანი განცდები აღძრა მკითხველთა შორის; მრავალთათვის ეს იყო წარსულში აკრძალული ინფორმაციით გამოწვეული კმაყოფილება; როგორც იქნა, ცნობილი გახდა 1921 წლის თებერვლის ჭეშმარიტი გმირების სახელები. ნაცვლად აქამდე შემოთავაზებული ყალბი გმირებისა. რამდენიმე ქართულ ოჯახში, ალბათ, გაიხსნა ძველი ჭრილობები, დაიღვარა ცრემლი და გაჩნდა იმედი, რომ გმირი წინაპრის სახელი ამიერიდან აღარ მიეცემა დავიწყებას.

ისიც უნდა აღინიშნოს — და სწორედ ამის სათქმელად გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა — რომ გამოქვეყნებულმა სიამ რამდენიმე ადამიანს გული ატკინა. უფრო სწორად, არა თვით სიამ, არამედ იმან, რომ იქვე არ იყო მოხსენიებული მათთვის მეტად ახლობელი ადამიანი.

გორში ცხოვრობს ორი მანდილოსანი—ბარბარე და მაკრინე ქარუმიძეები. ზემოთ აღნიშნული წერილის გამოქვეყნების შემდეგ, მათ მთხოვეს წერილის ავტორისთვისაც და საზოგადოებისთვისაც შეცნობებინა, რომ მათი მამა, კაპიტანი გენო ქარუმიძე იბრძოდა საქართველოს რესპუბლიკის არმიაში, სნაიპერის ტყვიით დაიღუპა კოჯორთან 1921 წლის თებერვალში და დასაფლავებული იყო „სამხედრო სობოროს" ეზოში. მარო მაყაშვილის გვერდით. ბატონმა გელა საითიძემ, ვისაც საკითხის გასარკვევად მივმართე, მიპასუხა, რომ გენო ქარუმიძე არის მოხსენებული კოჯორთან დაღუპულთა სამგლოვიარო განცხადებებში, მაგრამ მისი გვარი არ არის დაკრძალვის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში. მანვე მიუთითა გაზეთ „საქართველოს" 1921 წლის 22, 23, 24 თებერვლის ნომრებზე, სადაც ჩემთვის საინტერესო ცნობები შემეძლო ამომეკითხა.

გაზეთ „საქართველოს" 1921 წლის 22 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია განცხადება გენო ქარუმიძის გარდაცვალების გამო: „ათასეულის უფროსი, ოფიცერთა საზოგადოება და ჯარისკაცები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გმირულად დაღუპვას მტერთან ბრძოლაში ლეიტენანტ გენო ქარუმიძისას, პანაშვიდი 9 სახ. ს. დილით სამშაბათ საღამოთი 7 საათზე. დასაფლავება ცალკე იქნება გამოცხადებული". როგორც ხედავთ, გენო ქარუმიძე აქ ლეიტენანტად არის დასახელებული; სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შეცდომა არ არის გაზეთის ინფორმაციებში, რაც, იმდროინდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს.

დასაფლავება მეორე დღესვე გამოცხადდა, 23 თებერვლის ნომერში: „თავზარდაცემულნი დედა მაკრინე თევდორეს ასული, მამა ლავრენტი მიხეილის ძე, მეუღლე თამარა გიორგის ასული ქარუმიძენი შვილებითურთ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართა ბრძოლის ველზედ გმირულად დაღუპულ გენო ქარუმიძისას. დაკრძალვა ძმათა საფლავზედ 23 ამა თებერვალს. სამხედრო საკრებულოს ეზოში, გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან დილის 11 საათზედ".

ამავე დღეს, დაახლოებით ამავე დროს, ქაშვეთიდან გამოასვენეს და სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს მარიამ მაყაშვილიც. გაზეთ „საქართველოს" უკანასკნელ, 24 თებერვლის, ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია სათაურით „სამშობლოსათვის თავდადებულთა დაკრძალვა", სადაც აღნიშნულია, რომ 23 თებერვალს, დილის 10 საათზე მხედრობას ხელით მოჰქონდა სამშობლოსათვის თავდადებულთა გვამები, ჩამოთვლილია რამდენიმე გვარი და შემდეგ წერია: „სამხედრო ტაძართან მათ შეუერთდა ქაშვეთის ტაძრიდან მეორე სამგლოვიარო პროცესია. რომელნიც მოასვენებდნენ ბრძოლის ველზევე დაღუპულ გმირთა გვამს მარიამ მაყაშვილის..." როგორც აღინიშნა, ქაშვეთის ტაძარშივე ესვენა გენო ქარუმიძის გვამიც და დილის 11 საათზე უნდა გამოესვენებინათ. ვფიქრობ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინფორმაციის ავტორმა სიჩქარეში გამოტოვა გენო ქარუმიძის გვარი, ამას მიუთითებს დაშვებული გრამატიკული შეცდომაც.

გენო ქარუმიძე დაიბადა 1892 წელს ქ. გორში, ლავრენტი ქარუმიძის ოჯახში. დედა, მლებრიშვილის ქალი, მაკრინე, სოფრომ მგალობლიშვილის ცოლის და გახლდათ. ჰყავდა ძმა, ირაკლი ქარუმიძე, მეუღლე, თამარ კვალიაშვილი და სამი ქალიშვილი: თინათინი, მაკრინე და ბარბარე (თინათინი ორიოდე წლის წინ გარდაიცვალა). გენო ქარუმიძე ქართლის არისტოკრატთა წრის ღირსეული წევრი იყო. ოჯახში შემორჩენილ ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან: ამილახვრები, ერისთავები, ყანჩაველები, ამირეჯიბები... სხვათა შორის, გენოს უახლოესი მეგობარი და მისი ქალიშვილის, ბარბარეს, ნათლია იყო ირაკლი ამირეჯიბი, შალვა ამირეჯიბის ძმა, ჭაბუა ამირეჯიბის მამა. გენოს ბიძაშვილი, შალვა ქარუმიძე, დამფუძნებელი კრების წევრი იყო. იგი იყო თავისი დროისათვის ცნობილი პიროვნება, მოხსენებულია რევაზ გაბაშვილის წიგნში „რაც მახსოვს": მეთერთმეტე არმიასთან ბრძოლაში ხევსურთა ცხენოსანთა რაზმს მეთაურობდა. გარდაიცვალა ემიგრაციაში.

გენო ქარუმიძე ორჯერ არის ნახსენები გენერალ გ. კვინიტაძის წიგნში „ჩემი მოგონებანი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ 1917-1921". თურქეთ-საქართველოს კონფლიქტისადმი მიძღვნილ თავში. მოთხრობილია ერთი ქართული ბატალიონის ამბოხების და ჯარისკაცთა დასაშოშმინებლად გზების ძიების ამბავი. „ამ დროისათვის წინადადება წამოაყენა კაპიტანმა ქარუმიძემ, ჯარისკაცების თანხლებით, წასულიყო ბატალიონის შესახვედრად და დაეთანხმებინა ბრძანებას დამორჩილებოდნენ". მეორედ მისი სახელი ნახსენებია იმ თავში, სადაც აღწერილია 1920 წლის 2 მაისს ბოლშევიკების თავდასხმა სამხედრო სასწავლებელზე.

მეთერთმეტე არმიის საქართველოში შემოჭრის დროს გენო ქარუმიძის ნაწილი ახალციხეში მდგარა და იქიდან ეშელონით წამოსულა თბილისისაკენ. გენოს გზად სურამში შეუვლია, სადაც გორიდან მიწისძვრას გამოქცეული მისი ოჯახი იყო მოკეთესთან შეფარებული. ახლობლები შევედრებიან: ნუ წახვალ, ყველაფერი დამთავრდა. შენ მაინც ვერას უშველიო, მაგრამ თავისი არ დაუშლია, დაკრძალვაზე მთელი ოჯახი და ნათესაობა ჩასულა... სამხედრო ტაძარი რომ დაუნგრევიათ, მეუღლეს გვიან შეუტყვია, თბილისში ჩასულს ტაძრის არემარე ველარ უცვნია, ყველაფერი მიწასთან იყო გასწორებული, საფლავები რომ გადარჩენილიყო, ვიპოვიდი, რიგით ვიცოდი მერამდენე იყოო, იგონებდა ხოლმე შემდეგ.

გორში დღესაც ცხოვრობენ გენო ქარუმიძის შთამომავლები და მათ გმირი წინაპრის სახელი არ უნდა დაეკარგოთ. საქართველოს არ უნდა დაეკარგოს თავისი ღირსეული შვილები, უცნობად, უსახელოდ არავინ არ უნდა დარჩეს.

**პაატა ჩხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ბედისწერა

## აკაკი ანდრიაშვილი

მარადისობისათვის ადამიანის სიცოცხლე — როგორც ქართველი კაცი იტყვის — საწუთროა, წუთისოფელია, მაგრამ ისიც არ არის, რადგან მარადისობას დრო არ გააჩნია.

ეს ადამიანის მოდგმას სჭირდება, ეს ადამიანმა დაყო მარადისობა წლებად და საუკუნეებად, ხოლო უსაზღვრო სივრცე — მანძილებად, რითაც მოაწესრიგა თავისი ცხოვრება დედამიწაზე.

არ მოწესრიგდება მხოლოდ ბედისწერა.

ადამიანი თუ დაიბადა ქალად, ველარ გადაიქცევა მამაკაცად; თუ დაიბადა ქართველად, ველარ გახდება ჩინელი და ა. შ.

მაგრამ ადამიანი შეიძლება დაიბადოს ღარიბი ხარაზის ოჯახში, ხოლო შემდეგ ქვეყნის მპყრობელი გახდეს.

აი, ეს გახლავთ ადამიანის ბედისწერა.

დავიბადე ქართველად და ვიცხოვრე მეოცე საუკუნეში.

ეს გახლავთ ჩემი ბედისწერაც.

●

ახალგაზრდები ხშირად ვესწრებოდით საქართველოს მაშინდელი პარლამენტის — დამფუძნებელი კრების სხდომებს.

დამფუძნებელი კრება მუშაობდა ახლანდელი „პიონერთა სასახლის“ შენობაში. ესე იგი ყოფილი რუსეთის მეფისნაცვლის — „ნამესტნიკის“ სასახლეში. დამფუძნებელი კრების სხდომები იმართებოდა „თეთრ დარბაზში“, სადაც ყველა პარტიები წარმოდგენილნი იყვნენ შესაბამისი პროპორციით. იყვნენ სოც. დემოკრატები — იგივე მენშევიკები, ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სოც. რევოლუციონერები. სხდომებზე იხილავდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებს. იმართებოდა ცხარე დისკუსიები, რომელიც ზოგჯერ ჩხუბით თავდებოდა. ერთი ასეთი შეჯახება მოხდა მენშევიკ ბენია ჩხიკვიშვილსა და შალვა ნუცუბიძეს შორის...

ჩვენდა სასიხარულოდ ყოველ ჩვენგანს საშუალება ჰქონდა, დასწრებოდა ამ სხდომებს. „თეთრ დარბაზს“ ჰქონდა ეგრეთ წოდებული „შავი შესასვლელი“, საიდანაც შეიძლებოდა „გალიორკაზე“ ასვლა. იქიდან დავყურებდით სხდომის დარბაზს და მთავრობის ლოჟებს, სადაც ზოგჯერ უცხოეთის წარმომადგენლებიც ისხდნენ. აი, ამ „გალიორკაზე“ არავინ გვიშლიდა, ჩუმად ვმსხდარიყავით და თვალყური გვედევნებინა ფრიად მნიშვნელოვან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკითხებზე მსჯელობა-კამათისათვის.

სამწუხაროდ, მთავრობა, დეპუტატთა უმრავლესობა, მენშევიკებისაგან შედგებოდა. ისინი რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე.

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმ წლებში ქართველი ახალგაზრდობა უსაზღვრო პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული. აქა-იქ არსებობდა ე. წ. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ჯგუფებიც, მაგრამ იქ მხოლოდ ყბედი კარიერისტები იყრიდნენ თავს, მათ „ადვაკატებს“ ეძახდნენ.

იმ დროს მტრებით გარემოცული ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად სამხედრო მზადყოფნა იყო საჭირო. ნაცვლად ამისა, მენშევიკურმა მთავრობამ საქართველო გამოაცხადა მსოფლიოში ყველაზე იდეალურ მარქსისტულ რესპუბლიკად და ამის დასამტკიცებლად საქართველოში მოიწვია ჩვენი დროის გამოჩენილი მარქსისტი — კარლ კაუცკი.

მაშინ, როცა კაუცკი და ჟორდანია ერთმანეთს დითირამბებს უმღეროდნენ, სულ ორი წლის წინ მოპოვებულ ჩვენს დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრებოდა.

მიუხედავად გონიერი მამულიშვილებისა და სამხედრო ხელმძღვანელების საგანგაშო გაფრთხილებისა, — უფრო მეტიც, უცხოეთის წარმომადგენლების მითითებისა, მთავრობა მოჯადოებულივით „გაქირზე შედგა“.

ამბობენ, დახაულეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის (მგონი იტალიის) დიპლომატმა ინახულა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა და განუცხადა:

— სარწმუნო ცნობები ადასტურებენ, რომ ბოლშევიკური რუსეთი აპირებს საქართველოში შემოჭრას. საჭიროა სათანადო ზომების დაუყოვნებლივ მიღება!..

რა უპასუხეს მერე მას?

როგორც ამბობენ — ყველაზე გავლენიანი მინისტრი ნოე რამიშვილი ფეხზე წამოდგა და პათეტიკურად გაიმეორა პომპეუსის ცნობილი კვეხნა, როცა იულიუს კეისრის მოახლოება აცნობეს.

— ჩვენ არ გვეშინია, ფეხს დავარტყამ და ლეგიონები ამოცვივიან!

თუ როგორ მოქმედებდა ყოველივე ეს ჩვენზე — მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ დღეს დამოუკიდებელ სამშობლოს სჭირდება სამხედრო ხელისუფლება ნიჭიერი სარდლის მეთაურობით. ხოლო, როცა გადავარჩენთ დამოუკიდებლობას, ერი თვითონ გამონახავს თავის შესაფერ ისტორიულ გზას. მაინც მჯეროდა, რომ საიდანაც არ უნდა მოსულიყო მტერი, დავამარცხებდით. დამოუკიდებლობის ხელახლა დაკარგვას გონება ვერ ეგუებოდა.

მიიწურა 1920 წელი — ჩვენი დამოუკიდებლობის მეორე წელი.

თავის სიმტკიცეში დარწმუნებული მენშევიკური მთავრობა იმით დაკმაყოფილდა, რომ მოსკოვში მიავლინა ურატაძე, რომელმაც ლენინის მთავრობასთან დადო ხელშეკრულება „ურთიერთ თავდაუსხმელობის“ შესახებ. არავითარი სამხედრო მზადყოფნა. პირიქით, იმ ორმოცათასიანი ჯარის დემობილიზაციაც კი გამოაცხადა, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე მობილიზებულ იქნა თურქეთის მიერ ბათუმის ხელში ჩაგდების განზრახვის ასალაგმავად.

თბილისში ამ დროს ბოლშევიკური რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად იყო ცნობილი პარტიული მოღვაწე სერგეი კიროვი, რომელიც სათანადო ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვს.

და აი, 1921 წლის თებერვალს ჩვენს საზღვრებს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მოადგა ორი ბოლშევიკური არმია: მე-9 და მე-11, ხოლო კიროვმა მიიღო დაშიფრული დეპეშა:

„გადაწყდა რუბიკონის გადასვლა.

იმოქმედეთ გადაწყვეტილების შესაბამისად“.

1921 წლის ცივი თოვლიანი თებერვალი იყო. გათენებისას რაღაც ხმაური შემომესმა. ყური დავუგდე. ეჭვი არ იყო — ეს ზარბაზნების გრიალი იყო!

საჩქაროდ შევუარე მიშა მრევლიშვილს და ორივე გავეშურეთ ავლაბრისაკენ, სადაც ჩვენი ჯარის მეხუთე ლეგიონი იდგა. იქ უკვე თავი მოეყარა ასამდე ახალგაზრდას და ხანდაზმულს, რომლებიც მოითხოვდნენ სასწრაფოდ ფრონტზე გაგზავნას.

დიდხანს არ გვაცდევინეს, საჩქაროდ დაგვირიგეს იარაღი და მწკრივში ჩაგვაყენეს. სამწუხაროდ, მე ფრანგული სისტემის თოფი შემხვდა. ამ თოფში ერთად მხოლოდ სამი ვაზნა ჩადიოდა, ხოლო ხიშტის ნაცვლად ლულაზე მოკლე ხმალი ეკეთა.

იძულებული გავხდი, ერთად ექვსი „პატრონტაში“ ამესხა, რათა ვაზნების მარაგი მქონოდა.

ჩქარა კრწანისისკენ გავემართეთ. ქალაქის განაპირა ქუჩების გავლისას ხალხი გზას გვილოცავდა, ხოლო ზოგი მედუქნე კამფეტსა და პაპიროსებს გვირიგებდა.

მივედით კრწანისში და იმავე წუთას განვიცადეთ ადამიანის მოდგმისთვის მიუტევებელი საქციელი — ერთმანეთის ჟლეტა: თოვლით დაფენილ ფერდობზე ესვენა სამი ქართველი მებრძოლის გვამი. ერთ მათგანს, ოფიცერ ჯაფარიძეს (სახელი არ მახსოვს), ხიშტით ჰქონდა მუცელი გამოფატრული.

ჩვენ, განსაკუთრებით ახალგაზრდები, თითქოს იქვე ვეზიარეთ ომის საშინელებას. ზოგი ცუდადაც გახდა. მიშა მრევლიშვილმა წამოსვლაზე უარი განაცხადა.

წინადღით, აქ, ტაბახმელაში, მტრის ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა ცნობილი პოეტის — კ. მაყაშვილის ახალგაზრდა ქალიშვილი მარო. ის მტრის შემოსევისთანავე წასულიყო ფრონტზე „მოწყალების დად“.

ამ ცნობამ მთელი ქართველი საზოგადოება დაამწუხრა, ხოლო უბედურმა მისმა მამამ, კოტე მაყაშვილმა, თავისი ღრმა მწუხარება ლექსით გამოხატა. ამ ლექსს მთელი თბილისი ჩუმად, მხოლოდ ოჯახებში მღეროდა სევდიანად. მახსენდება ლექსის პირველი სტროფი:

„შვილო, მარო! დამიტოვე
ცრემლი შეუშრობელი.
სამშობლო, თუ შენ გიტირო?
აღარ ვიცი — რომელი!..“

ჩქარა ეს ლექსი აკრძალეს.

ჩვენი პოზიცია, მართლაც, მიუვალი იყო. კოჯრის მხრიდან ჩვენი სახელოვანი იუნკრები იცავდნენ, მაგრამ ერთი სავალალო ფაქტი აშკარა იყო:

თბილისის მისადგომებთან იდგა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, ქალაქს კი იცავდა ორი თუ სამი ე. წ. „ათასეული“.

პირველ ხანებში ბრძოლას საარტილერიო დუელის ხასიათი ჰქონდა. მტერი შორიდან გვესროდა ე. წ. „შრაპნელს“, რომელსაც ჩვენი უკეთეს პოზიციაზე მდგომი ქვემეხები საკადრის პასუხს აძლევდნენ.

ერთ დილას, გარიჟრაჟზე, მტრის ქვეითა ნაწილებმა ჩუმად, ღელეებიდან დაიწყეს მაღლა ამოპარვა. ეს თავის დროზე იქნა შენიშნული და როცა მტერი იძულებული გახდა ველებზე გამოშლილიყო, მას ყოველი მხრიდან დავაყარეთ ტყვია.

რამდენიმე წუთში, მტერი „ქუდმოგლეჯილი“ გარბოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მას უკან არავინ გამოეკიდა. მხოლოდ ჯარისკაცთა მცირე ნაწილი ამოვიდა სანგრებიდან და სირბილით დაეშვა ველზე.

მე რაღა გამაჩერებდა. ამოვხტი სანგრიდან და სროლითვე შევუერთდი ჩვენებს. ასევე მოიქცა ჩემი ამხანაგი ვახტანგ ქურდოვანიძე, მაგრამ კინაღამ ერთი გაუგებრობის მსხვერპლი გახდა:

საქმე ის იყო, რომ მე და ვახტანგს ისე არ გვეცვა, როგორც ჩვენს ჯარისკაცებს. მე მეცვა ე. წ. „გვარდიული ბუშლატი“, ხოლო ვახტანგს სწორედ ისეთი „შინელი“, როგორიც რუსის სალდათებს. როცა ჩვენი ჯარისკაცებისაკენ გავრბოდით, ერთმა ჩვენმა ჯარისკაცმა ვახტანგი მტრის სალდათად მიიღო და მე რომ არ დამეყვირა: — არ ესროლო! ჩვენია-მეთქი, ნამდვილად უბედურება მოხდებოდა.

ჩქარა გავიგეთ, რომ ის მცირე ჯგუფი, რომელიც მტერს სროლით გამოედევნა და რომელსაც მე და ვახტანგი შევუერთდით, ჩვენი სახელოვანი ათასეულის — „ახპინძის ნაზელობის ათასეულის“ მეზვერავი გუნდი ყოფილა.

ეს გუნდი უკან აღარ დაბრუნებულა. მან ერთი პატარა შენობა დაიკავა და შიგ განლაგდა.

გუნდის უფროსი იყო ვინმე კაპიტანი მუხრანსკი. ძალზე სიმპათიური და ახოვანი ვაჟკაცი. ლეიტენანტის გვარი და სახელი აღარ მახსოვს. ხოლო ზემდეგის გვარი იყო ხაბურზანია.

მე კაპიტანს ვთხოვე, რომ დავეტოვებინეთ მის გუნდში და დავპირდი, არ შეგარცხვენთ-მეთქი. მან შტაბში დაურეკა ვინმე მაიორ ბუკიას (თუ მებუკეს), რომელმაც ნება დაგვრთო, დავრჩენილიყავით.

ერთ დილას, დაზვერვის დროს, ბიჭებმა მიტოვებული დუქნის დახლის ქვეშ იპოვეს გადამალული ღვინო. სანამ ისინი სადღეგრძელოებს სვამდნენ, მე მაგიდის უჯრაში პროკლამაციების დიდი დასტა აღმოვაჩინე. «Воззвание!» — ასე იწყებოდა ეს პროკლამაცია, სადაც ვითომდა „აჯანყებული“ ლორის მაზრის გლეხობა მოუწოდებდა მთელი საქართველოს მშრომელებს, დაემხოთ საძულველი მთავრობა და მოძმე რუსი ხალხის დახმარებით პროლეტარიატის ხელისუფლება დაემყარებინათ.

ეს პროკლამაციები კაპიტანს რომ მივუტანეთ, მან გადაიკითხა და სრულიად სერიოზულად თქვა:

—თქვენ გიშველოთ ღმერთმა: ამ უქაღალდობაში იმ ადგილას ძალიან გამოგვადგება. სწორედ იმ ზომაზეც რომაა მოჭრილი.

ერთ ღამეს მეზობელ სოფელში, საიდანაც მაცხოვრებლები უკვე გაქცეულიყვნენ, ზემდეგმა ხაბურზანიამ ერთი სახლის საკვამურზე ბოლი შენიშნა. მყისვე ალყა შემოვარტყით, ხოლო რევოლვერმომარჯვებულმა ზემდეგმა კარები შეამტვრია. ოთახში სამი რუსის სალდათი „ფეჩთან“ იჯდა და ტაფიდან რაღაცას ჭამდა. მათ მხოლოდ ხელების აწევა მოასწრეს. თოფ-იარაღი ავყარეთ და ბინაზე მივიყვანეთ. როცა კაპიტნის ბრძანებით შინელები გაიძრეს, პირდაპირ დაუჯერებელი რამ ვიხილეთ: თურმე შინელი ჰფარავდა მათ მთლად დაძონძილ ტანსაცმელს. ერთ მათგანს ფეხსაცმლის ნაცვლად ფარდაგის ნაჭრები ჰქონდა შემოხვეული, რომელთან შედარებით ჩემი ქალმები იმპორტულ საქონლად მოჩანდა. ჯიბეებში სხვადასხვა ნაგავთან ერთად დახალული სიმინდი და ნახევრად შემწვარი ხორცის ნაგლეჯები ეყარათ.

არავინ იფიქროთ, რომ მე სურათს ვამუქებ. პირიქით, შემიძლია კიდევ დავუმატო, რომ არცერთ მათგანს საცვლები არ ეცვა...

სამივე სალდათი დაუყოვნებლივ გადაიგზავნა შტაბში, რომელიც ტაბახმელაში იყო მოთავსებული...

ჩემთვის დაუვიწყარია 23 თებერვლის გარიჟრაჟი. ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ჩვეულებისამებრ გადმოსცეს:

— დაზვერეთ!

სულ ნახევარი კილომეტრითაც არ ვიყავით ბინიდან დაშორებული, რომ ზემდეგი ხაბურზანია გამოგვეყო და გაუჩინარდა. ჩვენ გავიშალეთ და ფრთხილად განვაგრძეთ ბუჩქიდან ბუჩქამდე გადანაცვლება.

მე ადრევე მქონდა ზემდეგთან ნათქვამი, რომ ბინდბუნდში მიძნელდებოდა შორიახლო მდგარი საგნის ზუსტად გარკვევა — მოძრავი იყო ის თუ უძრავი.

მაშინაც, [illegible] ვრივ, ძველ ბოგირთან რაღაც მოძრაობა შევნიშნე, უმალვე გამახსენდა ზემდეგის მიერ ნასწავლი ხერხი: თოფი კონდახით მიწაზე დავაყრდენი, ხიშტი თვალსა და თვალს შუა უძრავად გავაჩერე და დავუკვირდი. დავუკვირდი და რა დავინახე: ბოგირის ქვეშიდან ამოდიოდნენ რაღაც ჩრდილები და გზის გასწვრივ უჩინარდებოდნენ.

ეჭვი არ იყო — ეს მტრის სალდათები იყვნენ. საჭირო იყო მაშინვე ზემდეგისათვის მეცნობებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა მისი მჭექარე ხმა:

— Стой! — რევოლვერი გავარდა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ გასროლას მოჰყვებოდა საერთოდ სროლის ატეხა, მაგრამ სრული სიჩუმე გაგრძელდა. მხოლოდ ჩვენი კაპიტანი მუხრანსკი ორი ჯარისკაცის თანხლებით სწრაფად მოიჭრა და გვიბრძანა უხმაუროდ უკან დაბრუნება. ამასობაში ინათლა და ცხადად გამოჩნდა მოწინაამღდეგის აურაცხელი ქვეითი ჯარი, რომელიც ჩვენი სანგრების წინ პოზიციებს იკავებდა.

შტაბიდან მიღებული ბრძანების თანახმად ჩვენი გუნდი საჩქაროდ დაუბრუნდა შაღლობებზე მოთავსებულ სანგრებს, მაგრამ ტაბახმელასთან კი არა, — შავნაბადასთან.

გათენდა 1921 წლის 23 თებერვალი. დაიწყო ბრძოლა თბილისისათვის.

მტერი ჯერ უმთავრესად არტილერიას იყენებდა. ზედიზედ სკდებოდა ჩვენს სანგრებზე ე. წ. შრაპნელები. ჩვენ მხოლოდ ტყვიამფრქვევებს და თოფებს ვესროდით. ერთბაშად, რაღაც ნიშანზე, მიწაზე გართხმული მტრის ჯარი ფეხზე წამოვარდა და „ურას“ ძახილით წინ გამოემართა.

სწორედ ამ დროს ჩემს თავზე რაღაცამ დაიჭექა და მე უგონოდ ჩავიკეცე სანგარში. როცა გონს მოვედი, ვიგრძენი, რომ მარცხენა საფეთქლიდან სისხლი თქრიალით მომდიოდა და ენას ვერ ვამოძრავებდი.

ორმა ჯარისკაცმა სანგრიდან ამომიყვანა, ერთმა მათგანმა გულზე ჩამოკიდებული ბინტის გორგალი გახსნა და თავი მაგრად შემიკრა. იქვე გაჩნდა ლეიტენანტი და ვახტანგიც.

— აგერ, ჰოსპიტალი აქვეა, ნავთლუღში. გააცილეთ და ჩქარა დაბრუნდით!—ბრძანა ლეიტენანტმა.

მე ჭრილობა სიარულს არ მიშლიდა. დავეშვით ფერდობებზე და ჰოსპიტალში მივედით.

ექიმებმა დაუყოვნებლივ შემიხვიეს ჭრილობა და საწოლზე მომათავსეს. მე თოფი არავის დავუთმე და თავის ვაზნებიანად საწოლის ერთ მხარეს, ლეიბის ქვეშ ამოვდე.

ვახტანგმა თავისი დამზრალი ფეხი გაასინჯა და ისიც დატოვეს ჰოსპიტალში. სროლის ხმა განუწყვეტლივ გრძელდებოდა. ჰოსპიტალში ხმა დაირხა, რომ ყუმბარა ქალაქის განაპირასაც დაეცა და არც ჰოსპიტალია დაზღვეული. სიჩუმე ჩამოვარდა და მე ჩამეძინა. ტკივილი ხშირად მაღვიძებდა, მაგრამ „მოწყალების და“ ტკბილი სიტყვებით მამშვიდებდა.

მახსოვს — საჭმელიც მომიტანეს, მაგრამ რატომღაც ქვედა ყბა არ მემორჩილებოდა. ამიტომ წვენი ფინჯნით დამალევინეს. მერე საძილე წამალიც მივიღე და დამეძინა.

შუაღამისას რაღაც ფუსფუსმა გამომაღვიძა. წამოვიწიე და რას ვხედავ: ექიმები და სანიტრები მკლავებზე წითელ ლენტებს იკეთებდნენ, საწოლები და მაგიდები წესრიგში მოჰყავდათ და თან ჩურჩულებდნენ:

— მოდიან! მოდიან!.. ჩვენ აქვე ადგილებზე უნდა შევხვდეთ... საჭიროა სიწყნარე. ჩვენ არაფერს გვიზამენ!..

მე მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა. მაშ თბილისი, ჩვენი დედაქალაქი მტერმა ჩაიგდო ხელში? სირცხვილი! სირცხვილი!..

მაშინვე წამოვჯექი. დიდის გაჭირვებით ჩავიცვი ტანსაცმელი, მაგრამ ფეხსაცმელამდე ვერ ვიხ-

(გაგრძელება მე-14 გვ.)

კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი დაიბადა 1904 წელს. იგი, როგორც მკითხველი, თვითონ დარწმუნდება, არის თვითმხილველი ყველა იმ მოვლენისა, რომელსაც აღწერს.

ავტორის სტილი დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

რებოდი — მაშინვე თავში ხისხლი მაწვებოდა. ეს დაინახა მოწყალების დამ. ჯერ კი ხცადა, ისევ დავწოლილიყავი, მაგრამ რომ გავჯიუტდი, დაიჩოქა და ჩუსტები და ქალამნები ჩამაცვა.

ეს ფაციფუცი არც ვახტანგს გამოჰპარვია და როცა მე ჩაცმული დამინახა, თვითონაც სწრაფად ჩაიცვა და ჩემთან მოვიდა.

— ყმაწვილებო! თავს რად იღუპავთ! ხომ იცით, რუსები უკვე ქალაქში არიან! რომ დაგინახავენ იარალახხმულს, იქვე, ადგილზევე დაგხვრეტენ! — გვითხრა მთავარმა ექიმმა.

ვახტანგს თოფი და „პატრონტაში" მოხვლისთანავე ჩაებარებინა, მე კი ისევ ავისხი და ძალით გამოვედი ჰოსპიტალიდან.

ვახტანგი ვაგზლამდე მომყვა და იქ დამემშვიდობა.

— აქვე ახლოს ნათესავები მყავს, მე კი ამ ფეხით დიდხანს ველარ ვივლი, სჯობს იმათთან შევბრუნდეო.

ვახტანგმა ერთი ხისხლიანი „პატრონტაში" მომხსნა სახსოვრად, გადამკოცნა და გამშორდა.

პირველი, რაც მე მაშინ გავაკეთე, ის იყო, რომ ვაგზლის წინ მოედანზე გამოვედი და მთავარი შენობის ფახადს შევხედე. იქ, მაღლა, საათის თავზე, მეგულებოდა საქართველოს სახელმწიფო დროშა — თეთრი გიორგის ბარელიეფი. შევხედე და გული შემეკუმშა: ზედ ფიცარი იყო აკრული.

მაშინვე გავედი ლიანდაგზე, მივიჭერი ღია ვაგონებთან, რომელზედაც ჩვენი ჯარისკაცები იხხდნენ და ხელები ავაწვდინე. იმათ ფრთხილად ამიტაცეს და გვერდზე მომიხვეს.

მატარებელი დაიძრა, მაგრამ ავჭალამდეც არ ვიყავით მიხული, რომ ისევ გაჩერდა.

— ჩამოდით, ბიჭებო, ცოტახანს, ჩამოდით!—

დაიძახა ვილაცამ დაბლიდან, უფრო თხოვნით, ვიდრე ბრძანებით.

ლია ვაგონი მთლიანად დაცარიელდა. მარტო მე ვიჯექი თოჯინასავით.

როცა ნახევარი საათის შემდეგ ბიჭები დაბრუნდნენ, რაღაც აღელვებული კილოთი ლაპარაკობდნენ.

— ხომ ვუტირეთ დედა მაგ მამაძაღლებს! ნახე, რა თავხედობაშიც მივიდნენ?.. გზის გადაჭრა უცდიდათ!..

თურმე რუსების ერთ ცხენოსან რაზმს კოჯრის მხრიდან მოევლო და ჩვენი უკანდახეული ჯარისთვის გზის გადაჭრა ეცადა....

სადგურ მცხეთასთან, სადაც ბლომად მოეყარათ თავი ჯარისკაცებს, უცებ ვალიკო ჯუღელი გამოჩნდა.

უნდა გავიხსენო, რომ ვ. ჯუღელი იყო სარდალი ნებაყოფლობით შემდგარი ჯარისა, რომელსაც „წითელ გვარდიას" ეძახდნენ. ამ ჯარში თავს იყრიდა ხხვადახხვა ახაკის, ცოდნის და ხელობის აქტივისტი და ეხმარებოდა ხელისუფლებას გარე თუ შიდა მტრებთან ბრძოლაში.

ვ. ჯუღელი მე ადრეც ხშირად მყავდა ნახული. წარმოხადეგი და ხიმპათიური ვაჟკაცი იყო. მე ის ჯერ კიდევ 1917 წელს ვნახე, როცა თელავის ყაზარმაში მოკალათებულმა, ბოლშევიკური პროპაგანდით გადარეულმა ჯარისკაცებმა არეულობა მოაწყეს, თვითმმართველობა და ხახალხო მილიცია გარეკეს და თვითონ დაეპატრონენ ქალაქს. როგორც კი ამ ცნობამ თბილისამდე მიაღწია, დაუყოვნებლივ ჩამოცხადდა „გვარდიის" რაზმი ვ. ჯუღელის ხელმძღვანელობით და ერთ დღეში აღადგინა წესრიგი.

მე მაშინ, 18 წლის პატრიოტი ბიჭი, რა თქმა უნდა, დავესწარი მიტინგს, რომელზედაც ჯუღელი გამოვიდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, არც იცით, რომ არც მე და არც ჩემს მებრძოლებს მეორე დღეა პირში ლუკმა არ ჩაგვიდია, მაგრამ თუ რესპუბლიკაში წესრიგის დაცვას დახჭირდება, ჩვენ ხიცოცხლესაც არ დავიშურებთ! — თქვა ვალიკო ჯუღელმა...

ახლა. მას ველარ იცნობდით. ის გაფითრებული მოაბიჯებდა წინ, გაშლილი დროშით ხელში და ჩახლეჩილი ხმით იძახდა:

— მოდით! მოდით! აი, ჩვენი სახელოვანი დროშა. მოგროვდით მის ირგვლივ!.. არ შეგვირცხვენია აქამდე და ნურც ახლა შევარცხვენთ!..

სამწუხაროდ, ვ. ჯუღელის ირგვლივ მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი შეგროვდა.

მცხეთას რომ გავცდით, ჭრილობა გამეხხნა, ამიტომ ლია ვაგონიდან დახურულ ვაგონში გადამიყვანეს. იქ რამდენიმე დაჭრილი ოფიცერი იწვა, მათ შორის ერთი იუნკერთა სახწავლებლის ოფიცერი (მგონი ჩხეიძე). ის ამბობდა:

— ჩვენი ასე იოლად დამარცხების მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს უნიჭო, უქნარა და ყოყლოჩინა მთავრობას.

კაცო! კარზე რომ მგელი მოგადგეს, ვერ უნდა მიხვდე, რა გააკეთო?! ბოლშევიკებმა აზერბაიჯანი და სომხეთი დაიპყრეს, შენს საზღვარს მოადგნენ, ყოველი მხრიდან შემოგერტყნენ და შენ გულხელდაკრეფილი უნდა ელოდო — როდის შემოგესევიან?

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გამოიყენა ქართველი ერის ენთუზიაზმი, ვერ შექმნა საჭირო სამხედრო ძალა.

მარტო თბილისს შეეძლო 50 ათასი მებრძოლის გამოყვანა. ჩვენ მხოლოდ 9 ათასი კაცის იმედზე ვიყავით. მტერი კი ორი არმიით შემოგვესია. ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის.

ჭკვიანი ოფიცრის ეს მართალი სიტყვები მე სამუდამოდ ჩამრჩა გულში...

ქუთაისის საავადმყოფოში მხოლოდ რამდენიმე დღე-ღამე დავყავი. ძალზე მწყინდა, რომ ჩემი ჭრილობა არც მოძრაობას და არც სიარულს არ მიშლიდა და მაინც ასე უმოქმედოდ ვიწექი.

საავადმყოფოდან „გამაჯანსალებელ ბანაკში" გამგზავნეს. მახსენდება ერთი „წვრილმანიც".

ჩემი ფრანგული თოფი, რომელსაც არავის ვანებებდი, თურმე შავნაბადადან მოკიდებული გატენილი და ჩახმახზე შეყენებული დამქონდა. საკმარისი იყო ჩახმახი რამეს გამოსდებოდა, რომ თოფი გავარდებოდა და უბედურება დატრიალდებოდა.

ეს მე ქუთაისში ჩაბარების დროს შევნიშნე და მოვაწესრიგე...

„გამაჯანსალებელ ბანაკში" ახალგაზრდა მოხალისეებიც გადიოდნენ წვრთნას და მე იმედი არ მეკარგებოდა, რომ მტერს ჩქარა „კუდით ქვას ვასროლინებდით". მაგრამ... ბანაკში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. იქვე გაისმა მწუხარე ლიღინი:

— აპრილო და ივლისო,
დაგტოვეთ ჩვენო თბილისო!
აპრილო და მაისო!
გშორდებით ქუთაისო!..

დიახ! ქუთაისსაც ვაბარებდით მტერს... ბათუმში რომ ჩავედით, მე უკვე იმედის ნაპერწკალიც კი ჩამიქრა. სულ მახსენდებოდა იუნკერთა სახწავლებლის ოფიცრის სიტყვები: „ვერ მოვუარეთ სამშობლოს". უფრო მეტად მწყინდა ის, რომ მე თვითონ გამოთიშული ვიყავი ბრძოლებიდან და მხოლოდ ხხვებს ვამხნევებდი.

ბათუმში უკვე ჩამოხარჯებული იყო ჩვენი „მხოფლიო პროლეტარიატზე მზრუნველი" მენშევიკური მთავრობა.

ამავე დროს ჩრდილოეთიდან შემოხეული რუსების მე-9 არმია, მე-11 არმიასთან ერთად, ამთავრებდა ჩვენი რესპუბლიკის ოკუპაციას.

საქმეს უფრო ართულებდა ის, რომ თურქეთმა მოინდომა ბათუმის ხელში ჩაგდება როგორც „ტერიტორიულად და ისტორიულად" თურქეთის საკუთრება. ამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩვენმა მთავრობამ მოახერხა ერთი გონივრული ღონისძიების ჩატარება. მან გამოაქვეყნა მოწოდება, რომლის შინაარსი იყო:

„თუ საქართველოს უწერია მტრის მიერ დაპყრობა, დე ის ჩაბარდეს ერთ მტერს და არა ორ მოდავე სახელმწიფოს".

ამ მოწოდებას დაუყოვნებლივ საქმეც მოჰყვა, რომელშიც გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო ბათუმში თავმოყრილმა ქართველმა სტუდენტობამ. მათ თვითონ შეადგინეს „დამკვრელი რაზმი" და სასტიკად დაამარცხეს ფორტბარცხანაზე გამაგრებული თურქები.

ამ ბრძოლაში 60 სტუდენტმა შეხწირა თავი სამშობლოს მთლიანობას.

ამასობაში ჩვენმა მთავრობამ მოასწრო თავისი ბარგი-ბარხანის საფრანგეთის გემზე გადაზიდვა. მანვე, სიმართლე უნდა ითქვას, დიდის სიფრთხილით გადაიტანა გემზე საქართველოს ისტორიული განძი — სიძველეთა მუზეუმის მთელი სიმდიდრე და გამოაქვეყნა მიმართვა:

—ეს განძეულობა ეროვნული საკუთრებაა და ხელშეუხებელია. ის თავის დროზე უნაკლოდ დაუბრუნდება დედასამშობლოს. ამიტომ ნურავინ ეცდება მისი იმედით საზღვარგარეთ წამოხვლას!..

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენდა სასიხარულოდ, აღნიშნული უძვირფასესი ეროვნული განძეულობა მართლაც უკლებლად დაუბრუნდა მშობლიურ ერს. ამ მამულიშვილურ საქმეს დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწემ ექვთიმე თაყაიშვილმა.

მე ისლა დამრჩენია, გავიხსენო, თუ როგორ გავიდნენ ბათუმის ნავსადგურიდან საფრანგეთის და სხვა ქვეყნების გემები და რა ზეიმით შემოვიდნენ „ჩვენს მიერ მოწვეულნი" და ჩვენი გამაბედნიერებელი ბოლშევიკები.

მახსოვს: სერგო ორჯონიკიძე ცხენიდან რაღაცას უქადაგებდა ხალხს. მე მოშორებით ვიდექი და კარგად არ მესმოდა ეს ქადაგება. ამიტომ ჩემს ნაცნობ ჯარისკაცს, საგარეჯოელ საძაგლიშვილს ვკითხე, რას ამბობდა-მეთქი.

—რას ამბობდა და — აქამდე თქვენ იყავით, ახლა ჩვენ ვიქნებით და დედას გიტირებთო!..

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ჭრილობის მიღების შემდეგ რატომღაც მიჭირდა ლაპარაკი. განსაკუთრებით ველარ ვამბობდი ასო რ-ს. ზოგ მოსაუბრეს, მათ შორის ექიმებსაც, არ სჯეროდათ, რომ მე საერთოდ ენაჩლუნგი არ ვიყავი. ჩვენი დემობილიზაცია აღარ დაყოვნებულა, მაგრამ ამით დაიწყო ახალი წამება შორეული რაიონებიდან ჩამოხული ჯარისკაცებისათვის: რკინიგზის ლიანდაგები მრავალ ადგილას აყრილი იყო, ხოლო ხიდები — აფეთქებული. ამიტომ სინამდვილეში ფეხით გვიხდებოდა სიარული, ხოლო მანძილი ბათუმიდან თბილისამდე 500 კილომეტრია. გზადაგზა გვხვდებოდნენ რუსი ჯარისკაცები, ზოგჯერ უგონოდ მთვრალები და ათასგვარ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. მახსოვს, საჯავახოს აფეთქებულ ხიდზე რომ გადმოვდიოდით, წინ მთვრალი რუსები შემოგვხვდნენ. დაგვიწყეს მასხრობა. მე ყოველთვის თან ვატარებდი საქართველოს სამფეროვანი დროშის მინიატურულ ნიშანს, რომელიც ხალათის გულზე მეკერა. ერთი მთვრალი რუსი მწვდა და ჩამომაგლიჯა. მე ხელი ნიკაპში ამოვკარი და მათი მეთაური რომ არ ჩარეულიყო, ნამდვილად ცუდად დამთავრდებოდა საქმე.

პირველი ზიზლი და სასოწარკვეთა თბილისის სადგურზევე განვიცადე. ყველგან წითელი დროშები და ლენინის და ტროცკის სურათები ეკიდა. განსაკუთრებით შემეზარა ქუჩებში გამოკიდული ე. წ. „აგიტნახატები", მაგალითად, ერთ ნახატზე გლეხი სახრით ბატებს მიერეკებოდა, ხოლო ბატებს ცილინდრდახურული კაცის თავები ჰქონდათ. თუ დააკვირდებოდით, ამ თავებში იცნობდით ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილს და ხხვებს.

ამ დღიდან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება „საბჭოთა საქართველოში".

1921 წლის ზაფხულის ბოლოს, ჩემი ამხანაგების გულითადი დახმარებით, თბილისში, „ფიქრის გორაზე" ვიშოვე ერთი ბნელი ოთახი და იქ გადავსახლდი.... ვერა და ვერ ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ დამოუკიდებელი და გაერთიანებული საქართველო, მისი თავისუფლებით აღტკინებული ხალხი ვერ შეძლებდა მშიერ-მწყურვალი რუსეთის გამკლავებას, თუკი მას ღირსეული ხელისუფლება ეყოლებოდა.

გამუდმებით მახსენდებოდა იუნკერთა ოფიცრის — ჩხეიძის სიტყვები:

„ჩვენი იოლად დამარცხების მთელი პასუხისმგებლობა აკისრია უქნარა, უნიჭო მენშევიკურ მთავრობას!"

მაინც ვინ იყვნენ ქართველი „მენშევიკები" და როგორ მოხდნენ ისინი საქართველოს ბედიღბლის საჭესთან?

1918 წლამდე ჩვენი მენშევიკები თავის თავს რუსეთის სოც. დემოკრატებს უწოდებდნენ. უფრო მეტიც: ისინი წარმოადგენდნენ სრულიად რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტიის ავანგარდს მეფის ჩამოგდებამდე და მმართველ ბირთვს ოქტომბრის გადატრიალებამდე. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქართველი სოც. დემოკრატი კარლო ჩხეიძე „სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა კომიტეტის" თავმჯდომარე იყო, ხოლო კაკო წერეთელს კერენსკის მთავრობაში ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ადგილი ეკავა.

სანამ რუსეთის ამ „მეხვეურებს" ბოლშევიკები რუსეთიდან გამორეკავდნენ, მათ კრინტიც არ დაუძრავთ თავისი ქართველობის შესახებ. ჩვენი სოციალ-დემოკრატები საერთოდ ერიდებოდნენ „ნაც. წარმოშობის საკითხს". მიზანი გარკვეული იყო: ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) რევოლუცია განუყოფელი რუსეთისთვის უნდოდათ. ისინი გადაჭრით წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს არათუ დამოუკიდებლობისა, არამედ ავტონომიისაც კი.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატები — იგივე „მენშევიკები", სასწრაფოდ შეიყარნენ თავის ქვეყანაში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ეროვნული სახელმწიფო მოეწყოთ, — ეს მათ პროგრამაში არ შედიოდა — მათ თავი შეაფარეს ამიერკავკასიას, რათა ებრძოლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ სრულიად რუსეთში „დემოკრატიული წყობილების" აღსადგენად.

შეიქმნა ა/კავკასიის სეიმი, რომლის სრული ბატონ-პატრონი ქართველი მენშევიკები იყვნენ. პასუხსაგები ადგილები მათ ხელში იყო, მაგრამ საყურადღებოა, რომ ა/კავკასიის სეიმის ჯარების სარდლობაც ქართველთა ხელში იყო. მენშევიკებს რომ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის უნარი და ეროვნული გრძნობის ნატამალი ჰქონოდათ, ამიერკავკასია ის უძლეველი ძალა იყო, რომლის გონიერი გამოყენება მთლიანად შეატრიალებდა საქართველოს და მისი მეზობელი ერების ბედ-იღბალს.

ძნელია ამ საბედისწერო მომენტის გახსენებაც კი...

ა/კავკასიის სეიმის შექმნა არ ითვალისწინებდა რუსეთიდან ჩამოშორებას; ეს იყო დროებითი „გარდამავალი პერიოდი", რომელიც — მენშევიკების გეგმით — ისევ რუსეთთან შეერთებით უნდა დამთავრებულიყო და მხოლოდ თურქეთის კატეგორიულმა მოთხოვნამ, ა/კავკასიის მთავრობა სავსებით ჩამოშორებოდა რუსეთს, ურომლისოდაც მას ზავზე ლაპარაკიც კი არ სურდა, აიძულა ჩვენი სოც. დემოკრატები, იგივე მენშევიკები, ოფიციალურად გამოეცხადებინათ დამოუკიდებელი ა/კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ა/კავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მხოლოდ ექვსი თვე იარსება. 1917 წლის 15 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე.

ამ დროისათვის სომხეთის დიდი ნაწილი თურქეთის მიერ იყო მიტაცებული.

აზერბაიჯანმა თურქეთთან ყოფნა არჩია, როგორც ერთმორწმუნე, ძლიერ სახელმწიფოსთან.

მხოლოდ საქართველო დარჩა პირისპირ მტრის დიდ ძალებთან, რომელთანაც ზავზე მოლაპარაკება შეიძლებოდა მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით. და აი, მოხდა ის, რაც არ შედიოდა ქართველი მენშევიკების მარქსისტულ პროგრამაში:

1918 წელს, 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ეს იყო სრულიად საქართველო, მთლიანი საქართველო — აჭარააფხაზეთიდან—ხაინგილომდე, მესხეთ-ჯავახეთიდან დარიალამდე! ასეთ საქართველოს არ შეხწრებია ჩვენი ერი დავითის, თამარის და გიორგი ბრწყინვალის შემდეგ. საჭირო იყო მისი პატრონობა, მისი გადარჩენა და გაძლიერება. საჭირო იყო ილიას მსგავსი მესვეურები და არა ნაცარქექია მარქსისტები!

საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა!

ჩიტირეკია „მენშევიკები" შეცვალეს კარიერისტმა და დაუნდობელმა ბოლშევიკებმა. აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი: — „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო".

●

ჩემი ახალი ბინა „ფიქრის გორაზე" პირველი დღიდანვე გადაიქცა ნამდვილი „მეგობრობის კლუბად". მიუხედავად სიბნელისა და სივიწროვისა, ჩემი მეგობრები თავისუფალ დროს იქ ატარებდნენ.

ის-ის იყო დაიწყო სახწავლო წელიც და სახწავლებელში, რომელსაც ახლა „შრომის სკოლა" ერქვა, კვლავ შეგროვდნენ ძველი თანაკლასელები. ატმოსფერო იყო როგორღაც გაყუჩებული, უსიხარულო. როგორც პედაგოგები, ისე მოსწავლეები თითქოს რაღაც უჩვეულოს ელოდნენ. უჩვეულო კი ჯერჯერობით ის იყო, რომ კლასებში მარქსის, ლენინის, ტროცკის და ნამგალისა და ჩაქუჩის სურათები ჩამოგვიკიდეს...

პირველ ხანებში ახალი ხელისუფლება მეტ ლმობიერებას იჩენდა ხალხისადმი: ჩვენ ისევ ვმღეროდით საქართველოს ჰიმნს, რომელშიც მხოლოდ პირველი ფრაზის სიტყვები იყო შეცვლილი: „დიდება ზეცით კურთხეულის" ნაცვლად უნდა გვემღერა— „დიდება საქართველოსა".

იმის ნებაც კი დართეს, რომ სამხედრო ტაძარში,* რომლის ეზოში დაკრძალული იყვნენ ამ ომში დაღუპული მებრძოლები— ხალხს პარაკლისი გადაეხადა, ხოლო როცა მღვდელმა ღაღადებით წარმოსთქვა:

— შეიწყალე და აცხოვნე უფალო სამშობლოს სადარაჯოზე გმირულად დაცემულ მებრძოლთა სული! — ხალხში გაისმა ხმამაღალი ქვითინი.

პოეტმა იოსებ მჭედლიშვილმა დიდი გრძნობით წაიკითხა თავისი ახალი ლექსი:

„ჩემთა საყვარელ ძმათა
საფლავზე.
ჰოტენტოთივით დავებოტებით".

ეს პარაკლისი-დემონსტრაცია დამთავრდა იმით, რომ მხოლოდ პოეტი ი. მჭედლიშვილი დააპატიმრეს.

ხალხში ხმა დაირხა, რომ ის იმავე დღეს გაათავისუფლეს პროფ. შალვა ნუცუბიძის დახმარებით.

შალვა ნუცუბიძე ხომ ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ბელადი იყო — მაშასადამე, ანტიბოლშევიკი! მაშ როგორ გახდა უცებ მათი თანამოაზრე?!!— ეკითხებოდნენ ერთმანეთს გაკვირვებული მოქალაქენი...

მე და ჩემმა მეგობრებმა ისევ აღვადგინეთ ჩვენი „კულტურული წრე", რომელსაც დავარქვით „მალ" — „მშრომელ ახალგაზრდათა ლიგა".

ამ ლიგაში ჩემს გარდა ითვლებოდნენ მიხ. მრევლიშვილი, ქუჯი ძიძიშვილი, შოთა დუმბაძე, დიომიდე ანთაძე, ლადო დონაძე და ნიკუშა წერეთელი (ეს უკანასკნელი სხვა სახწავლებლიდან). მყავდა აგრეთვე ერთი დიდი მეგობარი, ირაკლი ტატიშვილი, რომელსაც ჩვენ ყველა ბატონ ირაკლის ვეძახდით.

ჩვენ ისევ განვაგრძობდით ენერგიულ მზადება-განვითარებას ერის სამსახურისათვის და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ არსებული რეჟიმი დიდხანს ვერ იბოგინებდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

* ამ ტაძრის ადგილზე დღეს მთავრობის სასახლეა.

# დაბრუნებული და აღმოჩენილი მხატვარი

უნდა გამოვტყდე — როდესაც ხოსო წერეთლის ნამუშევართა გამოფენის მოწყობა გადავწყვიტეთ, ბევრი რამ ხოსოს ნამუშევრებიდან აღარც კი მახსოვდა; ვერც მხატვრული თვალსაზრისით ვაფასებდი ობიექტურად — თითქოს წარსულმა, განვლილმა დრომ რამდენადმე დამაშორა სამყაროს მისეული მხატვრული აღქმის პროცესებს, შესრულების სტილსა და მანერას. მივიწყებული მქონდა თვით მამოძრავებელი იმპულსები და წყაროები, ხოსო წერეთლის ხელოვნებისა და ზოგადად მისი აზროვნების სათავეები.

რაოდენ გასაოცარი და ამაღელვებელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ უამრავი ნამუშევარი, მართლაც, ძალზე მაღალ პროფესიულ დონეზე აღმოჩნდა შესრულებული. ხოსოს მხატვრული სრულყოფისათვის ძალიან ადრე მიუღწევია, ფაქტიურად, გზის დასაწყისშივე ჰქონია ჩანაფიქრის ხორცშესხმის პროფესიული დონე, ამავე დროს ამ ნამუშევრებს არც დამაჯერებლობა და ტალანტით აღსავსე ტემპერამენტი აკლია.

განსაკუთრებით ეს შეგრძნება ბოლო პერიოდს, სახელდობრ, ბოლო ერთი წლის ნამუშევრების შემყურეს გამიჩნდა.

გადაწყდა ხოსო წერეთლის ნამუშევრების გამოფენის მოწყობა და რეალურად შევეხეთ მის შემოქმედებას.

მაინც ბედნიერია მხატვარი — მისი ღანატოვარი საკუთარი ცხოვრების, სულიერი ბიოგრაფიის ყოველი ეტაპის მაჩვენებელია; წარმოგვიდგენს ადამიანს, მხატვარს. ამავე დროს ამ ერთგვარ მოგზაურობას მხატვრის ბიოგრაფიაში, თუკი მისი თვითმხილველიცა ხარ, მივიწყებულის გახსენებაც მოჰყვება.

ეს გამოფენა, ხოსოს გამოფენა, მოგზაურობაა ჩემი თაობის ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცის ნაადრევად შეწყვეტილი ცხოვრების ბიოგრაფიაში, სულიერ მისწრაფებებში, ჩემი თაობის სითამამესა, მიღწევებსა და მარცხში.

დავიწყოთ იმით, რომ ხოსო ჩემი მეორე მეგობარი, მეორე თანაკურსელია ნაადრევად გარდაცვლილ ათ თანაკურსელთაგან. ორივეს ბიოგრაფია ორი ასპექტია ერთი რეალობისა, ერთი პერიოდისა, რომელშიც ყალიბდებოდა ჩემი თაობა, მაგრამ ამ ფონზეც კი ხოსო წერეთელი განსაკუთრებული მოვლენაა; იგი განსაკუთრებული მოვლენაა, როგორც ადამიანი და როგორც მხატვარი. ასევე განსაკუთრებულად, აბსოლუტურად განსხვავებულად წავიდა იგი ჩვენგან...

პირველ კურსზე რომ მოვიდა, ხალასი ტალანტის მეტი არაფერი გააჩნდა. როგორც მხატვარმა, ჯერ არ იცოდა ელემენტარული ხერხები და საშუალებებიც კი, მაგრამ ჰქონდა ბრწყინვალე მეხსიერება და, რაც მთავარია, შეთვისებისა და შესწავლის განსაკუთრებული უნარი. ამავე დროს, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. საკმაოდ განათლებული ყმაწვილი იყო.

სწორედ ამ პერიოდში ჩნდება პირველი სერიოზული ინტერესები, მისი ცხოვრების თანამდევი, მუდმივი უთანხმოებები და წინააღმდეგობები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პერიოდის სამხატვრო აკადემია სრულებითაც არ იყო აკადემია ტრადიციული გაგებით, სადაც ძირითადი ამოცანა სწორედ მხატვრობის, ფერწერის ტექნიკური სრულქმნა იქნებოდა. ჩვენში ხდებოდა რაღაც აბსოლუტურად განსხვავებული, აბსოლუტურად განსაკუთრებული.

დიდი მუშაობით აკადემიის კედლებში თავს არავინ იკლავდა, მოცემულობები ფორმალურად სრულდებოდა, სუფევდა ერთგვარი ნიჰილიზმის ატმოსფერო, მხუზუქი უსაქმურობის სურნელი რომ დაჰკრავდა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული იყო. მხოლოდ ზერელე თვალის გადავლებით ჩანდა ასე, სინამდვილეში აკადემიაში, უფრო სწორად, სტუდენტობის გარკვეულ წრეში, მძაფრი, დაძაბული სულიერი პროცესები მიმდინარეობდა.

როდესაც კურსზე, თითქოსდა შესაშინებლად, ფორმალიზმთან ბრძოლის მიზნით, პირველი ორიანები დაგვიწერეს ცოტა თამამი ძიებებისათვის, მაშინვე მივხვდით, რომ ჩვენი ინტერესების მიმართულება რადიკალურად უნდა შეგვეცვალა, მიგვემართა უფრო ფარული, შინაგანი პროცესებისათვის. ამან გამოიწვია ერთგვარი ჩაღრმავება საკუთარ თავში. ჩვენ უკვე ვხატავდით ერთმანეთისთვის და არა ნიშნისთვის, ვხატავდით პროტესტის ნიშნადაც კი. მხატვრობა თვალწათლივ იქცა ჩვენი შინაგანი პროტესტის რეალურ გამოხატულებად, ძალად, რომელიც ცდილობს დაარღვიოს სიცრუე და ჰპოვოს თავშესაფარი, იმ უსულგულო თუ ჩვენთვის უცხო, თითქმის მტრულად განწყობილი გარემოსაგან, რომელიც ჩვენს და



კონკრეტულად ხოსოს ახალგაზრდა სულს, მის ახალგაზრდულ მისწრაფებებს ემუქრებოდა.

სწორედ ამ დროს დაინტერესდა ხოსო ეზოთერული, ოკულტური ლიტერატურით. ამ პერიოდში თითქმის მთელი აკადემია გატაცებულია იოგათი. ხოსო კითხულობს რამაჩარაკას, პატანჯალის აფორიზმებს, დჰამაპადებს, კრიშნამურტის ლექციებს, ედუარდ შიურეს, თითქმის ზეპირად იცის ბჰაგავატ-გიტა. მისი ზედმიწევნით რაინდული ბუნება დაუშვებელს უარყოფს. იგი ყოველთვის ღირსეულია.

ამ დროიდან მოყოლებული, თავგადაკლული მუშაობს საკუთარ თავზე, იზრდება მისი ინტერესების დიაპაზონი. იოგას, ძენ-ბუდიზმის გატაცებას ემატება ევროპული ლიტერატურა. ბევრს კითხულობს. მხატვრობაში დიდ ნაბიჯს დგამს ახალი პრობლემებისაკენ, ახალი მხატვრულ-სააზროვნო ფორმებისაკენ, რაც პირველ რიგში ჯიბსონ ხუნდაძესთან კონტაქტით აიხსნება. სწორედ ჯიბსონ ხუნდაძესთან ეზიარა ხოსო სტილის და ფორმის, კოლორიტის ისეთ საკითხებს, რომელსაც აკადემიაში არ ასწავლიან; ჯიბსონ ხუნდაძესთან მუშაობს ახლებზე, ეუფლება სპექტრალური ფერწერის პრინციპებს, სწავლობს კონსტრუირებას, ნახატის აგების კლასიკურ მეთოდებს, იმ მეთოდებს, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა უახლესი, თანამედროვე მხატვრობა.

მხატვრობის საუკეთესო ულრმესი ტრადიციების შესწავლა ხოსოს აფიქრებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც მის მაძიებელ სულს ყოველთვის ბუნდოვნად თან სდევდა. იგი ყალიბდება აქტიურ, მოქმედ, მოაზროვნე, მაძიებელ მხატვრად.

სპექტრალური ფერწერის ენა ხოსოს ხელში საკმაოდ მძაფრ საშუალებად გადაიქცა. იგი ძალზე მალე აღწევს ოსტატობის პროფესიულ დონეს, იწყებს პირველად ფორმათა და მოცულობათა აბსტრაგირებას, აქვს უამრავი მიზნები და გეგმები.

ჯიბსონ ხუნდაძესთან მიღებული გაკვეთილები მის აზროვნებას, ნიჭსა და ტალანტს გზას უხსნის მომავლის მხატვრობისაკენ.

აკადემიაში კი ვერაფრით თუ არაფრით არ უგებენ. პირველივე ნაბიჯები წინააღმდეგობებს ეჯახება, თითქმის იკარგება მუშაობის ხალისი. გარეთ, ეზოში დგომა და საუბარი სჯობია, ან ბოლოს და ბოლოს უსაქმურობა, — მაგრამ ესეც მხოლოდ გარეგნული საფარველია. ხოსო ის კაცი არ არის, მხოლოდ უსაქმოდ რომ იდგეს და არაფერი აკეთოს. სწორედ ამ დროს კითხულობს და ხატავს ყველაზე მეტს, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე უახლოესმა მეგობარმა იცის.

აკადემიაში კი თითქოს ყველამ მის წინააღმდეგ შეკრა პირი, ერთი პირობა გარიცხვეს კიდეც. მახსოვს ერთობ უცნაური სტენდი. ზედ ხოსოს და ჩემი მეორე თანაკურსელის ფოტო იყო დაკრული. დარაჯის კარებზე ჩამოეკიდათ რუსული წარწერით: „მორიგევ, არ შემოუშვა"... მე მგონი, კომენტარი ზედმეტია.

ხოსო, როგორც პიროვნება, სწორედ ამ დროს იწყებს ჩამოყალიბებას, სერიოზულად ვარჯიშობს იოგაში. მისი საყვარელი მხატვრები ხდებიან: მარსელ დიუშანი, რობერტ რაუშენბერგი, ვილიამ დე კუნინგი, მარკ როდკო, ად რეიენჰარდტი, მოკლედ, დასავლეთის პროგრესული ხელოვნება. ამ პერიოდში მუშაობს ვანის გათხრებზეც.

გარეგნულადაც საგრძნობლად იცვლება. იხსნის სათვალეს. კოხტა წვერი, ოქროსფერი თმები, ცისფერი თვალები ამშვენებს. მოკლედ, გინდა თუ არ გინდა, მაინც ყურადღებას იქცევს თავისი გარეგნობით. ეს მისი პიროვნული, სულიერი მეტამორფოზის შედეგია, რომელსაც საკუთარ თავში ჩაღრმავებით მიაღწია.

ყალიბდება მართლაცდა ფანტასტური მეხსიერება, აქვს ათვისების ბრწყინვალე უნარი, რაც ერთბაშად იჩენს თავს მის ხასიათში.

იკვლევს და ამუშავებს ძველ, რელიგიურ ტრაქტატებსა და ტექსტებს და ბოლოს მიაკვლევს — სახარებას.

ახლა არ დავიწყებ იმის აღწერას, თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის იმ დროს სახარება, წმინდა წერილი. ეს იყო სრული ამაღლება, რეალური ხსნა და საშველი.

სწორედ ამ დროს აკურთხეს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. საქართველოში რელიგიური აღმავლობა, ქრისტიანული აღმავლობა იწყება. ხოსო ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ამ აღმავლობის დინებაში ჩაერთვება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე აქტიურია ამ მოძრაობაში, მონაწილეობს რიტუალში, როგორც სტიქაროსანი. სწავლობს ლიტურგიის კანონებს, ცდილობს ჩასწვდეს მის ულრმეს სიმბოლოებს.

ყოველდღე ინტენსიურად იკვლევს სახარებას, განსაკუთრებით გატაცებულია იოანეს გამოცხადებით. ამავე დროს, ინტენსიურად ხატავს — ცდილობს იმუშაოს იკონოგრაფიაში, დღითიდღე ყალიბდება და იხვეწება მისეული გაგება ხატწერისა.

ახლაც, საპატრიარქოს შესასვლელში, პირველ სართულზე ჰკიდია მისი მეუდაბნოეს პორტრეტი თუ ხატი. კონკრეტულად ვერ ვიტყვი, რა ჰქვია ასეთ ნამუშევარს, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ეს ნამუშევარი ხოსოს სულიერი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. იგი აქტიურად განიცდის განდეგილობის საკითხს, შინაგანად უთანაგრძნობს სწორედ ამ სოციალურ-რელიგიურ ინსტიტუტს, თან ამავე დროს მისეული გაგება რელიგიურობისა აქტიური განდეგილობის პრინციპს ემყარება. რაც ახლა ვთქვი, ეს ძირითადად ამ პერიოდის ნამუშევართა, ნახატთა ანალიზის შედეგი გახლავთ. ახალგაზრდა კაცის მიერ დანახული სამყარო, მოგეხსენებათ, ცვალებადია, მაგრამ ხოსოსთან ერთი რამ ყოველთვის უცვლელად იგრძნობა — ეს არის ჭეშმარიტების მაძიებელი სული.

ამავე დროს, ხოსო რამდენიმე მეგობართან ერთად შიომღვიმის პატარა ეკლესიის შეკეთებაზე მუშაობს. ცდილობს, რესტავრაცია გაუკეთოს ფრესკებს, კითხულობს წმინდა მამათა თხზულებებს.

აკადემია კი ებრძვის, გამოსავალი არსად სჩანს, წინააღმდეგობები — უამრავია.

წინააღმდეგობები — სოციალური, რელიგიური, მეგობრებთანაც კი.

ხოსო გამოსავალს ეძებს, ცდილობს თავი დააღწიოს გაურკვეველ აბსურდულობას, სწორედ ამ დროს ისახება მის გონებაში იმ დროისათვის თითქმის წარმოუდგენელი, ფანტასტიური გეგმები — ყალიბდება ახალი წარმოდგენები — ამ ქვეყანაში საშველი არ არის! ყველაფერი სიცრუეზე, ღალატსა და დამცირებაზეა აგებული. იგი ცდილობს თავისი შინაგანი და გარეგანი აქტივობით დაეხმაროს სამშობლოს, მაგრამ როგორ?

ამ პერიოდში ხოსო სწავლობს სხვადასხვა ეკლესიათა პრინციპებს და დოგმატს, თან ცდილობს ამ მოძღვრებათა არსში მოძიებული ჭეშმარიტება პოლიტიკურ საფუძველზე დააყრდნოს. კითხულობს და ამუშავებს, რამდენადაც ამის საშუალება ჰქონდა მაშინ, დასავლელ პოლიტოლოგთა ნაწარმოებებს, ამავე დროს იგი იძლევა სახარების მეტად განსხვავებულ და თამამ ინტერპრეტაციას. საერთოდ არაორდინალურობა, განსხვავებულობა ხოსოს გონებისა და ხასიათის განსაკუთრებული თვისებები გახლდათ.

იკვეთება ერთი აზრი — შინაგანი და გარეგანი აქტივობის თანხვედრით გამოსავალი უნდა მოიძებნოს. ეს კი დიდ თავდადებას და თუნდაც რისკს მოითხოვს, რისთვისაც იგი შინაგანად იწყებს მზადებას.

პროტესტის ნიშნად მისი მხატვრობაც ახალ სახეს იღებს. ბევრს მუშაობს, ალბათ ამდენი არასოდეს უმუშავია. ქმნის, ჩემი აზრით, ბრწყინვალე აბსტრაქციებს; მაშინ, როდესაც აბსტრაქციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ოფიციალურ წრეებში.

ხოსო ხდება ჭეშმარიტად ახალი, თანამედროვე მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენელი. ხოსო წერეთლის სიცოცხლეში მის ნამუშევართა პირველი და უკანასკნელი ექსპოზიცია მოხერხდა 1988 წლის საგაზაფხულო გამოფენაზე (მან და ასეთივე ალალმა და ტრაგიკულმა პიროვნებამ დათო მიქაბერიძემ, ერთად გამოფინეს ნამუშევრები). ეს იყო ხოსოს ვარდისფერი, გეომეტრიული კომპოზიცია — აბსტრაქცია. თამამად შემიძლია ვთქვა — ეს იყო ახალი სიტყვა მხატვრობაში, რომელიც გარკვეულ წრეებში დღესაც დიდად ფასდება.

ხოსოს ცხოვრებაში განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა ბოლო წელი. იგი შესანიშნავად ასრულებს თავისი ბინის, თავისი ოთახის კედლის მოხატულობას. ასრულებს სადიპლომო ნამუშევარს, ისე, რომ აკადემიაში მისივე მოწინააღმდეგენიც კი გაკვირვებულნი რჩებიან, ვერც კი იჯერებენ მის ავტორობას.

და ყოველივე ამის შემდეგ, ამდენი შრომის, ამდენი მუშაობის შემდეგ ის საბედისწერო ნაბიჯი გადადგა...

იმ დღესაც, თვითმფრინავში, ხოსო თავისი სულიერი მოწოდების სიმაღლეზე დგას, იგი არ გახლავთ არც თავდამსხმელი და მითუმეტეს არც მკვლელი, პირიქით, ხოსო წერეთელია მოკლული და უსამართლოდ შეგინებულ-შეურაცხყოფილი (თუმცა იმდროინდელი ოფიციალური ცნობები სხვაგვარ ინფორმაციას გვაწვდიდა).

უკანასკნელ წუთებშიც კი, თვითმფრინავში, როდესაც სიტყვის თქმა უჭირდა და გონების მოკრებაც უძნელდა, დაჭრილმა ჯიბიდან ამოიღო სახარება, რომელიც მუდამ თან ჰქონდა და იქვე მჯდომ ხნიერ მამაკაცს სთხოვა — წამიკითხეთო.

უსაშველო იდუმალებითაა მოცული ეს ამბავი. ვიმედოვნებ, ალბათ, ოდესმე ყოველივე გაირკვევა, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ისაა, რომ ხოსო წერეთელი ლეგენდად იქცა — თავისუფლებისათვის შეწირული კაცის ლეგენდად.

შეიძლება ბევრმა თქვას, თვითმფრინავის მოტაცება რად უნდოდათ, როცა არსებობდა მრავალი სხვა „უწყინარი" გზა „საბჭოთა სატუსაღოდან" თავის დახაღწევადო?

ახლა იოლია ასე ლაპარაკი, მაშინ სხვა დრო იყო. ახალგაზრდული ტემპერამენტი, ახალგაზრდული წარმოსახვა, რამდენადმე სენსაციური აქციის აღსრულების სურვილი გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი გავითვალისწინებთ მათ სურვილს. უნდოდათ, რომ როგორმე მსოფლიო საზოგადოებრიობას ყურადღება მიექცია მათთვის. — დიახ, როგორმე, რადგანაც ამოდენა ქვეყანაზე, მთელ მსოფლიოში, ჩვენი დამხმარე, ჩვენი ტკივილის გამზიარებელი, ჩვენი შემწე არავინ ჩანდა.

არ გამოვიდა? — ერთი შეხედვით, თითქოს არა, მაგრამ მიზანს, ამ ამაღლებულ მიზანს დღეს ქართველები თვალნათლივ ხედავენ და იხილავენ, ყოველივე ამის ჩამდენნი, ღვთის წინაშე მართალნი არიან.

მაშინ იყო სწორედ: დაუნდობლად მოექცნენ, არიქა, ალვგავოთ პირისაგან მიწისა მათი სახსენებელიო — უწყალოდ დაღუპეს, უწყალოდ შეეცადნენ მათი სახელების ლაფში ამოსვრას, თუმცა ერთი რამ ხოსოსთან დაკავშირებით მაინც გამორჩათ — ხოსო ნამდვილი მხატვარი იყო, ე. ი. ადამიანი, რომელიც ქმნის მემკვიდრეობას, კულტურულ საგანძურს. ადამიანი, რომელიც სრულებითაც არ არის ჩვეულებრივი მოკვდავი, შეიძლება ფიზიკურად მოკლა, მაგრამ მაინც ვერ მოსპობ. არაფერს ვამბობ სულიერ, მარადიულ ყოფიერებაზე, რომელიც ხოსოს განუსაზღვრელად სწამდა.

ხოსო წერეთლის ნამუშევრების გამოფენა გვიჩვენებს ამ მარადიულ წარუვალობას, იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც თავდაუზოგავად ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამიტომაც მისი შემოქმედება ქართული მხატვრობის შესანიშნავ ნიმუშად იქცა. მას ვერავინ, ვერასდროს ვეღარ ამოშლის ჩვენი ისტორიიდან.

**გია ბულაძე**

სურათზე: ხოსო წერეთელი — „ავტოპორტრეტი".

## ჰენრი უოდსვორთ ლონგფელო

## ისარი და სიმღერა

ზეცაში ლაღად ვტყორცნე ისარი,
გაუჩინარდა, დავკარგე კვალი.
ისეთ სისწრაფეს შეუთვისარი
ვერ გავადევნე უძლური თვალი.

ზეაღვავლინე ლოცვად სიმღერა,
მყისვე გამებნა მისი სავალი, —
ვისა აქვს ისე მახვილი მზერა,
სიმღერის ჟღერას ადევნოს თვალი?

დიდი ხნის შემდეგ მუხის ერთ
რგულში
ვპოვე ისარი სრულიად მთელი,
ხოლო სიმღერა მეგობრის გულში
ჟღერდა, ვით ძმობის საგალობელი.

თარგმნა **ზურაბ უზრიხელიძემ**

## სპორტი







1990 წლის 30 მარტი. საქართველოს დედაქალაქის მთავარი სტადიონი. პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი: ფოთის „კოლხეთი" — თბილისის „იბერია".

# მრავალმხრივ სიმბოლური

ამ ქრონიკის წინასწარმეტყველება ერთი წლის წინათ ყველაზე გაბედულ ფანტაზიორსაც დააბნევდა, მაგრამ დღეს ეს მოვლენა ისე გავაცილეთ ისტორიაში, თითქოს ის ადამიანთა დიდი გარჯის შედეგი კი არა, ცის მანანა ყოფილიყოს. სხვათა შორის, ასეთ განწყობილებაში ცუდი არაფერია — ესე იგი, ეს ფაქტი აღვიქვით როგორც დროული და აუცილებელი მოვლენა, რაც ჩვენს ერთსულოვნებაზეც მიუთითებს. თუმცა, მთლად ასეც არ უნდა იყოს.

ამბავს ცოტა შორიდან გამოვხედოთ.

რამდენიმე კვირის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავი დაიხსნა საკავშირო ინსტანციის დიქტატისაგან და გადაწყვიტა კიდეც დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. ბევრი სიხარულითა და იმედით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, ბევრიც კიდევ — ეჭვითა და თავის ქნევით. ერთნი ამბობდნენ, მხოლოდ დამოუკიდებლობა მოგვცემს ქართული ფეხბურთის განვითარების გარანტიას და ამიტომაც დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ეროვნული ჩემპიონატიო; მეორენი კი ამტკიცებდნენ, დამოუკიდებლობისათვის მზად არა ვართ და ტყუილად საქმეს ნუ წავახდენთო.

არც პირველთა რეაქცია იყო მოულოდნელი და არც — მეორეთა. ორივე მხარის პოზიცია ზუსტად ასახავს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განწყობილებას.

მაგრამ ერთი მაინც უნდა ითქვას. სკეპტიკოსები, როცა მედგრად იცავდნენ თავიანთ პოზიციას, იმავდროულად რაღაც საბედისწერო შიშსა და შეშფოთებას ამჟღავნებდნენ, თითქოს რაღაც ძალზე სანუკვარსა და ძვირფასს ეთხოვებოდნენ, რაღაც არ ეთმობოდათ...

ამ ამბავმა გამახსენა ერთი დეტალი ლევან გოთუას „გმირთა ვარამიდან". რომანის ერთ პერსონაჟს დიდი ხნის ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლებენ და ბორკილებს აჰყრიან; გათავისუფლებულ ტყვეს დიდი სიხარულის ნაცვლად უხერხულობის განცდა ეუფლება, შინაგანად აფორიაქდება; რაღაც აწუხებს, თითქოს რაღაც მახლობელი, არსების რაღაც ნაწილი დაკარგა, ოღონდაც, ვერ გაუგია, რა უნდა იყოს ეს. და უცებ ხვდება — ეს არის ჯაჭვი. ისე შეჩვევია, ისე შემგუებია სისხლ-ხორცის დამატყვევებელ რკინას, რომ ხელფეხგახსნილს ისევ მისი ჩხრიალი ეზუნება, მისი შეხება სწადია.

ზოგჯერ ისევე ძნელია ტყვის ცნობიერების სინდრომისაგან თავის დაღწევა, როგორც თავისუფლების მოპოვება, მაგრამ, ღვთის მადლით, ადამიანში არასოდეს დადუმდება ხმა, რომელიც მას თავისუფლებისაკენ მოუწოდებს.

ეს პირველი მატჩი მრავალმხრივ სიმბოლური გამოდგა:

ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს, როგორც იტყვიან, ნომერპირველი გუნდი და პირველი ქართველი ფეხბურთელების მემკვიდრეები;

შეხვედრის სიმბოლიკა გუნდების სახელწოდებებშიც გაჟღერდა — ერთმანეთს შეხვდა უძველესი საქართველოს გამაერთიანებელი ორი სახელი იბერია და კოლხეთი.

მაგრამ ყველაზე უფრო სიმბოლური თვით მატჩის შედეგი გამოდგა: — სხვათა შორის, არა მარტო იმით, რომ გაიმარჯვა იმ ქალაქის გუნდმა, სადაც ქართული ფეხბურთი იშვა, არამედ იმითაც, რომ სიძალისემ და თავისუფლების წადილმა აჯობა ზემოთაღნიშნულ სინდრომს; ფოთელები მთელი არსებით ჩაებნენ თამაშში; „იბერიას", ყოფილ „დინამოს" კი ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ნოსტალგია საკავშირო ჩემპიონატისადმი. ეს სავსებით გასაგებია, ძნელია ამის გამო მათი გაკიცხვა, მხოლოდ იმის თქმა კი შეიძლება, რომ „იბერიის" მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი გულნატკენი დარჩა თავისი გუნდის უსუსური თამაშით. თბილისელების თამაშმა ხსრკ ბოლო ჩემპიონატების დასაწყისის ის მატჩები გაგვახსენა, რომლებსაც ისინი უიმედოდ აგებდნენ და მთელი სეზონი წელში გატეხილ აუტსაიდერებად რჩებოდნენ. „იბერიას" კვლავაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ქართული ფეხბურთის წინაშე. მაგრამ, სამწუხაროდ, 30 მარტს სწორედ ეს არ იგრძნობოდა ამ კლუბის არც ფეხბურთელთა და არც მწვრთნელთა მოქმედებაში.

●

თუმცა ზეიმი შედგა, დიდებული ზეიმი, — ნათელი მომავლის რწმენის დღესასწაული. ამის დასტური იყო სტადიონზე მოსული ასიათასი მაყურებელი, კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დალოცვა, ზვიად გამსახურდიას სიტყვა, ასი წლის შალვა პაიჭაძის მისალმება... ქართული დროშები და ჰიმნი „დიდება".

●

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას ეროვნული ჩემპიონატის პირველ თამაშზე დაწესებული ჰქონდა ორი პრიზი თითოეული გუნდის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის. ეს პრიზები (ათას-ათასი მანეთი) გადაეცათ ფოთელთა მეკარეს მა-



მუკა გვასალიას და თბილისელთა ნახევარმცველს თემურ ქეცბაიას.

**მიმომხილველი.**

მურმან ჩაჩუას ფოტოები



ვითვალისწინებთ რა, საქართველოში მცხოვრებ ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილს, გაიზიაროს ქართველი ერის ტკივილი 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო, ვაწყობთ ორგანიზებულ სამგლოვიარო მსვლელობას.

საქართველოში მცხოვრებ ოს მოსახლეობას გაცნობებთ, რომ 9 აპრილს, 11 საათზე, შევიკრიბოთ ქ. თბილისში, ჯორჯიაშვილის ქუჩის მიმდებარე — კომუნარების ბაღის ქვედა ნაწილში, №8 აფთიაქისა და №68 — საშუალო სკოლის მოპირდაპირე მხარეს.

**ოსური ასოციაცია „სიმართლე" (რასდძინად").**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია, თანაუგრძნობენ პოეტ ნოდარ გურეშიძეს მამის

**ვარლამ გურეშიძის**

გარდაცვალების გამო.


**რედაქტორთა საბჭო.**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე** (მთავარი რედაქტორი)

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **მამუკა წიკლაური.**



**რედაქციის მისამართი:**
**380065, თბილისი,**
**გუდიაშვილის**
**მოედანი №2**

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ლიტერატურული საქართველო**

**«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ**

**გამოდის პარასკეობით**

ფასი 20 კაპ.